

გენდერული თანასწორობის საკითხები
სასკოლო სახელმძღვანელოებში: გრიფირების
წესისა და პროცედურების, მესამე თაობის
სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებული
სახელმძღვანელოების გენდერული
ანალიზი



გენდერული თანასწორობის საკითხები სასკოლო სახელმძღვანელოებში: გრიფირებისა და მესამე თაობის სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი

ავტორები:

ნათია გორგაძე

შალვა ტაბატაძე

©სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების

ცენტრი თბილისი

2021 წელი



წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის "ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით. მასალის შინაარსი წარმოადგენს ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) პასუხისმგებლობას და, შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის მოსაზრებებს.

This publication is prepared in the framework of the –EU 4 Gender Equality: Together against gender stereotypes and gender-based violence programme, funded by the European Union, implemented jointly by UN Women and UNFPA. This research was prepared with the financial support of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Center of Civil Integration and inter-Ethnic Relations(CCIIR) and do not necessarily reflect the views of the European Union, UN Women and UNFPA.



სარჩევი

შესავალი: გენდერული თანასწორობა საქართველოში.....	5
კვლევის მეთოდოლოგია	9
სახელმძღვანელოების შერჩევის მეთოდოლოგია.....	10
ანალიზის ჭრილები.....	13
ანალიზის ჭრილების მეთოდოლოგიური საფუძველი - სახელმძღვანელოების ანალიზის ჩარჩოების მიმოხილვა	14
კვლევის შედეგები	27
გენდერული თანასწორობა განათლებაში	27
გრიფირების რეგულირება და წარმართვა.....	29
სახელმძღვანელოების შეფასების ანგარიშების ანალიზი.....	37
მიგნებები	37
ჩაღრმავებული ინტერვიუების სამიზნე პირების შერჩევა	39
გრიფირების პროცესში ჩართულ მხარეთა ინტერვიუების ანალიზი და დასკვნები	40
სასწავლო გეგმისა და სტანდარტის შესაბამისობა სახელმძღვანელოს ხარისხსა და შეფასების კრიტერიუმებთან	40
სახელმძღვანელოების გრიფირების მიზანშეწონილობა, შესაბამისობა და გამართულობა	44
გენდერული ბალანსისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხები	47
დასკვნა.....	52
თავი 4: გენდერული თანასწორობა სასკოლო სახელმძღვანელოებში: სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი	55
მათემატიკა (პირველი კლასი).....	55
მათემატიკა (მეოთხე კლასი).....	59
ქართული, როგორც მეორე ენა	63
ისტორია.....	76
გეოგრაფია.....	91
მოქალაქეობა.....	93
ქართული ენა და ლიტერატურა	99
ქართული ლიტერატურა	108



ხელოვნება და შემოქმედება	116
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.....	120
მუსიკა.....	125
ჩვენი გარემო.....	135
ბიოლოგია.....	139
სახელმძღვანელოების ანალიზის შედეგები, მიგნებები და რეკომენდაციები	145
რეკომენდაციები	147
გამოყენებული ლიტერატურა.....	151



შესავალი

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მე-11 მუხლი, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა 2017 წელს, აღიარებს თანასწორობის პრინციპს: კონსტიტუციის მე-11 მუხლის ა პუნქტის მიხედვით, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“; ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ქალებისა და მამაკაცებისთვის: „3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

საქართველოს კონსტიტუციის გარდა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებია 2006 წლის გენდერული თანასწორობის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, ხოლო 2010 წელს კი კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ 2016 წელს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე განხორციელების ვალდებულება აიღო, მათ შორის - მეხუთე მიზნის, გენდერული თანასწორობის მიღწევის, ვალდებულება იკისრა. გარდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივებისა, არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკის ნაბიჯები გადაიდგა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია წლების მიხედვით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად:

წელი:	აქტივობა:	აქტივობისა და შედეგების აღწერა
1994	საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას და რატიფიკაცია მოახდინა ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმო-	კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას და თანხმდებიან ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელონ



	ფხვრის შესახებ - CEDAW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით კისრულობენ სხვადასხვა ვალდებულებას
1995 წელი	საქართველო შეუერთდა პეკინის დეკლარაციას და სამოქმედო პლატფორმას	პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესრულების ვალდებულებები, აგრეთვე ქალთა 30%-იანი წარმომადგენლობის მიღწევისათვის შესაბამისი პოლიტიკის გატარების ვალდებულება
1998	„ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ 1998- 2000 წ.	1998 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა პირველი დოკუმენტი - „ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ 1998-2000 წ.წ., რომელიც პეკინის სამოქმედო გეგმაში გაწერილი 12 პრიორიტეტიდან 7-ს მოიცავდა. ეს იყო საკითხები, რომლებიც იმ დროს აქტუალურად მიიჩნეეს საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მას შემდეგ გარკვეული პერიოდულობით იქმნება და მტკიცდება სამოქმედო გეგმები: 1998-2000 წ.წ., 2001-2004 წ.წ., 2007-2009 წ.წ., 2010-2013 წ.წ., 2014-2016 წ.წ.
2006	ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII ³ თავი	VII ³ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან



		დაკავშირებით
2010	ამოქმედდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ	კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.
27.12.2011	დამტკიცდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა	
2011	ქალი და კაცი საქართველოში	სტატისტიკური კვლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. 2011 წლიდან იბეჭდება შემდეგი პერიოდულობით: 2011, 2013, 2015, 2017, 2018, 2019, 2020 წწ.
2017, 4 მაისი	ამოქმედდა საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ	კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ



		და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.
2017	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია	ჩვენი ქვეყნისთვის ძალაში შევიდა ე.წ. სტამბოლის კონვენცია
2017	ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში	საქსტატის მიერ ჩატარებული კვლევა ტენდენციების გამოსაკვეთად
აპრილი, 2021	ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ	ომბუდსმენის სამსახურის მიერ შედგენილი კურსი მიზნად ისახავს აამაღლოს ცნობიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე. ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით.

ამრიგად, საკანონმდებლო დონეზე, საქართველო მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას და ადასტურებს მზაობას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.



კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული და რეკომენდებული საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის დადგენა გენდერული თანასწორობის პრინციპებთან. შესაბამისად, კვლევის ამოცანაა შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემა:

- რამდენად არის საქართველოს განათლების სისტემის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და დოკუმენტაციაში გენდერული თანასწორობის საკითხები გათვალისწინებული?
- უზრუნველყოფს თუ არა სახელმძღვანელოების გრიფირების წესი, შესაბამისი რეგულაციები და პროცედურები გენდერულ ბალანსსა და შესაბამის მგრძობიარობას სასკოლო სახელმძღვანელოებში?
- რამდენად არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობისა და მგრძობიარობის საკითხები 2018-2020 წლებში სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესსა და პროცედურებში? რამდენად და რა ფორმით არის ასახული გენდერული საკითხები სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებში?
- რამდენად და რა ფორმით მოხდა გენდერული ბალანსის/თანასწორობის საკითხების პრაქტიკული შეფასება სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში? რა გავლენას ახდენდა გრიფირების პროცესებსა და შედეგებზე გენდერული საკითხების შეფასება სახელმძღვანელოებსა და დამატებით მასალებში?
- რამდენად წარმოადგენდა გენდერული საკითხები შეფასების საერთო სისტემის ინტეგრირებულ ნაწილს? რამდენად იყო გათვალისწინებული გენდერული საკითხების შეფასება და რეკომენდაციები შინაარსობრივ მასალასა და გამჭოლ საკითხებში?
- რამდენად იყვნენ გრიფირებისათვის სახელმძღვანელოებზე მომუშავე ავტორები / ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობები მომზადებული გენდერულად მგრძობიარე მასალების შემუშავებისათვის?
- რამდენად არის გენდერულად რაოდენობრივად და თვისებრივად დაბალანსებული სახელმძღვანელოებში მოცემული ილუსტრაციები?



- რამდენად არის სახელმძღვანელოებში მოცემული შინაარსი გენდერულად მგრძობიარე? რამდენად არის გათვალისწინებული სახელმძღვანელოების შინაარსობრივ დეტალებში სქესობრივი თავისებურებები? რამდენად არის სახელმძღვანელოების შინაარსი გენდერული თანასწორობის წახალისებაზე ორიენტირებული?
- რამდენად არიან სახელმძღვანელოები მგრძობიარე გენდერული დისბალანსის შემომტანი შინაარსის განხილვაზე ორიენტირებული? რამდენად იძლევიან საკითხების გენდერული ჭრილიდან განხილვის შესაძლებლობას? რამდენად წახალისებს სახელმძღვანელოში მოცემული მეთოდური გზამკვლევები და ორიენტირები გენდერული დისბალანსის საკითხების დისკუსიის საშუალებას?
- რამდენად არსებობს გაზიარებული ხედვები სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში გენდერისა და მრავალფეროვნების საკითხების ასახვასთან, ანალიზსა და შეფასებასთან დაკავშირებით ინტერესის მხარეებს შორის? რა ტიპის გამოწვევები და ხარვეზები ვლინდება პროცედურებთან, პროცესსა და შედეგებთან მიმართებით ჩართული მხარეების განსხვავებული პერსპექტივიდან?

კვლევის კითხვებზე პასუხის მისაღებად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა 3 ინსტრუმენტის გამოყენებით:

- გრიფირების წესის, პროცედურისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაციის სამაგიდე ანალიზი;
- შერჩეული სახელმძღვანელოების კონტენტანალიზი;
- სიღრმისეული ინტერვიუები სახელმძღვანელოების გრიფირების წესების შემუშავებისა და პროცესში მონაწილე მხარეებთან.

კვლევა განხორციელდა 2021 წლის თებერვალი - სექტემბერის თვეებში.

სახელმძღვანელოების შერჩევის მეთოდოლოგია

სახელმძღვანელოების ანალიზის განხორციელებისათვის 2018-2020 წლებში გრიფირებული სახელმძღვანელოების სრული ჩამონათვალიდან (253 სახელმძღვანელო) გამოიყო ის საგნები და საგნობრივი მიმართულებები, რომლებიც გენდერულ ჭრილში



ანალიზს ექვემდებარებოდა. შესაბამისად, შეირჩა შემდეგი საგნები და საგნობრივი მიმართულებები: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა; საზოგადოებრივი საგნობრივი მიმართულება: ჩვენი სამშობლო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია; ესთეტიკური საგნობრივი მიმართულება: ხატვა და ხელოვნება, მუსიკა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბუნება და ბიოლოგია. უცხო ენების საგნობრივი მიმართულება... საერთო ჯამში 237 სახელმძღვანელო. შერჩევა განხორციელდა სამსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სადაც პირველ საფეხურზე მოხდა მინიმუმ 20 წიგნის შერჩევა თითოეული კლასისათვის ყველა გამომცემლის და ყველა საგნისა და საგნობრივი მიმართულების შემადგენლობით. მეორე ეტაპზე მოხდა წიგნების შერჩევა ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სხვადასხვა გამომცემლობის მიერ გამოცემული ყველა საგნისა და საგნობრივი მიმართულების წიგნი 2-ჯერ მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი თითოეულ კლასში. საბოლოო ეტაპზე, არაშემთხვევითი პრინციპით შეირჩა 16 წიგნი ისე, რომ თითო კლასის დონეზე წარმოდგენილი ყოფილიყო 2 წიგნი, 2 სხვადასხვა გამომცემლობა და თითოეული საგანი და საგნობრივი მიმართულება, უმეტეს შემთხვევაში, განმეორებულიყო 2-ჯერ.

შერჩევის შედეგად მიღებულია წიგნების სია, რომელიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

საგანი	კლასი
ბუნებისმეტყველება / ჩვენი გარემო	I
მათემატიკა	I
ქართული, როგორც მეორე ენა	II
ხელოვნება	II
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	III
ქართული ლიტერატურა; ქართული ენა	III
მათემატიკა	IV
ქართული ენა და ლიტერატურა	IV
ჩვენი საქართველო	V
ქართული, როგორც მეორე ენა	V
მუსიკა	VI



რუსული	VI
გეოგრაფია	VII
ისტორია	VII
ბიოლოგია	VIII
მოქალაქეობა	VIII

მომდევნო ცხრილში მოცემულია გამომცემლობები, რომელთა გრიფირებული სახელმძღვანელოები გაანალიზდა გენდერულ ჭრილში:

გამომცემლობა	
1	შპს "შემეცნება"
2	შპს "პედაგოგიკა"
3	გამომცემლობა ინტელექტი
4	შპს "გამომცემლობა პალიტრა L"
5	მერიდიანი
6	აბიტურიენტთა მომზადების ცენტრი
7	ავთანდილ საგინაშვილი
8	გაზეთი საქართველოს მაცნე
9	შპს "გამომცემლობა კლიო"
10	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
11	შპს "გამომცემლობა კლიო" და შპს "წყაროსთვალი"
12	დიოგენე
13	ლოგოსპრესი
14	შპს "გამომცემლობა ტრიასი"
15	ა(ა)იპ ეპიგრაფი



ანალიზის ჭრილები

სახელმძღვანელოების ანალიზში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი ჭრილები. უფრო კონკრეტულად:

- **რაოდენობრივი ჭრილი** - ქალების რეპრეზენტატულობა ილუსტრაციებსა და შინაარსში, საერთო რაოდენობა, მამაკაცისა და ქალის რეპრეზენტატულობის თანაფარდობა.
- **თვისებრივი რეპრეზენტატულობა** - მამაკაცისა და ქალის როლები, ცალკეული შემთხვევების შედარებითი ანალიზი, რომელიც გულისხმობს თითოეული სქესის საქმიანობას და პოზიციონირებას, ცხოვრების სტილს, კარიერულ არჩევანს. ამავე ჭრილში გაანალიზდა უნივერსალურობის მიდგომა, როგორც სახელმძღვანელოში სქესთა ერთგვარად, უნივერსალურად წარმოდგენის პრობლემა. საერთო წარმოდგენასა და საქმიანობაში, თითოეულის ჩართულობის ტიპი და ხასიათი.
- **მასკულიური პრიმატი** - მამაკაცის უპირატესობა (man firstness), მამრობითი სქესის, როგორც ეტალონის წარდგენა, მამაკაცური საწყისის პერსპექტივიდან სიუჟეტის, მოვლენების, გადაწყვეტილებების მიღების და დასაბუთების პრობლემა.
- **გენდერული სტერეოტიპების და მიკერძოებული დამოკიდებულებების კვლავ-წარმოება** - შინაარსობრივი რეპრეზენტაციის დროს თითოეული სქესისადმი მიწერილი თვისებების, დამოკიდებულებების, ქცევისა და აღქმების განმტკიცება სტერეოტიპული ხედვების შესაბამისად.
- **ენობრივი პატერნები და სტრუქტურები** - მოცემულ ტექსტურ მასალაში იმ ენობრივი, სტილისტური და სტრუქტურული ფორმების დანერგვა, რომლებიც გენდერული დისბალანსის განმტკიცებას და სქესობრივი დისეგრეგაციის საგნობრივ, აკადემიურ და კომუნიკაციურ ენაში დამკვიდრებას უწყობს ხელს.
- **დისკუსიისა და განხილვის პოტენციალი** - საგაკვეთილო საკითხების განხილვისას, გენდერული ბალანსის მიღწევის, პრობლემური საკითხების განხილვისა და სტერეოტიპების დამსხვრევისაკენ მიმართული დავალებები და ანალიზი, რომლებიც ძირითადი საგაკვეთილო ტექსტის ნაწილად ან დამატებით საკლასო და საშინაო მუშაობის კომპონენტად არის მოცემული.



სახელმძღვანელოების განხილვის პროცესი დაეფუძნა თითოეული ერთეულის საერთო ანალიზისა და შეფასების, ცალკეული დეტალების გამოყოფისა და კონკრეტული მაგალითებით განმტკიცების სხვადასხვა ტექნიკას. ასევე, თითოეული სახელმძღვანელოს, ნიმუშის და მაგალითის ანალიზის პროცესში მოცემულია იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და პრობლემების შესამცირებლად და აღმოსაფხვრელად შესაძლო გამართლებული ქმედებები გენდერული ბალანსისა და გენდერულად მგრძობიარე მასალის უკეთ უზრუნველსაყოფად.

ანალიზის ჭრილების მეთოდოლოგიური საფუძველი - სახელმძღვანელოების ანალიზის ჩარჩოების მიმოხილვა

სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის თვალსაზრისით ჩატარებულ კვლევათა ანალიზი გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ანალიტიკურ და თეორიულ ჩარჩოს, რომლებიც გამოიყენება სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზისთვის ან უფრო მორგებულია კონკრეტული საგნების სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზს ან გამოიყენება გენდერული ანალიზის თეორიულ ჩარჩოდ ზოგადად და, მათ შორის, მისი გამოყენება ხდება სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზისთვის. შესაბამისად, წარმოგიდგინთ ამ ანალიტიკურ ჩარჩოებს, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა ანალიზის ჩარჩო კონკრეტულად ჩვენი კვლევისათვის.

ბლუმბერგის ანალიტიკური ჩარჩო, 2007

7 ტიპის მიკერძოებულობა სასწავლო მასალებში (სახელმძღვანელოებში)

ბლუმბერგის ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც შეიქმნა 2007 წელს იუნესკოს პროექტის ფარგლებში, გვთავაზობს 7 მიმართულებით სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზს, ეს მიმართულებებია:

- ხილვადობა / უჩინარობა
- სტერეოტიპების წარმოება და კლავწარმოება სხვადასხვა ჯგუფისთვის



- **დაუბალანსებლობა და შერჩევითობა**
 - როდესაც საუბარია მიღწევებზე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მხოლოდ მამაკაცები არიან ნახსენები;
 - როდესაც საუბარია საოჯახო საქმეებზე, მხოლოდ ქალები მოიხსენიებიან.
- **არარეალისტურობა**
ვარდისფერი სათვალე, პრობლემური საკითხების იგნორირება.
- **ფრაგმენტაცია და იზოლაცია**
მაგალითად, 10 წარმატებული პოლიტიკოსი ქალი, სპორტსმენი, მეცნიერი.
- **ლინგვისტური და კოსმეტიკური მიკერძოებულობა**
მიუხედავად იმისა, რომ ილუსტრაციებში მამაკაცთა და ქალთა თანაბარი რაოდენობაა წარმოდგენილი, არ არის მოცემული შესაბამისი მაგალითები სხვადასხვა სფეროში ქალთა მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელშიც გენდერული მიკერძოებულობის ეს მიმართულებები წარმოდგენილია კონკრეტული დეფინიციისა და მაგალითების სახით:

7 ტიპის მიკერძოებულობა სასწავლო მასალებში (სახელმძღვანელოებში) - ბლუმბერგის ანალიტიკური ჩარჩო, 2007.

გენდერული მიკერძოების კატეგორიები	დეფინიცია	მაგალითები
ხილვადობა/უჩინარობა	სრული ან ნაწილობრივი გამორიცხვა ჯგუფიდან	მაგალითები: - ზოგიერთ ენაში ზოგიერთი პროფესია მხოლოდ მამაკაცთან იყო ასოცირებული (მაგ. ინგლისურში მინისტრი)



		<p>(Minister), ექიმი (Doctor), იურისტი (Lawyer) მამაკაცთა ასოცირებული (სქესის გრამატიკული კატეგორიის არსებობის პირობებში), რადგან დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ მამაკაცები წარმოადგენდნენ ამ პროფესიებს. ამ ბოლო დროს ზოგიერთ პროფესიას ქალური ალტერნატივები მოუძებნეს (doctor- _doctress). ამის საწინა- აღმდეგოდ, ექთნისა და ძიძის პროფესია, ტრადიციულად, მხოლოდ ქალთან ასოცირ- დებოდა.</p> <p>- ძლიერი გენდერული დისბალანსი (ან ერთი ან მეორე სქესის სრული დეფიციტი) მაგალითებში ან / და ილუსტრაციებში, მაგალითად, სამეცნიერო კონგრესის სურათებზე, სადაც მამაკაცები ჭარბობენ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მეცნიერება, როგორც წესი, მამაკაცის პროფესიაა.</p>
სტერეოტიპიზაცია	უსამართლო მახასიათებ- ლების მინიჭება ადამიანის ან	<p>მაგალითები:</p> <p>- რწმენა, რომ ქალები ემოციურები არიან, მამაკაცები -</p>



	<p>ადამიანთა ჯგუფისთვის, ინდივიდუალური ატრიბუტებისა და განსხვავებების ხარჯზე.</p> <p>სტერეოტიპიზაცია შეიძლება მოიცავდეს შეურაცხყოფელ ან მამებელ განცხადებებს შესაბამისი სიტუაციის მიხედვით.</p>	<p>არა</p> <ul style="list-style-type: none"> - რწმენა, რომ მამაკაცები ტექნოლოგიებში ერკვევიან, ქალები - არა - რწმენა, რომ ქალებს უყვართ ჭორაობა - რწმენა, რომ მამაკაცები მეტად ორგანიზებულნი და ეფექტური ლიდერები არიან.
<p>დისბალანსი და შერჩევადობა</p>	<p>საკითხის, სიტუაციის ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ მხოლოდ ერთი ინტერპრეტაციის წარმოდგენა.</p>	<p>მაგალითები:</p> <ul style="list-style-type: none"> - როდესაც საუბარია მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში მიღწევებზე, მხოლოდ მამაკაცები არიან ნახსენები - როდესაც საუბარია საოჯახო საქმეებზე, მხოლოდ ქალები მოიხსენიებიან.
<p>მიკერძოება</p>	<p>უსიამოვნო ასპექტების იგნორირება სხვების საამებლად</p>	<p>მაგალითები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ოჯახური ცხოვრების მგრძობიარე და უსიამოვნო ასპექტების (როგორებიცაა ოჯახური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა) წარმოდგენისგან თავის შეკავება. - ისეთი საკითხების წარმოჩენისგან თავიდან



		<p>არიდება, როგორცაა ქალთა ექსპლუატაცია ან ქალების განხილვა, როგორც საზოგადოების სოციალურად დაქვემდებარებული წევრებისა - ცალკეული შემთხვევების წესებად წარმოდგენა, მაგალითად (იშვიათად), ქალთა ლიდერობის შემთხვევები ან საზოგადოებაში მიღწევები არის წესი.</p>
<p>ფრაგმენტაცია და იზოლაცია</p>	<p>არადომინანტური ჯგუფების საზოგადოების პერიფერიულ წევრებად წარმოდგენა</p>	<p>მაგალითები: -ნარატივით ან ილუსტრაციით სხვადასხვა სიტუაციის წარმოდგენა, სადაც ქალები ყოველთვის ნაკლებ არიან წარმოდგენილნი.</p>
<p>კოსმეტიკური მიკერძოება</p>	<p>წიგნებში გარკვეული ასპექტები „გამოსწორდა“ / გაუმჯობესდა, მაგრამ მიკერძოება სხვადასხვა გზით არსებობს</p>	<p>მაგალითები: - მიუხედავად იმისა, რომ ილუსტრაციებში მამაკაცთა და ქალთა თანაბარი რაოდენობაა წარმოდგენილი, არ არის მოცემული შესაბამისი მაგალითები სხვადასხვა სფეროში ქალთა მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ.</p>



ჰარვარდის გენდერული ანალიზის თეორიული ჩარჩო

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ანალიტიკური ჩარჩოა ჰარვარდის გენდერული ანალიზის თეორიული ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩო გამოიყენებოდა გენდერული თანასწორობისკენ ორიენტირებული პროექტებისა და პროგრამების შესაფასებლად. ეს ინსტრუმენტი შეიქმნა 1985 წელს საერთაშორისო განვითარების ჰარვარდის ინსტიტუტში და გახლდათ გენდერული ანალიზის ერთ-ერთი პირველი ჩარჩო. ჰარვარდის ანალიტიკურ ჩარჩოს მოეპოვება 3 პროფილი და ამ პროფილების ჩეკლისტი. სამი პროფილი გამოყოფილია საქმიანობების პროფილად, წვდომისა და კონტროლის პროფილი და გავლენის პროფილი. ამ სამი მიმართულებით ხდება ქალებისა და მამაკაცების პროფილების შედგენა და შედგენილი პროფილების მიხედვით არსებული ვითარების გენდერული ანალიზი. შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზიც იძლევა შესაძლებლობას საქმიანობის, კონტროლის, წვდომისა და გავლენის ფაქტორების მიხედვით გავანალიზოთ სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ნარატივები. ქვემოთ ცხრილის სახით გთავაზობთ სამივე პროფილის ინსტრუმენტს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის განხორციელება:

ჰარვარდის ინსტრუმენტი 1: აქტივობების პროფილი		
საქმიანობა/აქტივობები	გოგო/ბიჭი	ქალი/კაცი
<p>პროდუცირებასთან დაკავშირებული აქტივობები:</p> <p>(ა) სოფლის მეურნეობა:</p> <p>საქმიანობა 1</p> <p>საქმიანობა 2.</p> <p>(ბ) შემოსავლებთან დაკავშირებული საქმიანობა</p> <p>საქმიანობა 1.</p> <p>საქმიანობა 2.</p> <p>(გ) დასაქმებასთან დაკავშირებული აქტივობები:</p> <p>საქმიანობა 1.</p>		



საქმიანობა 2. (დ) სხვა _____		
რეპროდუცირებასთან დაკავშირებული საქმიანობები (ა) წყალთან დაკავშირებული; (ბ) საწვავთან დაკავშირებული; (გ) საჭმლის მომზადებასთან დაკავშირებული (დ) ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული; (ე) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული; (ვ) დასუფთავებასა და შეკეთებასთან დაკავშირებული; (ზ) ბაზართან და საყიდლებთან დაკავშირებული		

ჰარვარდის ინსტრუმენტი 2: წვდომისა და კონტროლის პროფილი		
საქმიანობა/აქტივობები	გოგო/ბიჭი	ქალი/კაცი
<p>რესურსები: მიწა; აღჭურვილობა; სამუშაო ძალა; ფულადი თანხა; ცოდნა/განათლება; სხვა _____</p> <p>ბენეფიტები: (ა) გარე შემოსავლები; (ბ) აქტივების ფლობა; (გ) საჭმლის, თავშესაფრის, ტანსაცმლის ფლობა; (დ) განათლება; (ე) პოლიტიკური ძალაუფლება და პრესტიჟი; (ვ) სხვა _____</p>		



ჰარვარდის ინსტრუმენტი 3: გავლენის მქონე ფაქტორები

გავლენის მქონე ფაქტორები	პრობლემები/საჭიროებები	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> - თემის ნორმები და სოციალური იერარქია; - დემოგრაფიული ფაქტორები; - ინსტიტუციური სტრუქტურები; - ეკონომიკური ფაქტორები; - პოლიტიკური ფაქტორები; - სამართლებრივი პარამეტრები; - განათლება და ტრენინგი; - თემის დამოკიდებულებები. 		

მოზერის გენდერული ანალიზის ჩარჩო

ჰარვარდის გენდერული ანალიზის ჩარჩოზე დაფუძნებით, განვითარდა მოზერის გენდერული ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც შემოგვთავაზა **ქეროლან მოზერმა**, ლონდონის უნივერსიტეტიდან. მოზერის მიზანი გახლდათ, ეს ჩარჩო გამოყენებულიყო განვითარების გეგმებში (კერძოდ, დაგეგმვისა და შეფასების ნაწილში), რომელიც ქალთა ემანსიპაციას გულისხმობდა და ის უფრო მეტად აფასებს ქმედებებსა და საქმიანობებს და ამ კონტექსტში განიხილავს გენდერულ როლებს. ჩარჩო სამგანზომილებიანია: პირველი განზომილება გულისხმობს გენდერულ საქმიანობებს, მეორე განზომილება - გენდერულ საჭიროებაზეა ორიენტირებული და მესამე განზომილება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ანალიზზე. სახელმძღვანელოების ანალიზის კონტექსტში მოზერის გენდერული ანალიზის ჩარჩოს პირველი განზომილების გამოყენებაა შესაძლებელი. ის იძლევა კარგ შესაძლებლობებს ამ ინსტრუმენტის პირველი განზომილების (საქმიანობები და ქალთა



სამმაგი საქმიანობა) შესაბამისად, შეფასდეს ტექსტებში საქმიანობებისა და როლების გადანაწილება ქალსა და მამაკაცს შორის:

მოზერის ინსტრუმენტი		
საქმიანობის ტიპი	ქალი	მამაკაცი
რეპროდუცირებასთან დაკავშირებული საქმიანობა		
პროდუცირებასთან დაკავშირებული საქმიანობა		
თემის და საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა		

პორეკას (1984) სახელმძღვანელოების ანალიტიკური ჩარჩო

პორეკამ 1984 წელს განახორციელა უცხო ენის სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი. ანალიზისას მან გამოიყენა შემდეგი ანალიტიკური ჩარჩო და შემდეგი კომპონენტების მიხედვით მოახდინა სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი:

- გენდერული ხილვადობა ტექსტებსა და ილუსტრაციებში;
- გენდერული უპირატესობა/პირველობა;
- გენდერული საქმიანობები და სპეციალობები;
- გენდერულად ნეიტრალური არსებითი სახელები;
- გენდერულად სპეციფიკური არსებითი სახელები;
- მასკულინური კონსტრუქციები;
- ზედსართავი სახელები.

პორეკამ გენდერული თვალსაზრისით სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზში შემდეგი მეთოდოლოგია და პროცედურები გამოიყენა: 1) ქალისა და მამაკაცის გამოჩენა წიგნში: როგორც ტექსტში, ისე ილუსტრაციებში; 2) პირველად წარდგენის შემთხვევები: რამდენჯერ იქნა წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი პირველად სავარჯიშოებში, მაგალითებსა



ან წინადადებებში; 3) შემთხვევების რაოდენობა, სადაც მამაკაცები და ქალები წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა პროფესიების როლში, როგორც ტექსტში, ისე ილუსტრაციებში, ასევე, დათვლილ იქნა ქალების და მამაკაცების სხვადასხვა საქმიანობის საერთო რიცხვი; 4) დამატებით, ჩანიშნულ იქნა ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ყველა არსებითი სახელი. შემდეგ დაწყვილდა საწინააღმდეგო სქესის ორეულთან (მაგალითად, ქალი - კაცი), ამ გზით ქალებისა და მამაკაცების ყველაზე ხშირად აღმნიშვნელი არსებითი სახელები დადგინდა; 5) ასევე მოხდა მასკულიზური ზოგადი კონსტრუქციების რაოდენობის იდენტიფიცირება; 6) საბოლოოდ, კონკრეტულ ტექსტში ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული სურათ-ხატის დადგენის მიზნით, ქალისა და მამაკაცის დამახასიათებელი ზედსართავი სახელების იდენტიფიცირება და მათი გამოყენების სიხშირე იქნა შესწავლილი. ზედსართავი სახელები შემდგომ დაჯგუფდა ამ 11 სათაურის ქვეშ: გარეგნობა (მაგალითად: მაღალი, ლამაზი); ინტელექტი/განათლება (მაგალითად: ჭკვიანი, სულელი); ემოციურობა (მაგალითად: მოწყვნილი); ფიზიკური შესაძლებლობები/მდგომარეობა (მაგალითად: ძლიერი, დაღლილი); პერსონალური თვისებები (მაგალითად: მეგობრული, ბუზღუნა); ასაკი (მაგალითად: ახალგაზრდა, მოხუცი); სოციალური მდგომარეობა (მაგალითად: მდიდარი, ღარიბი); ნდობა/რეპუტაცია (მაგალითად: ცნობილი, არაპოპულარული); ნორმა/გადახრა (მაგალითად: ნორმალური, უცნაური); შესაძლებლობა (მაგალითად: უნარიანი, უუნარო); გარემოებათა წყალობით არსებული მდგომარეობა (მაგალითად: იღბლიანი, უიღბლო; იხ. პორეკა, 1984). პორეკას კვლევა და მის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური ჩარჩო საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა მკვლევრებისთვის და არაერთმა მეცნიერმა გამოიყენა ეს ჩარჩო საკუთარი სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზისას. ის განსაკუთრებით პოპულარულია უცხო ენისა და მეორე ენის სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზისთვის.

კროუფორდის კრიტიკული დისკურსანალიზი (CDA)

კრიტიკული დისკურსანალიზი გახლავთ ძალიან ფართოდ გავრცელებული მიდგომა სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზისთვის. დისკურსის თეორიის ზრდა (საიდანაც წარმოიქმნება CDA) *ლინგვისტური ცვლილების* გავლენით მოხდა. ლინგვისტური ცვლილება (linguistic turn) ხაზს უსვამს ენის ბუნებას და იმას, თუ როგორ აძლიერებს ენის



გაგება სოციალური ფენომენების გააზრებას. ჯონსენს (Johnsen 2001, 34) მოჰყავს კრიტიკული დისკურსანალიზის მაგალითი სახელმძღვანელოების კონტექსტში: „ენის ცოდნა გახდა აუცილებელი, ბეჭდურ და ელექტრონულ ტექსტებთან ყოველდღიური შემხებლობის თვალსაზრისით“. ენა მჭიდრო კავშირშია ტექსტთან, რომ ენა წარმოდგენილია ტექსტის საშუალებით, ხოლო ტექსტმა შეიძლება წარმოშვას ენა (მნიშვნელობის საშუალებით). ამ შემთხვევაში ტექსტი მოიცავს როგორც ვერბალურ, ისე ვიზუალურ ნიშნებს (LaSpina, 1998; Väisänen, 2008). ამრიგად, ეს არის ენა, რომელიც საშუალებას აძლევს ტექსტს, შეინარჩუნოს თანმიმდევრულობა და მოიპოვოს ან შექმნას მნიშვნელობა (Peräkylä, 2005).

კრიტიკული დისკურს ანალიზი ასევე ხაზს უსვამს ტექსტის კონტექსტის გათვალისწინებას ანალიზისას. სახელმძღვანელოების კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, კროუფორდი (Crawford, 2000) განსაზღვრავს სამ კონტექსტს: გავლენა, ტექსტის შექმნა და პრაქტიკა. კონტექსტის გავლენას კროუფორდი (Crawford, 2000: 1) განმარტავს, როგორც გარემოს, „სადაც მთავრობა და ძლიერი დაინტერესებული ჯგუფები პოლიტიკის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს განიხილავენ და წყვეტენ“. ამ კონტექსტში, ჰეგემონიის გაგება მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების ძლიერი ჯგუფები სწორედ ამ გარემოში ამუშავებენ მათსავე ძალაუფლებას, რათა განსაზღვრონ, თუ რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა სკოლებში. მთელი პოლიტიკა ემყარება კონკრეტულ იდეოლოგიურ საფუძვლებს, მაგრამ სახელმძღვანელოების შექმნა არ ეხება მხოლოდ პოლიტიკურ ძალას, რადგან ძალზე მნიშვნელოვანი სხვა ფორმებია (მაგალითად, ეკონომიკური ძალა). სწორედ ასეთ კონტექსტებში დგება ქვეყნის საგანმანათლებლო დისკურსი (Naseem, 2008). შესაბამისად, ამიტომ გახდა ამ მიდგომით სახელმძღვანელოების ანალიზი აქტუალური და მნიშვნელოვანი კონკრეტული ქვეყნების სასკოლო განათლების სისტემის და მისი მიზნების გასაანალიზებლად.

ფემინისტური კრიტიკული დისკურსული ანალიზი (ლაზარი, 2007)

ფემინისტური კრიტიკული დისკურსული ანალიზი (ლაზარი, 2007) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორიული ჩარჩოა, რომელიც გენდერს ძალაუფლებისა და იდეოლოგიის დისკურსში განიხილავს. სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზისას, ამ ჩარჩოს გამოყენებისას, მნიშვნელოვანია: (ა) გენდერული ძალაუფლება ტექსტებსა და საუბრებში; (ბ)



გენდერული ძალაუფლება სოციალური ინტერაქციისას; (გ) გენდერული ძალაუფლება საოჯახო ინტერაქციისას.

კონტენტანალიზისგან განსხვავებით, კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA) „გვთავაზობს სოციალურ პრაქტიკასა და დისკურსის სტრუქტურებს შორის ურთიერთობის დახვეწილ თეორიზაციას“ (Lazar, 2005, 4). მოგაშოა (Mogashoa, 2014, 105) ასევე ამტკიცებს, რომ კრიტიკული თეორიები ზოგადად ეხება ძალაუფლებისა და სამართლიანობის საკითხებს და ეკონომიკის, რასის, კლასის, სქესის, რელიგიის, განათლებისა და სექსუალური ორიენტაციის სოციალურ სისტემებად რეპროდუცირების ან გარდაქმნის გზებს.

ფემინისტური კრიტიკული დისკურსანალიზი მიიჩნევს, რომ დისკურსი არის სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთი ელემენტი; დისკურსის ანალიტიკოსთათვის განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური პრაქტიკის ის ასპექტები, რომლებიც დისკურსული ხასიათისაა (მაგალითად, საუბარი და წერა მოქმედების დისკურსული გზებია) და რომლებიც დისკურსულად არის წარმოდგენილნი, განსაკუთრებით - იდეური თვალსაზრისით (Chouliariaki & Fairclough, 1999).

ისტორიული დისკურსანალიზი

რუთ ვოდაკის (Ruth Wodak) კრიტიკული დისკურს კვლევა და დისკურს-ისტორიული მიდგომა

დისკურს-ისტორიული მიდგომა (DHA) განეკუთვნება კრიტიკული დისკურსკვლევის (CDS) ან კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) სფეროს (Reisigl & Wodak, 2001, 2009; Wodak, 2011, 2013). ზოგადად, კრიტიკული დისკურსკვლევები სწავლობს წინადადების დონის მიღმა ენის გამოყენებას, ისევე, როგორც მნიშვნელობის შექმნის ფორმას. ამგვარად, დისკურსები ურთიერთკავშირშია სხვა სემიოტიკურ სტრუქტურებსა და მატერიალურ ინსტიტუტებთან, ისინი აყალიბებენ მათ და ყალიბდებიან მათი გავლენით.

რეისილმა და ვოდაკმა (Reisigl & Wodak, 2009) შექმნეს გარკვეული ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ისტორიული დისკურსანალიზის განხორციელება სხვადასხვა საკითხის, თემის, ფენომენის. ამ მიდგომით, შესაძლებელია მოხდეს სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზიც, განსაკუთრებით - ისტორიულ ჟრილში, ანუ, როგორი იყო



ცვლილებების დინამიკა, მაგალითად, პირველი, მეორე, მესამე თაობის სასწავლო გეგმებში სხვადასხვა ჯგუფის წარდგენისა და ცოდნის კონსტრუირების თვალსაზრისით ან უფრო მეტიც: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოების და ახალი თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვაც შესაძლებელია ამ კონტექსტში. რეისილი და ვოდაკი (Reisigl & Wodak, 2009) გამოყოფენ 5 მნიშვნელოვან დომენს/კატეგორიას, რომლის ქვეშაც უნდა განხორციელდეს დისკურსული ანალიზი:

1. *სახელდება*: სხვადასხვა სქესის ადამიანები როგორ არიან დასახელებული ტექსტებში (ლინგვისტური კატეგორიები: არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავის სახელები);
2. *წინასწარ განჭვრეტა/განსჯა*: რა მახასიათებლები, თვისებები, მაიდენტიფიცირებელი ნიშნები აქვთ მიწერილი ქალებს? კაცებს (ლინგვისტური ინსტრუმენტები: სტერეოტიპული და შეფასებითი ინსტრუმენტები დაა.შ.);
3. *არგუმენტაცია*: რა მტკიცებულებები და არგუმენტებია გამოყენებული კონკრეტული ჯგუფის მიმართ? ლინგვისტური ინსტრუმენტები: მტკიცება, ბრალდება, ლოგიკაზე დაფუძნებული დასაბუთება ფაქტების გარეშე;
4. *ხედვების პერსპექტივების წარმოდგენა*: რა ხედვების, პერსპექტივების ქვეშ არის წარმოდგენილი ამა თუ იმ ჯგუფის დასახელებები, წინასწარ განსჯა, არგუმენტაცია. ლინგვისტური ინსტრუმენტები: პირდაპირი და არაპირდაპირი საუბრები, ციტატა, მეტაფორები;
5. *ინტენსიფიკაცია ან შერბილება*: რამდენად არის ტექსტები ორიენტირებული ამა თუ იმ ჯგუფის მახასიათებლების, ქცევის გაძლიერებულად პოზიტიურად ან ნეგატიურად წარმოჩენისკენ ან პირიქით შერბილებისკენ: (ლინგვისტური კატეგორიები: ჰიპერბოლა, გრძნობების ხაზგასმა, ჩაკითხვა მტკიცების ნაცვლად და ა.შ. (Reisigl & Wodak, 2009; Reisigl & Wodak, 2016).



კვლევის შედეგები

გენდერული თანასწორობა განათლებაში

საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში ნაწილობრივ ასახავს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სპეციფიკური საგანმანათლებლო რეგულირების ისეთი აქტები, როგორებიცაა: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის, სასკოლოს სახელმძღვანელოების გრიფირების წესი, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი და პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემები და მათში გენდერული თანასწორობის ამსახველი დებულებები:

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტი მიხედვით: გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია: ბ) ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე. ამავე კანონის მე-7 მუხლის მიხედვით: „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროებში 1. ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და სპეციალობის თავისუფლად არჩევის უფლება. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით, დისკრიმინაციის გარეშე. 2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით“.

ზოგადი განათლების შესახებ კანონში გენდერული საკითხები დარეგულირებულია 21-ე მუხლის მე-7 პრიმა მუხლით, რომელიც მასწავლებელთა საქმიანობის და პროფესიული განვითარების წესს შეეხება:

„ ზოგადი განათლების შესახებ კანონი მუხლი 21 (7)-ე 2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და



კარიერული წინსვლის სქემა მასწავლებლებს უნდა აყენებდეს თანაბარ მდგომარეობაში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, **სქესისა**, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა.“. აგრეთვე გარკვეული თვალსაზრისით ასახულია 33-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლების. მეორე მხრივ, კანონში არაფერია მოსწავლეების გენდერულ ნიშანზე თანასწორობის თვალსაზრისით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტი და ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის სწავლების და განათლების გზით საზოგადოების განვითარებისა - ეროვნული სასწავლო გეგმაა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ეროვნული სასწავლო გეგმა, ფაქტობრივად, არაფერს ამბობს. ეროვნული სასწავლო გეგმის 26-ე მუხლში არის გაკვრით საუბარი სასკოლო სახელმძღვანელოების მიღმა დამატებითი რესურსების გამოყენების თვალსაზრისით გენდერულ საკითხზე „4. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, **სქესის**, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს“... საგნობრივ სასწავლო გეგმებში კი გენდერული თანასწორობის საკითხები არც ერთ საფეხურზე არ არის შეტანილი.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბიოლოგიის მერვე კლასის სახელმძღვანელო, რომელშიც სქესობრივი განათლების გარკვეული ასპექტებია ასახული; ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მისაღწევ შედეგებს შორის მითითებულია: „არსებული კვლევების საფუძველზე ადრეულ სქესობრივ კავშირთან, ნაადრევ ქორწინებასა და ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზება, მათ გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციაზე მსჯელობა“ (**ბიოლ.საბ.11,12,13**). აგრეთვე „ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემისა და მისი ფუნქციების აღწერა“



(ბიოლ.საბ.1,2); კვლევის საფუძველზე დასაბუთება, როგორ მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე მშობლის მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების რისკ-ფაქტორებზე მსჯელობა (ბიოლ.საბ.1,2,5,6,7,8,9,10); ადამიანის რეპროდუქციული სისტემის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, უშვილობის დაძლევა, დაავადებები, ხელოვნური განაყოფიერება, მედიცინა, იმუნოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13). რეალურად, ამ შემთხვევაშიც, გამოყოფილია სქესობრივ თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა, გენდერული თანასწორობის კუთხით, სასწავლო გეგმა არაფერს ამბობს.

თვალსაჩინოა, რომ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის საკითხები ასახული არ არის და შესაბამისად ნაკლებად სავარაუდოა ეს საკითხები განხილული იყოს სასკოლო სახელმძღვანელოებში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ანალიზიც ცხადყოფს, რომ არ არის წახალისებული სასკოლო სახელმძღვანელოებში ისეთი მასალის შეტანა, რომელიც აღიარებს ქალების როლს ისტორიაში, ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში და ა.შ.

გრიფირების რეგულირება და წარმართვა

სასკოლო სახელმძღვანელოები და მათი გრიფირების პროცესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობის შესახებ სწავლების უზრუნველსაყოფად სასკოლო განათლებაში. ამ თვალსაზრისითაც, რამდენიმე პრობლემა იკვეთება, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ.

2011 წლის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესის შესახებ გამოცემულ მინისტრის ბრძანებაში, პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმძღვანელო არ შეფასდება და ეთიშება გრიფირებას იმ შემთხვევაში, თუ: „მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, სქესი, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვა)“. ეს მუხლი გამქრალია 2017 წლის რედაქციიდან (№28/ნ, 2017 წლის 16 თებერვალი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“) და ამ ახალ



რედაქციაში საერთოდ არ არის მსგავსი მკაცრი მოთხოვნა სახელმძღვანელოების ავტორებისადმი. მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასების კრიტერიუმებში ჩამონათვალში გვხვდება ერთ-ერთ კომპონენტად ამ თვალსაზრისით შეფასება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #621, 14.04.2017 „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ დანართი 2-ში, „მოთხოვნები სახელმძღვანელოსთვის /სერიისთვის“, მოთხოვნა 2 - თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა აყალიბებს ორ ქვე-მოთხოვნას: დაწყებითი განათლების საფეხურის სახელმძღვანელოების კრიტერიუმი 2 – „თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციული და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა“,

პუნქტი 2.1 აყალიბებს: „არ შეიცავს სტერეოტიპულ, არაკორექტულ, დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და ნიშნით“.

ამ ქვეპუნქტში პრობლემურია, რომ სახელმძღვანელოსათვის მოთხოვნა ნეგატიური პერსპექტივიდან არის ჩამოყალიბებული, რაც გულისხმობს სტერეოტიპების, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციისგან თავისუფალი სახელმძღვანელოს შემუშავებას და არ წაახალისებს მრავალფეროვნების, დაბალანსებული და მგრძობიარე მიდგომის გამოყენებას რესურსების შექმნისას.

პუნქტი 2.2 განსაზღვრავს: საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ტექსტსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე პუნქტი გამოიყენება სახელმძღვანელოს მაკეტის შესაბამის სახის (მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, (ელ- რესურსის და მის გარეშე) რეცენზირებისას, კრიტერიუმების წონები (%) საგნების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული კრიტერიუმის თანაფარდობას თითოეული საგნისათვის, ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის არ საზღვრავს ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების წილობრივ გავლენას სახელმძღვანელოების შეფასებისას, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი მნიშვნელობა სახელმძღვანელოს შეფასების პროცესში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და არ განმარტავს, რას გულისხმობს „საგნობრივი სპეციფიკა“.



საბაზისო და საშუალო საფეხურის შინაარსობრივ ნაწილში გენდერული საკითხების რეგულირებას განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #768, 31.12.2018: „ზოგადი განათლების საბაზისო და საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“, დანართი 2-ში, კრიტერიუმი 5.1 - თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციის ელემენტების აკრძალვა, რომელიც იმავე ქვე-კრიტერიუმებს განსაზღვრავს, რასაც დაწყებითი საფეხურის ორი ქვე-მოთხოვნა; აღსანიშნავია, რომ არ ფასდება ქულობრივად და მხოლოდ „აკმაყოფილებს/არ აკმაყოფილებს“ სახით განსაზღვრავს სახელმძღვანელოსთვის კრიტერიუმთან დაკავშირებულ მოთხოვნას.

ამ კუთხით, პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის ჩართულობა გრიფირების პროცესში 2018 წლიდან, რომელიც სწორედ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ამოწმებდა გრიფირებისთვის წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის ჩართულობა, გარკვეულწილად, ფორმალური პროცედურა აღმოჩნდა და რაიმე გავლენა ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოების გაუმჯობესებაზე გავლენა არ მოუხდენია.

სახელმძღვანელოს ინდივიდუალური შეფასებისას, „სხვა სპეციალისტი“ და ფსიქოლოგი მასალას ამოწმებენ კონკრეტული ფუნქციური დატვირთვის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციასთან და გაეროს მდგრადი განვითარების პრინციპებთან სახელმძღვანელოთა თავსებადობის დასადგენად, ხოლო თანასწორობისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ასევე ძალადობისაგან მოწოდების აკრძალვის კრიტერიუმების შეფასებისას, „სხვა სპეციალისტთან“ ერთად ფსიქოლოგიც ერთვება. სახალხო დამცველის თანამშრომელი „სხვა სპეციალისტისგან“ დამოუკიდებლად აფასებდა სახელმძღვანელოს შესაბამისი კრიტერიუმებით, თუმცა, საერთო რეკომენდაციებში მის მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები, როგორც წესი, არ აისახებოდა კომისიის სხვა წევრების განსხვავებული ხედვის გამო, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ გამოთქმული მოსაზრებების ასახვა დაუკარგავდა სახელმძღვანელოს საგანთან დაკავშირებულ შესაბამის ღირებულებას და გამოთქმული მოსაზრებები ხელოვნური იყო (ჭანტურია, ქადაგიძე, 2020).



მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული მგრძობიარობის განვითარების არაპოლიტიკურ ხედვაზე მიუთითებს ჩართულობის განსხვავებული ხარისხი; 2019 წლის ოქტომბერში გამოცხადებული გრიფირების პროცესის ფარგლებში, 2020 წლის 4 მარტიდან 18 ივნისამდე მიმდინარე რეცენზირების ეტაპზე, „სხვა სპეციალისტის“ სტატუსის მქონე რეცენზენტი ზოგიერთი საგნის თემატიკისა და სხვა შემფასებლების შესაბამისი კომპეტენციის გამო, არ იყო ჩართული საბაზო საფეხურის ცალკეული დისციპლინის სასწავლო მასალის რეცენზირების პროცესში. ასეთ შემთხვევებში, სახელმძღვანელოს უფლებრივ შეფასებას, საზიარო ფუნქციური დატვირთვის ფარგლებში, ფსიქოლოგი ახდენდა (ფიზიკა, ქიმია, მოქალაქეობა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, პირველი უცხოური ენა ინგლისური; მეორე უცხოური ენა რუსული; მეორე უცხოური ენა გერმანული);

დამოუკიდებელი შეფასების შედეგების მიუხედავად, სახალხო დამცველის წარმომადგენელი ხშირ შემთხვევაში ვერ შედიოდა საგნობრივ და მეთოდოლოგიურ დისკუსიაში სპეციალისტთან არასათანადო კვალიფიკაციის გამო შესაბამის დარგსა და განათლების სფეროში. შესაბამისად, შეფასებაში კონკრეტული კრიტერიუმების ასახვისათვის, მნიშვნელოვანი იყო ისეთი სპეციალისტების შერჩევა და წარგზავნა სახალხო დამცველის მიერ, რომელთაც დარგის ღრმა ცოდნა და, დამატებით, გენდერული და მულტიკულტურული საკითხების სიღრმისეული ანალიზის და დასაბუთების უნარი და მზაობა ექნებოდათ.

სხვადასხვა სტატუსის მქონე რეცენზენტთა მხრიდან განსაკუთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა ის რეკომენდაციები, რომლებიც სახელმძღვანელოებში საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენასა და გენდერული თანასწორობის დაცვას/წახალისებას ისახავდა მიზნად. ხსენებული პრობლემა ყველაზე ხშირად ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ ჯგუფში იჩენდა თავს და სათანადო რეკომენდაციების გაუზიარებლობით სრულდებოდა (საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, N 17-1/9393 23/09/2020).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შერჩეულ რეცენზენტთა მრავალფეროვნების უმცირესობათა პარადიგმის ქვეშ ხედვა და არ მიიჩნევა მრავალფეროვნების, როგორც ღირებულების წარმოჩენას, აგრეთვე ტოლერანტობის



განვითარებას ქართულის, როგორც მშობლიური ენისთვის და შესაბამისად დომინანტი ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეებისთვის. განათლების და მეცნიერების სამინისტროს შერჩეული რეცენზენტების პოზიციით, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენა, მაგალითად, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანების სახელების ინტეგრირების გზით, არ იყო აუცილებელი, რადგან ამისათვის არაქართულენოვან სექტორებზე არსებობს ცალკე საგანი - „ქართული როგორც მეორე ენა.“ (საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, N 17-1/9393 23/09/2020)“. ანუ დომინანტი კულტურული ჯგუფის წარმომადგენლებისათვის საქართველოს მრავალფეროვნების შესახებ ცოდნა და შესაბამისი დამოკიდებულებების განვითარება არ არის მნიშვნელოვანი და ამ თვალსაზრისით მხოლოდ უმცირესობათა სკოლებისთვის განკუთვნილმა სახელმძღვანელომ უნდა ასახოს არსებული მრავალფეროვნება, რაც როგორც პედაგოგიური, აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი პოზიციონირებაა. კიდევ ერთი კონკრეტული გამოწვევა სკოლის როლის სამოქალაქო აქტივიზმის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში არაადეკვატურ გააზრებაში გამოიხატება; ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის წევრები ასევე მიუთითებდნენ, რომ დემოკრატიული მოქალაქის, ანუ კულტურული მრავალფეროვნებისა და სხვა ღირებულებების მხარდამჭერი პიროვნების ჩამოყალიბება ექსკლუზიურად ერთი საგნის - „სამოქალაქო განათლების“ ფუნქციაა. შესაბამისად, ისინი უგულვებელყოფდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლის „სხვა სპეციალისტის“ მოსაზრებებს სხვა საგნებთან მიმართებით, რაც თავიდანვე არასწორ პედაგოგიურ გააზრებას და სკოლის, როგორც მთლიანი ინსტიტუციისა და მასში არსებული კლიმატის მნიშვნელობის არასწორ ხედვას უსვამს ხაზს.

აქვე უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის მიერ მივლენილი რეცენზენტის, „სხვა სპეციალისტის“ შერჩევის სისტემის გაუმჭვირვალობა. სახალხო დამცველმა „სხვა სპეციალისტის“ შერჩევა აბსოლუტურად გაუმჭვირვალე მექანიზმებით განახორციელა. ამასთანავე, სახალხო დამცველის ინსტიტუციის მიღმა, ფართო საზოგადოების ჩართულობა შერჩევის პროცესში მცირე იყო, რამაც შეამცირა შესაძლებლობა, რომ სრული სპექტრით



გამოყენებულიყო ეს უნიკალური შესაძლებლობა და სამინისტროსთვის შეფასების პროცესში ჩართვისათვის, „სხვა სპეციალისტის“ სახით, კვალიფიციური კადრი შერჩეულიყო, რაც შესაძლებელს გახდიდა, რომ მოსაზრებები კვალიფიციურად და დამაჯერებლად დასაბუთებულიყო ყველა საგნობრივი ჯგუფისთვის.

სწორედ სახალხო დამცველის მიერ შერჩეული „სხვა სპეციალისტის“ არასაკმარისი კვალიფიკაცია განათლებისა და სწავლების საკითხებში გახდა ძირითადი მიზეზი, რომ ადეკვატური და არგუმენტირებული მსჯელობა სხვა რეცენზენტებთან ვერ მოხერხდა. ეს საკითხი კი პირდაპირ არის დაკავშირებული ზემოთ განხილული შერჩევის გაუმჭვირვალე სისტემის პრობლემასთან.

სააპელაციო კომისიის დაკომპლექტების წესიც ასევე პრობლემური აღმოჩნდა. სააპელაციო კომისია შედგებოდა მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებისგან და სკოლის დირექტორებისგან. შესაბამისად, საკითხების გადაჭრის დემოკრატიული მექანიზმი არ იყო შემოთავაზებული. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით დამატებითი ბერკეტების ამუშავება.

სააპელაციო კომისიის არადემოკრატიული წესით დაკომპლექტების შედეგად, სააპელაციო კომისიის მიღებული გადაწყვეტილებები არასამართლიანი და არასაკმარისად არგუმენტირებულია. 2020 წელს სააპელაციო კომისიამ განიხილა გასაჩივრებული 19 სახელმძღვანელო. კომისიამ განიხილვის პროცესში არ მოიწვია დამოუკიდებელი ექსპერტი. „სხვა სპეციალისტის“ სტატუსის მქონე რეცენზენტი ჩაერთო მხოლოდ ერთხელ, ხოლო ფსიქოლოგი კი - ორჯერ. საგულისხმოა, ამ პირების ჩართულობაც ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ახდენს გადაწყვეტილებებზე, რადგან სააპელაციო კომისიის წევრები არიან გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირები, ხოლო კომისია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ სამინისტროს წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა სახელმძღვანელოებს დაბალი შეფასება ჰქონდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და თანასწორობისა და ეთიკის ნორმების დაცვის მიმართულებით, ხოლო საბოლოო შეფასება მაღალი იყო, ისევე, როგორც - პირიქით. შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ საგნობრივი და „სხვა სპეციალისტის“ ჰარმონიული მუშაობის საფუძველზე, სრულად დახვეწილი სახელმძღვანელოების მიღების ნაცვლად, ვიღებდით ერთი ან მეორე მიმართულებით პრობლემურ სახელმძღვანელოებს, ხოლო



შემფასებლები ვერ თანხმდებოდნენ იმ მნიშვნელოვან პრინციპებზე, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა სახელმძღვანელოების შეფასებისას.

კიდევ ერთი პრობლემა კომისიის სხდომის ოქმების და რეცენზენტთა დასკვნების ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას უკავშირდება, რომელთა მოპოვებაც გართულებულია ანონიმური სახითაც. სახალხო დამცველის აპარატიც კი არ ასაჯაროებს საკუთარი სპეციალისტების დასკვნებს ანონიმურად, რათა გაჩნდეს საშუალება იმ ასპექტებისა და მიმართულებების ანალიზისათვის, რომლებმაც, კონკრეტულ შემთხვევებში, პოზიტიური შედეგების მიღწევა გახადა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, გაცილებით გამჭვირვალე აღმოჩნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელმაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ჩართულობით მოგვაწოდა თითოეულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული დასკვნები. დასკვნების ანალიზი ცალკეა წარმოდგენილი ამ ანგარიშში.

მასწავლებელთა განათლება და პროფესიული განვითარება

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების გარდა, განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხების სწავლების თვალსაზრისით საინტერესოა მასწავლებელთა სტანდარტში, საქმიანობის და პროფესიული განვითარების წესსა და მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ამ საკითხების ასახვის შესაძლებლობა და პრაქტიკა. არსებულ კანონმდებლობაში მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება, ისევე, როგორც მათი პროფესიული მახასიათებლები და კომპეტენციები, არ მოითხოვს გენდერული თანასწორობის კუთხით ცოდნის, ცნობიერების ან გამოცდილების არსებობას, რადგან ეს საკითხი არ არის ასახული მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის პროფესიულ დარგობრივ მახასიათებლებში, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მასწავლებელთა განათლების პროგრამები. ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გამონაკლისია სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც მოეთხოვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისას გაითვალისწინოს: „ვ) სსსმ მოსწავლის შეფასებისას, მოსწავლის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა თავისებურებების (უნიკალურობის) გათვალისწინება“ (მუხლი 18, 30.06.2020). შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებსა და მასწავლებელთა განათლების



პროგრამებში გენდერული ასპექტი ნაკლებად არის გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მეტად თვალსაჩინოა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები (მაგალითად, 2016 წელს „ლიდერობის აკადემია 1“- ის ფარგლებში შემუშავდა სამი მოდული (40 საათი), რომელშიც აისახა გენდერული საკითხები. მოდულის საფუძველზე სკოლის დირექტორებისათვის ჩატარდა ტრენინგები ორგანიზაცია IREX-მა. მსგავსი ტრენინგები უტარდებათ მასწავლებლებსაც სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ).

არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები გარკვეულწილად ასახულია გენდერული თანასწორობისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონებში, თუმცა, მისი რეგულაციების სფერო შეზღუდული და არასრულია. შესაბამისად, ნაკლებად იძლევა შესაძლებლობას გენდერული თანასწორობის საკითხების სასკოლო დონეზე სწავლების, სტერეოტიპებისგან თავისუფალი სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისა და გენდერული როლების დაბალანსებისათვის. ასევე, მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების თვალსაზრისით, გენდერული კომპეტენციების გაძლიერებისათვის არანაირი საკანონმდებლო უზრუნველყოფა არ არსებობს და ამ მიმართულებით ბევრი დამატებითი ძალისხმევაა საჭირო.



სახელმძღვანელოების შეფასების ანგარიშების ანალიზი

კვლევის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების მიერ მოწოდებული ექსპერტთა რეკომენდაციები 2019-2021 წლებს ფარავს და, საერთო ჯამში, 197 სახელმძღვანელოს შეფასებას გულისხმობს. ანალიზისათვის, კვლევის ფარგლებში, ბიჯის პრინციპით შეირჩა 50 სახელმძღვანელო (ბიჯი - ყოველი მე-4 სახელმძღვანელო) შეფასების წლის გათვალისწინებით და განხორციელდა შეფასების ანგარიშების ანალიტიკური მიმოხილვა. შედეგები გაერთიანდა მიგნებების მიმართულებების მიხედვით და, შესაბამისად, მომზადდა დასკვნა.

მიგნებები

სახელმძღვანელოების შეფასების ანგარიშები შემდეგ სურათს კვეთს:

1. სახელმძღვანელოში დასახელებული არგუმენტები კრიტერიუმის „თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა“ ქვე-კრიტერიუმებში განსაზღვრული თითოეულ ასპექტზე, რომელიც მოიცავს (... „ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებს“...) არაერთგვაროვნად აკეთებს აქცენტებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე ასპექტი განხილულია, არგუმენტები და რეკომენდაციები მიწოდებული, თუმცა, ყურადღების მიღმა არის დარჩენილი სხვა ასპექტები.
2. სქესის, როგორც შეფასების კრიტერიუმის ერთ-ერთი ასპექტის შეფასება არაერთგვაროვანია სიღრმისეულობის თვალსაზრისით, რაც ხაზს უსვამს შეფასების სტანდარტის არარსებობას. ხარისხობრივად და ინტენსივობის თვალსაზრისით, განსხვავებულია პროცესში ჩართული კონკრეტული პირის/პირთა დამოკიდებულება, რაც ეჭვს ბადებს გენდერული კომპეტენციების საგნობრივ ჭრილში დანახვის მზაობასთან დაკავშირებით.



3. გვხვდება შეფასებები, რომლებიც არასაკმარისად მკაფიოა და ავტორებს არ აძლევს ზუსტ მიმართულებას რეკომენდაციის შესრულებისათვის. ასე მაგალითად, ერთერთი სახელმძღვანელოს რეკომენდაციაში ვხვდებით: „გვ. 142 ქალის სილამაზეზე მსჯელობისას: რამენაირად ორივე სქესი წარმოაჩინეთ“; ამავე შეფასებაში, რეკომენდაციის შესაბამის განმარტებაში ვკითხულობთ: „გვ.142. განსაკუთრებითაა გამოყოფილი ქალის სილამაზის საკითხები ადრეულ და გვიან შუასაუკუნეებში ევროპასა და საქართველოში, მაშინ, როდესაც ამ ეპოქებში საქართველოშიც და ევროპაშიც კაცის სილამაზის სტანდარტებიც არსებობდა.“ ამ ტიპის განმარტება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ავტორებმა შეძლონ სტერეოტიპული ატრიბუციის სწორად მართვა.
4. მეორე მხრივ, სახელმძღვანელოების კრიტერიუმის „თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა“ შეფასებისას, გვხვდება დეტალური და მნიშვნელოვანი შენიშვნები, რეკომენდაციები და არგუმენტაცია, რომლებიც ღირებულია და მათი გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სახელმძღვანელოების გენდერულ ხედვას. იმდენად, რამდენადაც შეფასებების მიხედვით შესაძლებელია კონკრეტული სახელმძღვანელოების ამოცნობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეკომენდაციები არ არის სრულად ან სრულებით არ არის გათვალისწინებული, რაც, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს გენდერის, როგორც მნიშვნელოვანი ასპექტის უგულვებელყოფის ფაქტს შეფასებაში, ხოლო, მეორე მხრივ კი - პროცესის სერიოზულ ხარვეზზე მიუთითებს, სადაც ექსპერტების (სხვა სპეციალისტი, ფსიქოლოგი) ძალისხმევას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ენიჭება და არ ახდენს გავლენას სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭებისას.
5. აღსანიშნავია, რომ დეტალური და ღირებული რეკომენდაციებისა და არგუმენტაციის მაგალითები მოიცავს არა მხოლოდ ტექსტური/ილუსტრაციული მასალის კონკრეტულ ჭრილში შეფასებას, არამედ, ასევე, აძლევს ავტორებს მითითებებს გენდერული საკითხების ტექსტის შემდგომი განხილვების, საკლასო დისკუსიებისა და სახლში მუშაობის სწორად წარმართვისათვის. შესაბამისად, ამ ტიპის შეფასებების ზედმიწევნით ზუსტად გათვალისწინებას, განმეორებით რევიზიას და სახელმძღვანელოზე მუშაობის მეთოდიკაში მის ინტეგრირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.



ჩაღრმავებული ინტერვიუების სამიზნე პირების შერჩევა

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი მიმართულებით: 1. გრიფირებული სახელმძღვანელოების გამომცემლობის წარმომადგენლები და ავტორები; 2. გრიფირების პროცესში ჩართული ექსპერტები; 3. გრიფირების პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული გადაწყვეტილების მიმღები პირები.

თითოეული სამიზნე მიმართულების ინტერვიუებისთვის შემუშავდა ნახევრად-სტრუქტურირებული პროტოკოლები. ინტერვიუების თანაფარდობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. 6 გამომცემელი / ავტორი
2. 2 გრიფირების ექსპერტი
3. 1 გრიფირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი (გრიფირების სამმართველოს წარმომადგენელი)

კვლევის ფარგლებში ჩაწერილი 9 რესპონდენტიდან, 2 მამაკაცი და 7 ქალი იყო. მათ შორის, 3 გამომცემელი, 3 კი - სახელმძღვანელოს ავტორი / თანაავტორი, 2 კი, გრიფირებაში ჩართული ექსპერტი და ერთი გრიფირების პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პირი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამომცემლებიდან ყველა უშუალოდ იყო ჩართული წიგნების შემუშავების პროცესშიც, რაც მათ საშუალებას აძლევდა, სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი და შედეგები განეხილათ როგორც საავტორო, ისე - გამომცემლობის პერსპექტივიდან. თითოეულ რესპონდენტთან ინტერვიუ ჩაიწერა ინდივიდუალურად, სატელეფონო ან პირდაპირი შეხვედრის ფორმატში. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 25-50 წუთს შეადგენდა. ინტერვიუები წარიმართა წინასწარ შემუშავებული პროტოკოლების გამოყენებით. რესპონდენტების თანხმობის საფუძველზე გაკეთდა აუდიოფაილები და შეიქმნა ტრანსკრიპტები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული კოდების მიხედვით დამუშავდა.

მიღებული მასალა, პირობითად, 3 მიმართულების მიხედვით გაანალიზდა:

1. სასკოლო განათლების განმსაზღვრელი დოკუმენტების შესაბამისობა სახელმძღვანელოს ხარისხსა და შეფასების კრიტერიუმებთან
2. გენდერული მგრძობიარობისა და მრავალფეროვნების ასახვისათვის საჭიროება და შესაძლებლობები
3. აღქმული სირთულეები და ძირითადი გამოწვევები.

ინტერვიუების საფუძველზე გაკეთდა დასკვნები, რომელიც ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი.



გრიფირების პროცესში ჩართულ მხარეთა ინტერვიუების ანალიზი და დასკვნები

სასწავლო გეგმისა და სტანდარტის შესაბამისობა სახელმძღვანელოს ხარისხსა და შეფასების კრიტერიუმებთან

სახელმძღვანელოს შემუშავებაზე მოქმედი მრავალი ფაქტორიდან, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ავტორები ეროვნულ სასწავლო გეგმას მიიჩნევენ, რაც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სახელმძღვანელოს როგორც შინაარსობრივი მხარის, ისე - კონკრეტული საკითხების განხილვის სიღრმისა და მიმართულებების განსაზღვრებისათვის. ამასთან, სასწავლო გეგმის კონცეფციისა და ხედვის მიხედვით, ავტორებს საშუალება ეძლეოდათ შინაარსობრივი ორიენტირები ფართო, მრავლისმომცველი ცნებების ფარგლებში თავად განესაზღვრათ და შინაარსობრივი ლოგიკის გათვალისწინებით, კატეგორიზაციაც თავად მოეხდინათ. მეორე მხრივ, მათ მიეწოდათ ის საორიენტაციო საკითხები, რომლებიც სახელმძღვანელოში უნდა შესულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებს სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა, რეალურად, ავტორების განმარტებით, მათ საკმაოდ მკაფიო მესიჯები მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხების ასახვა, რეალურად, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სახელმძღვანელოების დადებითი შეფასების მისაღებად. შესაბამისად, ავტორები საუბრობენ არაპირდაპირ მიწოდებულ, გაუწერელ ვალდებულებებზე, რომლებიც მათ წინაშე არსებობდა. ამგვარი ორპერსპექტივიანი დამოკიდებულება კი, ერთი მხრივ, სამინისტროს ცენტრალიზებული ხედვის მტკიცებულებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ კი რეცენზენტებისთვის ტოვებდა თავისუფალ სივრცეს შეხედულებების და არა მკაფიოდ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მიეღოთ გადაწყვეტილებები. ამასთან, ავტორები საუბრობენ იმ ბუნდოვანებაზე, რომელიც რეცენზენტების შერჩევასა და მათ პროფესიული კვალიფიკაციასთან, შერჩევის თანაბარ შესაძლებლობებსა და ობიექტურობასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენდა პროცესის დახურულობის, რეცენზენტების კომუნიკაციის მიმართულების, სიხშირის და ფორმატისა და თავად რეცენზიების/შენიშვნების ხარისხიდან გამომდინარე. გამოკითხული პირებიდან ყველა აპელირებს შეფასების პროცესში



სახელმძღვანელო კრიტერიუმების ბუნდოვანებაზე.

„საკითხები არის სავარაუდო შინაარსის, თითქოს გეუბნება, რომ ეს სავარაუდო რეალურად რეკომენდებულია. შენ შეგიძლია ეს არ გაითვალისწინო, თუმცა მეორე მხრივ არ იცი, შეფასებისას ვინ შეგხვდება რევენზენტი . ის მიუდგება თუ არა ასე -შენ რატო შეცვალე და ის საკითხი არ აიღე “. [ავტორი]

ავტორების კრიტიკა მწვავეა „ახალი სკოლის მოდელის“ მეთოდოლოგიური საყრდენების მიმართაც. მათი აზრით, პროექტის ხედვა არ არის სტაბილურ ორიენტირებზე დაფუძნებული და ხშირად იცვლება. მოდელის ფარგლებში შეთავაზებული მეთოდოლოგიური მიდგომები არამდგრადია; შესაბამისად, სწავლების მეთოდური ორიენტირები პერმანენტულად იცვლება, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ავტორებისა და გამომცემლობებისათვის. ავტორების მოსაზრებებიდან იკვეთება ტენდენცია, რომ იმ მცირე პერიოდშიც კი, რომელიც სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის არის განსაზღვრული, მათ უწევდათ პედაგოგების განამკვლევში შერჩეული სტრატეგიების პერმანენტული შეცვლა სასწავლო გეგმასა და სტანდარტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ასეთი მიდგომა, საბოლოო ჯამში, კონკრეტული საკითხების სწავლებისას ავტორისეულ ხედვას ძალიან აზარალებდა, რიგ შემთხვევებში რადიკალურად ცვლიდა და ამორებდა სახელმძღვანელოში მოცემული კონკრეტული საკითხის განხილვის თავდაპირველ მიმართულებას. გამომცემლის საუბარში იკვეთება შემთხვევები, როდესაც ორი სასწავლო წლის მასალა, რომელიც ორი კლასის სახელმძღვანელოდ იყო გათვლილი და გამზადებული, სასწავლო გეგმაში განხორციელებულ ცვლილებაზე აპელირებით, ერთ წელიწადზე გათვლილ მასალად უნდა გადაკეთებულიყო. ამგვარი მოულოდნელი და სწრაფი ცვლილებების განხორციელება კი არა მხოლოდ შინაარსობრივ შემჭიდროებას, არამედ სახელმძღვანელოს გამოყენების მეთოდურ ცვლილებასაც მოითხოვდა. ამ კუთხით ასევე არსებითია გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების ასახვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მოდიფიკაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, რის გამკლავებაც კიდევ უფრო შემჭიდროვებულ ვადებში, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

გარდა პროფესიული გადაღლისა, რომელსაც სახელმძღვანელოზე მუშაობის დაძაბული რეჟიმი იწვევდა, ავტორები საუბრობენ ფრუსტრაციის მაღალ ხარისხზეც, რომელიც მათ გამოცდილებაზე დაფუძნებული ხედვების გადახედვასა და გადაკეთებასთან იყო



დაკავშირებული. ინტერვიუებში რამდენიმე ავტორმა აღნიშნა, რომ ფიქრობენ სახელმძღვანელოებზე მუშაობის შეწყვეტას.

„ბევრჯერ მიფიქრია: ძალიან დავიღალე და აღარ მინდა სამინისტროსთან ბრძოლა და ამ გაუთავებელ ჭიდილში ყოფნა. ხელჩართულ ბრძოლაში ვართ. ის, რასაც საგნობრივ გეგმასა და სტანდარტებთან დაკავშირებით აპირებენ, თავდაყირა აყენებს ყველაფერს. გარდა იმისა, რომ თავად გრიფირების პროცესი მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს მიდგომებში“. [ავტორი]

ავტორების მოსაზრებით, რთულ სამუშაო პირობებში და, ზოგადად, საგნობრივ-მეთოდოლოგიური სპეციალისტების სიმცირის ფონზე, რთულია საჭირო ადამიანების შემოკრებაც წიგნის წერის პროცესში. ავტორები საუბრობენ, რომ გამომცემლობების კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, ავტორთა ჯგუფები ხანდახან არა კვალიფიკაციის დადასტურებით, არამედ ავტორების ცნობადობით განისაზღვრება. ავტორების პირადი გამოცდილების აღწერის, ავტორთა ჯგუფის გაერთიანების პრინციპების, გამომცემლობის ჩართულობისა და უფლებამოსილების დელეგირების პრინციპების განხილვისას, ავტორები საუბრობენ თავად საგნობრივი ექსპერტული ცოდნის, პროფესიული კვალიფიკაციისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური თუ საგნობრივ-სპეციფიკური გამოცდილების სინთეზის აუცილებლობაზე და ასკვნიან, რომ რეალურად, ამგვარი ექსპერტიზა საქართველოში საკმაოდ მწირია.

„კოლექტივის შედგენა უკვე ჩემი ფუნქცია იყო. ამიტომ მე ვეძებდი ისეთ ხალხს, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ სკოლასთან, რომ, ჩართული ყოფილიყო აუცილებლად სკოლის მასწავლებელი.... შევკრიბე საუკეთესო სპეციალისტები, ვინც კი არიან ამ სფეროში.... კარგი სპეციალისტები სად არიან? თსუ-ში არიან უპირველეს ყოვლისა, [მიზნობრივად გამოტოვებულია მიმართულება] ინსტიტუტში. აი, ამ ხალხს მივმართავდი ხოლმე. თუმცა, მათ სახელმძღვანელოების წერის გამოცდილება არ ჰქონდათ. საერთოდ, როგორც უკვე გითხარით, ეს არის ძალიან სპეციფიური, ურთულესი საქმე“ ... [ავტორი]

ინტერვიუებმა ასევე გამოკვეთეს ისეთი პოზიტიური პრაქტიკების არსებობა, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასთან და მოწინავე ქვეყნების მიერ სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესებზე დაკვირვებასთან არის დაკავშირებული.



ასეთი პრაქტიკების დანერგვა ავტორებს საშუალებას აძლევს საგნობრივი შინაარსის შერჩევისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის პროცესის აუცილებელი რესურსები და ნაბიჯები შეისწავლონ და გაითავისონ. გარდა ზოგადი შინაარსობრივი მიმართულებების შერჩევისა და დამუშავებისა, ამგვარ პროგრამებში მონაწილეობა საშუალებას აძლევს მათ, რომ გაეცნონ გენდერულად დაბალანსებული, კულტურულად მრავალფეროვანი სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის აუცილებელ ნაბიჯებს, ტექნიკებს, ეტაპებს, რესურსებს და, შესაბამისად, გაიუმჯობესონ კომპეტენციები.

„სამჯერ ვარ იქ სტიპენდიით ნამყოფი და ეს ბიბლიოთეკა¹ რა არის, იცით? ეს არის ადგილი, სადაც იკრიბება მთელი მსოფლიოდან ისტორიის, სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორები. მიმდინარეობს მსჯელობა შინაარსის, აქცენტების, მეთოდოლოგიების შესახებ. მუშავდება და შეირჩევა წყაროები. ასევე მიმდინარეობს დისკუსიები გენდერის, კულტურული თავისებურებების ასახვის სწორი გზების და მიმართულებების შესახებ“.

ავტორები და გამომცემლები ხაზს უსვამენ კვალიფიციურ, პროფესიონალ პედაგოგებთან თანამშრომლობის აუცილებლობას სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების დასადგენად, სწავლების პროცესის ხელშეწყობისათვის საჭირო სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის. გამომცემლობები პედაგოგებთან ჩადმავებულ ინტერვიუებს გეგმავენ.

„მასწავლებლებს აქვთ პრეტენზია, რომ არ უკავიათ ისეთი სახელმძღვანელოები, რაც მესამე თაობის ესგ-ს განხორციელებაში შეუწყობდათ ხელს. ისინი ძალიან სერიოზულად წარმოაჩენენ სახელმძღვანელოების პრობლემას. კვალიფიკაცია და პრაქტიკული ცოდნა ავტორს აუცილებლად სჭირდება. თუმცა მხოლოდ პრაქტიკაც არაა საკმარისი, თეორიული საკითხების ცოდნაც აუცილებელია“. [გამომცემელი]

გამომცემლები მიიჩნევენ, რომ პედაგოგების მიერ მოწოდებული შენიშვნების მიხედვით, მათი საჭიროებები ესგ-სთან მიმართებით და ის შენიშვნები, რომლებიც სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში ექსპერტებისგან მოდის, სრულიად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მეტიც, ხანდახან წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. შესაბამისად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციური,

¹ საუბარია გეორგ ეკერტის ინსტიტუტის პროგრამაზე (ბრაუნშვაიგი, გერმანია)



მიზანზე ორიენტირებული ინსტრუმენტები გამოიყენება სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სახელმძღვანელოების შემუშავების და მომდევნო ეტაპზე კი, შერჩევისათვის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მკაფიოდ იკვეთება კვლევაში, სახელმძღვანელოების ავტორებისათვის გამოყოფილი შემჭიდროებული ვადებია, როგორც სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე - გრიფირების კომისიის მიერ მისი პირველადი განხილვის შემდეგ მიღებული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად. ასეთი მიდგომები ავტორების ნამუშევრის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს. ავტორების ნაწილის მოსაზრებით, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ავტორები კიდევ ახერხებენ, რომ ფეხი შეუწყონ უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში რესურსების შემუშავებას, თუმცა, არსებული სისტემა ხელს უშლის ახალი ავტორების გაჩენას არასახარბიელო პირობების, სტრესული და არასათანადოდ ანაზღაურებადი საქმიანობის გამო.

სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევენ, რომ სასწავლო რესურსების შედგენისას, გასათვალისწინებელია, კომერციული ინტერესი ხარისხზე მეტად მნიშვნელოვანი არ იყოს გამომცემლობისათვის. ავტორთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ არაკომერციული გამომცემლობების არსებობა სახელმძღვანელოს ხარისხისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნებოდა. ამავდროულად, ავტორები საუბრობენ იმ შეუსაბამობაზე, რომლებიც სახელმძღვანელოს შედგენისათვის გაწეულ შრომასა და ავტორის ანაზღაურებას შორის არსებობს. პრაქტიკულად, ყველა ავტორისათვის ანაზღაურების შეუსაბამობა გაწეულ შრომასთან დემოტივატორია.

მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობების როლი ხარისხიანი სახელმძღვანელოების შემუშავებაში ძალიან მნიშვნელოვანია, ავტორთა ნაწილი საუბრობს ამ როლის არასათანადოდ შესრულებაზეც.

სახელმძღვანელოების გრიფირების მიზანშეწონილობა, შესაბამისობა და გამართულობა

ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის შექმნილი სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებული კრიტიკის საგანს წარმოადგენს იმ ავტორებისათვის, ვისაც წინა პერიოდის სასწავლო გეგმების ფარგლებშიც უმუშავია



სახელმძღვანელოზე და, შესაბამისად, შეუძლია, რომ პარალელი გაავლოს საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებით სახელმძღვანელოზე მუშაობის პრინციპებსა და პროცესებთან. ამ კონტექსტში, ავტორები საუბრობენ სახელმძღვანელო პრინციპების ნაკლებობასა და ზოგად ხასიათზე ახალი, მე-3 თაობის სასწავლო გეგმასთან მიმართებით. მათი თქმით, სახელმძღვანელოში აუცილებლად განსახილველი საკითხები იმდენად არამკაფიოდ არის ასახული, რომ სამომავლო პერსპექტივაში, არათანაბარ პოზიციაში აყენებს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამომცემლობის სახელმძღვანელოს არჩევის შემთხვევაში.

ავტორები ეჭვქვეშ აყენებენ მსხვილი, ცნებების დონეზე განხილული საკითხებით მოსწავლეების კვალიფიციური მომზადების შესაძლებლობას, რაც ახალი სასწავლო გეგმის ორიენტირს წარმოადგენს და მიიჩნევენ, რომ იმ დანაკლისების დასაბალანსებლად, რაც პედაგოგების დაბალი კვალიფიკაციის თვალსაზრისით არსებობს მოსწავლეების სათანადოდ სწავლებისათვის, მხოლოდ სახელმძღვანელოს იმედადღა რჩება.

„თქვენ სწავლობთ სკოლაში სადღაც, მე სხვა სკოლაში. თქვენმა სკოლამ სხვა წიგნი აირჩია, მე სხვა წიგნი. თქვენ ისწავლეთ კოლხეთის დაბლობი, მე - ალაზნის ვაკე. ეროვნულ გამოცდებზე თქვენ შეგხვდათ ალაზნის ვაკეზე, რას ვშვრებით ამ დროს. როგორც აბიტურიენტი?“ [ავტორი]

პრობლემა, რომელიც ახალი სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით გაჟღერდა, ერთი მხრივ, პედაგოგთა არასაკმარის მზაობას უკავშირდება - როგორც სასწავლო გეგმის დანერგვის, ასევე, ამ გეგმის მიხედვით დაწერილი სახელმძღვანელოების მართებულად გამოყენებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ვლინდება სახელმძღვანელოების მიმართ მოთხოვნებშიც.

„სახელმძღვანელო მოსწავლეების ცნებებით აზროვნებისთვის მზაობას უნდა ეხმიანებოდეს, სასწავლო გეგმის დანერგვაზე მომუშავე გუნდის ხედვების მიხედვით. ოღონდ, ეს როგორმა სახელმძღვანელომ უნდა შეძლოს, სრულიად გაუგებარია. რასაც გვთავაზობენ, კომპლექსური დავალებების რვეულის კონცეფციას უახლოვდება და სახელმძღვანელოს ფორმას ჰკარგავს.“ [ავტორი]

ავტორთა აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად, თუ რატომ ხდება ისე, რომ შეფასება არ ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებს, სწორედ სახელმძღვანელოების მიმართ არსებული ბუნდოვანი მოთხოვნილებებია. არამკაფიო გზამკვლევებთან ერთად, შესაძლო



ხდება, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოსთვის შინაარსობრივი ნაწილის განხილვისას, ერთ სახელმძღვანელოში კონკრეტული საკითხის გარშემო მიმდინარეობდეს დისკუსია, ხოლო სხვა სახელმძღვანელოს შემთხვევაში კი - თავად საკითხის შერჩევის ლოგიკასა და რელევანტურობაზე. ამასთან, რეალურად, ორი სხვადასხვა მიმართულებით მოცემული განხილვა არ არის გამიჯნული მკაფიო კრიტერიუმების საშუალებით. ასეთი დამოკიდებულება შეფასების ექსპერტებისათვის ტოვებს თავისუფალ სივრცეს ინტერპრეტაციისა და საკუთარი შეხედულებების შეფასებაში ასახვისათვის.

სახელმძღვანელოს ავტორების მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში, სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების ჯგუფის ჩართულობა და სახელმძღვანელოების ავტორებთან კომუნიკაცია მეტწილად დამოკიდებულია თითოეული საგნის მიმართულების ექსპერტთა გუნდის აქტიურობასა და კვალიფიკაციაზე. შესაბამისად, შეხვედრები და რეკომენდაციები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით განსხვავებული ინტენსივობითა და ეფექტურობით ხასიათდება.

ავტორებისათვის განსაკუთრებით მძიმეა იმის ცოდნა, რომ რეცენზენტების შერჩევა დახურული და გაუმჭვირვალე პროცესია. ისინი პროტექციონიზმსა და ფავორიტიზმზეც საუბრობენ.

„კონკურსი არ ცხადდება... რეცენზენტებისთვის ხომ უნდა იყოს კონკურსი?! ვინ ვის

ირჩევს, ისევ ნეპოტიზმია და პირადი ინტერესებით გამოდის“.[ავტორი]

გამომცემლობებისა და ავტორებისათვის პრობლემური და მნიშვნელოვანია უფლებრივი საკითხი, რომელიც შეფასების ხარვეზების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოების შემუშავების, გაუმჯობესებისა და დახვეწის მოტივაციაზე ნეგატიურად აისახება. ისინი საუბრობენ, რა რთულია შეფასებისას გამოთქმული მოსაზრებების სახელმძღვანელოებში ასახვა, ერთი მხრივ, შეფასებების არარელევანტურობიდან, ხოლო, მეორე მხრივ კი - სახელმძღვანელოების მიმართ კუთვნილების შეგრძნების სიმცირიდან და გასაწევი უზარმაზარი შრომიდან გამომდინარე.



გენდერული ბალანსისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხები

საგულისხმოა, რომ ავტორები აქცენტს სასწავლო გეგმაზე აკეთებენ და ამბობენ, რომ იმ საგნებსა და საგნობრივ მიმართულებებშიც კი, სადაც გენდერული ჭრილი, მრავალფეროვნების კონტექსტსა თუ სქესთაშორისი თანასწორობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გამჭოლ შინაარსობრივ ხაზს უნდა წარმოადგენდეს, მისი დანახვა, აღიარება და დამოკიდებულების გამოხატვა კი - მოსწავლეების აუცილებელი უნარების ნაწილად უნდა მოიაზრობოდეს, არც სასწავლო გეგმასა და არც საგნობრივ სტანდარტებში ეს საკითხები არ არის წინ წამოწეული და ხაზგასმული. მეტიც, მათი აზრით, რიგ შემთხვევებში, თავად სტანდარტით გათვალისწინებული მასალა ქმნის ავტორისათვის წინააღმდეგობას, შეიმუშაოს გენდერულად მგრძობიარე და მრავალფეროვნების წახალისებაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო.

„ავტორებს თავი დაანებეთ, არანაირი ლიბერალიზმი არ არსებობს, განათლების სამინისტრო განსაზღვრავს ყველაფერს: მარჯვნივ გაიხედავ თუ მარცხნივ გაიხედავ, რა ნაწარმოებს შეიტან, რატომ შეიტან... კი, ბატონო, კეთილი ინებოს სამინისტრომ და შეიტანოს ისეთი ნაწარმოებები... მე ხომ არ შემძლია, რომ თითიდან გამოვწვავო ისეთი საკითხები“

„გარკვეული ჩამონათვალი ნაწარმოებების, მონიშნული თემატური რკალები, ახლა გადაიყვანეს ცნებაზე დაფუძნებულ მაგალითებად; ლიტერატურაში ეს ცნებებია: კომპოზიცია, სიუჟეტი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, ანუ ძალიან ბევრი შეზღუდვა გვაქვს: სტანდარტი გაწვდის შედეგებს, რომლებზეც უნდა გავიდეხს ბავშვი, ცნებებს, თუ რა ცნებები უნდა ასწავლო და შინაარს, პრაქტიკულად ბირთვის, ანუ ნაწარმოებების ჩამონათვალს. და აი აქ არის პასუხი იმისა, რასაც მერე ალბათ მკითხავთ, თუ რატომ არ არიან ქალები და კაცები ერთნაირად წარმოდგენილები. მაგაზე ჩემი პასუხი ასეთია: ნახეთ თქვენ, ალბათ მალე გამოქვეყნდება საშუალო სკოლის, ანუ ბოლო სამი კლასის სტანდარტი, და თუ თქვენ ერთ ქალს მაინც ნახავთ, მერე კიდევ გავისაუბროთ. ერთი ქალი იყო მეოცე საუკუნეში, რომელიც ყველგან შედიოდა, ანა კალანდაძე და ისიც კი ამოღებულია. იმის ნაცვლად, რომ კიდევ სხვა დაემატებინათ, ის ერთადერთი ქალი ავტორიც ამოიღეს.“

ძირითად შემთხვევებში, ავტორები თავად ცდილობენ, საკუთარი კომპეტენციების



ფარგლებში, გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას სასწავლო გეგმისა და სტანდარტების მიღმა. ამასთან, ერთ-ერთ გამოწვევად ისინი ქართულ ენაზე ისეთი მასალების ნაკლებობაზე საუბრობენ, რომლებიც ხელს შეუწყობდა სახელმძღვანელოებში სქესთაშორისი ბალანსის შინაარსობრივ დონეზე განმტკიცებას. ამ საკითხების მიმართ მგრძნობიარე ავტორების განმარტებით, ისინი ცდილობენ, რომ უპასუხოდ არ დატოვონ ამ კუთხით არსებული გამოწვევები.

„აქ ბალანსის დაცვა ძალიან რთულია. თქვენ რომ გადაქექოთ მასალები ქართულად საერთოდ არ არსებობს. ერთი მე მგონი ჩემი სტატიაა მოგზაური ქალები. ესეც იმიტომ დავეწერე მივხვდი, რომ არ არსებობდა. დამჭირდა და თავი მოვუყარე მასალებს, ინტერნეტში დავდე, რათა ესეც ყოფილიყო“. [ავტორი]

მეორე მხრივ, ავტორები და გამომცემლობების ნაწილი თანხმდება, რომ პრაქტიკულად ყველა საგნის ფარგლებში არსებობს ისეთი შინაარსობრივი თუ მეთოდოლოგიური მიმართულებები, სადაც საკითხების გენდერული კუთხით განხილვა შესაძლებელი ხდება.

დისკრიმინაციის კუთხით, თვითონ თემები არ იყო ისეთი, რომ ამაზე დაგვესვა აქცენტები, თუმცა, მოცემულია ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალბატონების რაოდენობა, იქ გვაქვს ასეთი ინფორმაცია შემოტანილი. ძალიან საინტერესო ვიდეოჩანართები გვაქვს ამასთან დაკავშირებით. რაც შეეხება დისკრიმინაციას, აქ ჩვენ შრომით უფლებებზე და ანაზღაურებაზე გვაქვს ინფორმაცია მოტანილი, ის რომ ქალის შრომა ნაკლებად ანაზღაურებადია, ვიდრე მამაკაცის. ასეთი ინფორმაცია ნამდვილად არის. [ავტორი]

მაგალითად, გამოსავალი, რომელზეც სახელმძღვანელოს ავტორები საუბრობენ, დამატებითი მასალის შეთავაზებაა ე.წ. „კომპლექსური დავალებების“- შესრულებისათვის. სწორედ ასეთი დამატებითი მასალების მეშვეობით ხდება შესაძლებელი საკითხების გენდერულ ჭრილში განხილვა. თუმცა, მასწავლებლის მომზადება და ღიაობა გენდერის საკითხების განხილვისათვის ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მეტიც, სახელმძღვანელოების ის ავტორები, რომლებსაც პედაგოგად მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ, ხაზს უსვამენ მასწავლებლებისათვის სპეციალურად გენდერის საკითხებზე საგნობრივი მეთოდის სატრენინგო მოდულის არსებობის მნიშვნელობას, იმისათვის, რომ მასწავლებლებს არგუმენტებით გაჯერებული, პროფესიული თვითრწმენით და სწორი მეთოდოლოგიით მხარდაჭერილი სწავლების განხორციელების შესაძლებლობა მიეცეთ



გენდერულად თუნდაც ნაწილობრივ დაბალანსებული რესურსების არსებობის პირობებში.

„მე სულ ვცდილობ, იცით რამდენ რესურსს ვუზიარებ? საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებლების ჯგუფი მყავს ფეისბუქზე და თუ რამეს ვიპოვი აი ამ მიმართულებით, ყველაფერს ვუპოსტავ, რომ რაც შეიძლება მეტი რესურსი ჰქონდეთ მეცნიერ ქალებზე, მოგზაურ ქალებზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი მიმართულებით გეოგრაფიას, აქ უფრო მარტივია საკითხების გენდერული კუთხით განხილვა და პრობლემა არ მექმნება.“ [ავტორი]

სახელმძღვანელოს ერთ-ერთმა ავტორმა გენდერული ბალანსის უზრუნველყოფის კიდევ ერთი საინტერესო მეთოდი გაახმოვანა ინტერვიუს ჩაწერისას, რომელიც „პოზიტიური დისკრიმინაციის“ მიდგომის გამოყენებით, გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას გულისხმობს. მაგალითად, იმ საქმიანობასთან მიმართებით, სადაც ქალები ისტორიულად ნაკლებად არიან წარმოდგენილები და კონკრეტულ მოვლენასთან ვერ ვაკავშირებთ, ავტორი აქტივობის გაფართოებულად აღწერის მეთოდს იყენებს და მოცემულ დროსა და სივრცეში გაწერილი კონკრეტული მოვლენის კვალდაკვალ, იმავე ტიპის მოვლენებსა და აქტივობებში ქალთა ჩართულობის მაგალითებს იძლევა იმ ეპოქის და ადგილმდებარეობის კონტექსტში, რის შესახებ ინფორმაცია და წყაროები ცნობილია.

საინტერესოა ავტორების მოსაზრებები გრიფირების წესში მრავალფეროვნების, გენდერული საკითხების წარმოჩენისა და დისკრიმინაციული ხედვების გამომჟღავნების პრევენციასთან დაკავშირებით; ისინი აღიარებენ, რომ წინა გრიფირების პერიოდთან შედარებით, ბოლო გრიფირების პროცესში ამ საკითხების მიმართ ინტერესი საგრძნობლად მაღალია და მეტი მნიშვნელობა ენიჭება გრიფირების მინიჭებისათვის. თუმცა, ასეთი ინტერესი ნაკლებად იკვეთება შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში და სრულად არის დელეგირებული ამ მიმართულების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. რეცენზირების ამგვარი გამოიჯნულობა კი იწვევს, ერთი მხრივ, შინაარსსა და საგნობრივ საკითხებზე გენდერის ინკლუზიაზე ნაკლებ ყურადღებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, ამავე საკითხების ცალკე ანალიზი და შენიშვნები, მის არაბუნებრივ ბმასა და ხელოვნურ მისადაგებას საგნობრივი საკითხებთან. ავტორებს მიაჩნიათ, რომ არათუ ავტორები და გამომცემლები, რეცენზენტებიც საჭიროებენ სერიოზულ ტრენინგს მრავალფეროვნებისა და გენდერის საკითხების სათანადო, სინქრონული განხილვისათვის სახელმძღვანელოს შეფასებისას, რაც ამ საკითხების ხელოვნურად დაბალანსების



საშიშროების თავიდან არიდების ერთადერთი გამოსავალია.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელზეც სპეციალისტები / ავტორები და გამომცემლები აკეთებენ აქცენტს, ქვეყანაში გენდერული მიმართულების ექსპერტული ცოდნის, მით უფრო, დისციპლინარული პერსპექტივებისა და კვლევების სიმცირეა და, შესაბამისად, ინფორმაციისა და მასალის არასაკმარის რაოდენობას უკავშირდება. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სოციალური მიმართულების, ისტორიის სახელმძღვანელოებზე, რომლებიც აუცილებლად ისტორიულ წყაროებს უნდა ეფუძნებოდეს და თუ ეს წყაროები არ არსებობს, გენდერული თუ მრავალფეროვნების საკითხების წამოწევა რთულდება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში სახელმძღვანელოების შემუშავებას უკავშირდება და ამ მიმართულებით სიახლეს ნერგავს, არის სახელმძღვანელოს განსხვავებული რედაქციები წლების მიხედვით. მაგალითად, მე-7 კლასის სახელმძღვანელოები ისე დაიბეჭდა, რომ სპეციალური ექსპერტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები მრავალფეროვნებისა და გენდერის საკითხების ასახვასთან დაკავშირებით არ იყო გათვალისწინებული და ასახული, მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ეთანხმებოდნენ ამ შენიშვნების დიდ ნაწილს. ავტორებმა მოგვიანებით შეძლეს სახელმძღვანელოების გარედაქტირება და უკვე ახალი ვერსია მიაწოდეს სამინისტროს. თუმცა, ამ ვერსიის დაბეჭდვა მხოლოდ მომდევნო სასწავლო წლისათვის გახდებოდა შესაძლებელი.

ავტორების განმარტებით, გენდერული საკითხების შესახებ გზამკვლევი მათ არასდროს მიუღიათ. ტრენინგები, ვორკშოპები და/ან რეკომენდაციებიც არასდროს ჩატარებიათ. რიგ შემთხვევებში, გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ კითხვებს ავტორები თავად სვამდნენ ექსპერტებთან შეხვედრისას და პასუხებსაც შესაბამისად იღებდნენ. ამ ინფორმაციაზე დაფუძნებით, შეგიძლია დავასკვნათ, რომ სახელმძღვანელოების გენდერული მგრძობიარობა მთლიანად ავტორების კომპეტენციებსა და წარმოდგენებზე იყო დამოკიდებული.

საგულისხმოა, რომ, ავტორების აზრით, ისინი სრულად იყვნენ გამსჭვალულები გენდერული თანასწორობისა და გენდერულად დაბალანსებული შინაარსის წარმოჩენის სურვილით და ეს დამოკიდებულება საკუთარ სახელმძღვანელოებშიც ასახეს. თუმცა, კონკრეტული მაგალითების მოტანისას, მკაფიოდ ვლინდება, რომ გენდერულად მგრძობიარე სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის სტრატეგიების აღწერისას, ავტორების



მთავარი ამოცანა მოქმედი პირებისა და ილუსტრაციების მაქსიმალურად დაბალანსებაა.

„იქ ყოველთვის ვცდილობდით, გოგონებზე როდესაც ვაკეთებდით აქცენტს, იქვე ბიჭები ყოფილიყვნენ. აუცილებელია, ეს ბავშვებმა თვითონ დაინახონ კონკრეტულ მაგალითებში და იქაც თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი“. [გამომცემელი]

„სახელმძღვანელოა ეს, არც ერთი მამაკაცი არ არის ამ ჯგუფში, მერვე კლასის სახელმძღვანელოში და მიუხედავად ამისა, ყოველთვის იყო დასმული ეს საკითხი: გოგონა და ბიჭი, ან ერთად, ან ერთს მოყვებოდა მეორე“. [ავტორი]

ავტორების ნაწილს ასევე მიაჩნია, რომ გენდერული და მრავალფეროვნების საკითხების განხილვისა და მოსწავლეებისათვის სწორად მიწოდებისათვის, კონკრეტული საგნებია შესაბამისი.

„თუ მე მასალა მომცემს ამისა საშუალებას, კი. უკაცრავად, მაგრამ [.....] წიგნმა რანაირად უნდა მომცეს ამის საშუალება, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, გარდა იმისა, რომ დაეწერო, რომ გოგო კი არა, თურმე ბიჭი ალაგებს ოთახს და მამა ჰფენს სარეცხს და არა დედა“. [ავტორი]

„ერთი რამე გეშლებათ ხოლმე კიდევ თქვენ, ლიტერატურის სახელმძღვანელო არ არის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო. ერთი თემაა შენ ლიტერატურაში დასმულ საკითხებს სწორი, თანამედროვე პასუხი გასცე და მეორე თემაა, გათვალისწინებ ახლა შენი წიგნი გენდერულ ბალანსზე და მრავალფეროვნებაზე. მაგისთვის არსებობს სამოქალაქო განათლება, რომლისთვისაც არის ეს აქტუალური თემები და პირდაპირ იმ თემებით დაალაგებს: ტრეფიკინგი, გენდერი... მე თუ ნაწარმოებმა არ მომცა ამისი საშუალება, რანაირად უნდა გავაკეთო?“ [ავტორი]

ავტორების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოებში გენდერული მგრძობიარობა და მულტიკულტურული შინაარსი რეალურად არა ღირებულებით სისტემებზე დაფუძნებით, არამედ პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით კეთდება:

„აქ ერთადერთი ის აინტერესებთ, რომ ბიჭები და გოგონები იყვნენ თანაბრად. შინაარსობრივად როგორ მოხერხდება, არავის აინტერესებს. ეთნიკური ნიშნით აბსოლუტურად სუბიექტური დამოკიდებულებაა. „თათრები“ და „ურია“ თუ ნახსენებია, დავიღუპებით. რუსები თუ იქნებიან გალანძღულები, მაგას არა უშავს... პოლიტიკურად არის ეს ყველაფერი ანგაჟირებული“. [გამომცემელი]

ინტერვიუებმა ასევე გამოავლინა გენდერისა და მრავალფეროვნების საკითხების მიმართ



ყურადღების გამახვილების პროცესში ავტორებისა და გამომცემლების გალიზიანება, პერიოდულად აგრესიაც კი. რაც, მათივე განმარტებით იმ უსაფუძვლო, უარგუმენტო და კონტექსტიდან ამოგლეჯილი რეკომენდაციებისგან გამომდინარეობდა, რომლებსაც ისინი სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ექსპერტებისგან იღებდნენ.

„ალოგიკური შეფასებები იყო! ძალიან ბევრი შენიშვნა. მიუღებელი შენიშვნები იყო და ალოგიკური და არაადეკვატურიც მათ შორის... რაღაც გაურკვეველ საკითხებს ეხებოდა“ [მწერალი]

თუმცა, ავტორებმა და გამომცემლებმა ასევე ისაუბრეს, ერთი მხრივ, იმ პოზიტიურ მაგალითებზე, როდესაც რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინება მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და, პრაქტიკულად, ყველა ასახეს სახელმძღვანელოში:

„სხვანაირად ქვეყნის განვითარება არ არსებობს, სადაც ამაზე ფიქრი, მოქალაქე ქალბატონია თუ მამაკაცი, ეს საკითხი, საერთოდ, ჩემი ღრმა რწმენით, არ უნდა დგებოდეს. არც უნდა ვფიქრობდეთ ამაზე, ეს უნდა იყოს როგორც წესი, ყველა ადამიანი აღიქმებოდეს თანაბარუფლებიან მოქალაქედ და თანაბრად უნდა იყოს ჩართული ნებისმიერ საკითხში“.

ავტორები ხშირად უსვამენ ხაზს იმ კომპეტენციების აუცილებლობას, რომლებიც მისცემს საშუალებას, რომ სწორედ თავად დაინახოთ სახელმძღვანელო გენდერული მგრძობიარობის ჭრილში და აქცენტებიც შესაბამისად დასვან იმ შინაარსის ფარგლებშიც კი, რომელიც გენდერულად დაუბალანსებელი, დისკრიმინაციული ან მიკერძოებულია.

დასკვნა

ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია შემდეგ დასკვნებზე ვისაუბროთ:

1. ავტორების უმრავლესობისათვის მთავარ გამოწვევას სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის გამოყოფილი არაადეკვატური და არარეალისტური ვადები წარმოადგენს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც შინაარსობრივ გამართულობას, ასევე ზოგად ხარისხსა და შესაბამისობაზე.
2. ავტორებისა და გამომცემლების მოსაზრებით, პრობლემა არა მხოლოდ ზოგადად შემუშავებისათვის დაგეგმილ მცირე დროშია, არამედ მოცემული პერიოდის



სხვადასხვა ეტაპს შორის არასწორ გადანაწილებაში. ავტორებს მიაჩნიათ სრულიად არასწორად, რომ სახელმძღვანელოს შექმნისათვის ორჯერ და მეტჯერ ნაკლები დრო ეძლევათ, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფს აქვს სახელმძღვანელოების განხილვისათვის.

3. ავტორების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სახელმძღვანელოს შეფასების ფარგლებში, არსებული კრიტერიუმები არ არის საკმარისად მკაფიო გენდერული ბალანსის, მრავალფეროვნების ასახვისა და დისკრიმინაციის პრევენციის უზრუნველსაყოფად მეთოდოლოგიური მიდგომებისა და სათანადო რეკომენდაციების არარსებობის ფონზე.
4. სახელმძღვანელოების შეფასების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე, ხოლო თავად შეფასება კი - მკაფიო და დამაჯერებელი. შეფასება მეტწილად დაფუძნებულია შეფასების ექსპერტების პრიორიტეტებსა და დამოკიდებულებებზე და, შესაბამისად, ნაკლებად ეყრდნობა ობიექტური საზომებით შეფასების მიდგომებს.
5. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წარმომადგენელი არ არის სათანადოდ მომზადებული კვალიფიციური, მიზანზე ორიენტირებული და არგუმენტირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაწევისათვის სახელმძღვანელოში გენდერისა და მრავალფეროვნების ასახვის თვალსაზრისით, რის დაბალანსებაც შეუძლებელი ხდება ინდივიდუალური ექსპერტის მიერ ამ მიმართულებით გამოხატული ცალკეული რეკომენდაციების საშუალებით.
6. ავტორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოში მაქსიმალურად ითვალისწინებს გენდერული ბალანსისათვის აუცილებელ პირობებს, თუმცა აღიარებს, რომ ამ მიდგომისათვის სათანადო მომზადება არასდროს გაუვლია და შესაბამისად, დამოუკიდებლად მიღებული კომპეტენციებისა და რწმენის ფარგლებში, ითვალისწინებს თანასწორობის საკითხებს.
7. ავტორების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მეთოდოლოგიური ტრენინგი, რომელიც გენდერისა და მრავალფეროვნების საკითხებზე იქნებოდა ორიენტირებული ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნებოდა როგორც მათთვის, ასევე სახელმძღვანელოს სარეცენზიო ჯგუფებისათვის.
8. ავტორების მოსაზრებით, სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის გამართულობა და შესაბამისობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად გამართული, ხარისხიანი სახელმძღვანელოების



შემუშავებისათვის. ამასთან, სტანდარტებში მოცემული მითითებები არ არის საკმარისად მკაფიო და გამართული, იმისათვის, რომ სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის გზამკვლევის ფუნქცია შეასრულოს. ავტორები სახელმძღვანელოს მათეული მეთოდოლოგიურ-შინაარსობრივი ხედვების წარმოდგენაში საკმაოდ თავისუფლები არიან გზამკვლევის მიხედვით, თუმცა, მეორე მხრივ, შეფასების პროცესის მიმდინარეობა და სულისკვეთება ამ ხედვებს ხშირად არ აღიარებს და ითვალისწინებს; მოითხოვს ავტორებისათვის გარკვეულწილად გაუწერელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. სახელმძღვანელოს შეფასების ჯგუფის შენიშვნებზე მორგების პროცესში, ავტორები საუბრობენ მათი ხედვების მკვეთრ ცვლილებებზე, რაც სრულიად ცვლის სახელმძღვანელოს რელევანტურობასაც. მეორე მხრივ, სხვადასხვა თაობის სასწავლო გეგმებისა და სტანდარტების მკაფიოობასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის, ერთიანი პოზიცია არ ფიქსირდება და სხვადასხვა თაობის სასწავლო გეგმისა და სტანდარტების უპირატესობასთან დაკავშირებული დამოკიდებულება განსხვავებულია.

9. ახალგაზრდა, დამწყები და გამოუცდელი ავტორებისათვის ძალიან რთულია სახელმძღვანელოზე მუშაობა სტრესული გარემოსა და შემჭიდროვებული გარემოს, სახელმძღვანელოს შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური მოთხოვნების ხშირი და მოულოდნელი ცვლილებებისადმი გამოუცდელობის, შეფასების კრიტერიუმების ბუნდოვანებისა და ორაზროვნების, შეფასების პროცესის გაუმჭვირვალობისა და სახელმძღვანელოს შემუშავების პრინციპების შესწავლისა და გათავისებისათვის მექანიზმების არარსებობიდან გამომდინარე.



თავი 4. გენდერული თანასწორობა სასკოლო სახელმძღვანელოებში: სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი

მათემატიკა

პირველი კლასი

წიგნის ავტორი ერთი ქალია. წიგნმა გრიფირება მიიღო 2018 წელს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გენდერული ანალიზი 4 ჭრილში განხორციელდა - ილუსტრაციებში სქესის რეპრეზენტაცია; მამაკაცის პრიმატი; ქალისა და მამაკაცის როლები და საქმიანობა; სტერეოტიპების კვლავწარმოების მაგალითები.

ილუსტრაციებში სქესის რეპრეზენტაცია

სახელმძღვანელო უხვად არის გაფორმებული ილუსტრაციებით, რაც მას, ერთი მხრივ, პირველკლასელებისათვის მიმზიდველს ხდის, ხოლო, მეორე მხრივ კი - საგნობრივი ცოდნის ათვისების პროცესში კარგ ვიზუალურ მხარდაჭერას წარმოადგენს. შესაბამისად, ილუსტრაციების როლი განსაკუთრებით დიდია მოსწავლეების გენდერული დამოკიდებულებების განვითარებისათვის. სახელმძღვანელოს ილუსტრაციების რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სქესის წარმომადგენლობის მიხედვით, ქალების და კაცების წარმომადგენლობა მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. პრაქტიკულად, გოგონებისა და ბიჭების ილუსტრაციები ერთი და იგივე რაოდენობით არის მოცემული. თუმცა, კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ილუსტრაციების ანალიზმა აჩვენა, ისაა, რომ სხვადასხვა საქმიანობის ფარგლებში, გვხვდება ბიჭების გუნდური ჩართულობის მაგალითები. ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს, ერთად მიიჩქარიან ვარჯიშზე, ციგაობენ, საუბრობენ. გოგონების ილუსტრაციებში მსგავსი ტიპის წარმომადგენლობა არსადაა. გოგონების ილუსტრაცია დამოუკიდებლად, სათითაოდ ან შერეულ ჯგუფშია წარმოდგენილი. ეს თავისებურება დაკავშირებულია კონკრეტული მათემატიკური პირობების შინაარსის გენდერულ



ილუსტრირებასთან და აჩვენებს, რომ გუნდური / ჯგუფური აქტივობები და სიტუაციები გოგონების მონაწილეობით ნაკლებად მოსალოდნელია ავტორის / გამომცემლისათვის.

ქვემოთ მოცემულია ილუსტრაციების გენდერული გადანაწილება მოსწავლის წიგნის ორივე ნაწილისათვის:

გოგონები	25
გოგონები ჯგუფად	0
ბიჭები	27
ბიჭები ჯგუფად	6
შერეული	15

რაც შეეხება სქესთა მიხედვით ილუსტრაციებში ასახულ საქმიანობებს, უმეტეს შემთხვევაში, როლებს შორის გადანაწილება აღქმული გენდერული ნორმების შესაბამისია; ბიჭუნებს ჯინსის შარვლები, სპორტული, ნომრიანი მაისურები და პერანგები აცვიათ. გოგონებს კი ხშირად - ვარდისფერი ბლუზები და კაბები, გულებით მოხატული შარვლები. წიგნში ვერსად შეხვდებით ისეთ ილუსტრაციას, რომელიც სქესთა როლებისა და ფუნქციების განაწილების თვალსაზრისით გენდერულ სტერეოტიპებს ეწინააღმდეგებოდეს. ბიჭები თევზს იჭერენ, სკუტერზე სეირნობენ, ფეხბურთს თამაშობენ, კედელზე ლურსმანს აჭედებენ, კროსვორდს ხსნიან. ბებია ქსოვს, გოგონა ჩიტებს და თევზებს აპურებს, ქოლგით წვიმისგან თავს იცავს და მიდის კაპიუშონწამოცმულ ბიჭუნასთან ერთად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოში ასევეა ისეთი ილუსტრაციები, სადაც გოგონები არიან ჩართულები ამოცანების ამოხსნის, ანგარიშის, ფანქრების განაწილების, ასობის კედელზე დაწებების საქმიანობებში, საერთო ჯგუფში დაბადების დღის დღესასწაულის აღნიშვნაში.

პოზიტიური მაგალითებიდან აღსანიშნავია ილუსტრაცია, სადაც შვეულმფრენით და მანქანებით მოძრაობენ როგორც ბიჭები, ასევე გოგონები (გვ. 9).

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილში ილუსტრაციები გენდერული თვალსაზრისით უკეთ არის დაბალანსებული. გოგონებისა და ბიჭების მონაცვლეობა გვერდიდან მომდევნო გვერდებზე დარეგულირებულია. მეორე ნაწილში, ძირითადად, ბიჭები ითვლიან, მეგობრობთან ერთად თამაშობენ, კროსვორდებს ხსნიან... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ



მასალის გართულებასთან ერთად, გოგონები შემცირდნენ და „დაიმაღლნენ“. სახელმძღვანელოს 45-ე გვერდამდე, გოგონა სულ სამჯერ არის გამოსახული, საიდანაც, ორგან ბიჭებისა და გოგონების ერთობლივი ილუსტრაცია გვხვდება, ერთგან ფანქრებს ანაწილებს, ხოლო მეორეგან კი, ბებია ქსოვს. ამავე ნაწილში, 44 -ე გვერდზე, შეკრების პრინციპების ახსნისა და რამდენიმე ვარიანტის ახსნისათვის, ავტორები პირველ ეტაპზე ბიჭის გამოსახულებას იყენებენ. მიმატების პრინციპის თითოეულ ვარიანტთან ბიჭუნას დაფიქრებული ილუსტრაცია გვხვდება. მოპირდაპირე გვერდზე კი, გამოკლების პრინციპებზე ამოცანას კვლავ იგივე ბიჭი გვიხსნის. ილუსტრაციების ასეთი გადანაწილებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ შეკრება-გამოკლება ბიჭებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, აუცილებელი უნარია.

ასეთივე ტიპის განაწილება შეკრება-გამოკლების პრინციპების გამყარებისათვის, მოგვიანებით, 56-ე გვერდზე გოგონას ილუსტრაციებითაც გვხვდება. მიმატების პრინციპების ორ ვარიანტს გოგონას ორი ილუსტრაცია აფორმებს ერთ გვერდზე. თუმცა, გადაშლილ წიგნში, მომდევნო გვერდზე, ამოცანას ვინი-ჰუპის ილუსტრაცია აფორმებს, რაც გოგონას ილუსტრაციულ დომინანტობას სრულად აბალანსებს.

მამაკაცის პრიმატი

სახელმძღვანელოში მამაკაცის პრიმატი ცალსახად არ იკვეთება. თუმცა, გვხვდება ისეთი ამოცანები, სადაც ბიჭების დომინანტური როლი საგრძნობია.

ელენეს სანდრომ ორი ბუმტი აჩუქა. ლუკას ხუთი სათამაშო ჰქონდა და თითო-თითო სალომეს და საბას აჩუქა. გიორგის 8 კანფეტი ჰქონდა და ორი ნატოს მისცა. მართალია, ბექამ 1 სამკუთხედი გამოჭრა, ხოლო სალომემ 9 , მაგრამ გადაშლილი წიგნის მომდევნო გვერდზევე, გიორგიმ 10 კვადრეტი გამოჭრა და 9 რვეულში ჩააწება. გოგონები ბიჭებს არაფერს ჩუქნიან, არაფერს უხსნიან და არ ეხმარებიან.

როლები და საქმიანობა

სახელმძღვანელოში ხშირად ვხვდებით ამოცანების ისეთ პირობებს, რომლებიც გენდერული როლებისა და საქმიანობის სტერეოტიპულ ხედვებს ეფუძნება და მოსწავლეებში სწორედ ასეთი ხედვების კვლავწარმოებას უწყობს ხელს.



გოგონებს ხშირად აქვთ ბუმტები. კაქტუსებს და ყვავილებს გოგონა უვლის, თაროებიდან ჩამოაქვს ან უბრალოდ ფონს უქმნის. გოგონა ჩურჩხელებს გასაშრობად ჰკიდებს (გვ. 45). თევზებს გოგონა აპურებს (გვ. 49). ანა ტაფაზე სოსისს წვავს და ზედ გულით გაფორმებული წინსაფარი უკეთია. სოსისის თემა გოგონებთან მიმართებით ორ ამოცანაში ზედიზედ არის მოცემული; ნინომ სოსისებს ჯერ 1 მოაკლო, შემდეგ კიდევ ერთი. ანიმ სოსისები ტაფაზე დადო და შემდეგ კიდევ მიუმატა. დედამ რატის ნამცხვარი მოუტანა. ბებია წინდას ქსოვს და მისი ეს ფუნქცია სახელმძღვანელოს ორივე ნაწილში ამოცანის პირობის შინაარსია. სხვა სახით ბებია სახელმძღვანელოში არსად ჩანს. ლიზამ 16 კვერცხი იყიდა და 6 კვერცხით დედამ ერბოკვერცხი გააკეთა. მარიამმა სააღდგომოდ 11 კვერცხი შელება, ნინომ - 9 (გვ. 51); სოფომ ერთი ხაჭაპური გამოაცხო, ხოლო მისმა ბებომ კი, 8 ხაჭაპური (გვ. 76). 4 ვაშლი გოგონას ჩვენ უნდა გავუნაწილოთ. ანას დაბადების დღეზე 10 გოგონა და 2 ბიჭი ესტუმრა. გოგონა ნადვის ხის სათამაშოებს ითვლის. (გვ. 64) რაფაზე ქოთნის ყვავილების ნაწილს სოფო ჩამოდგამს (გვ. 75).

რაც შეეხება ბიჭებს - ბექამ 8 თევზი დაიჭირა, საბამ კი - 9. (გვ. 53) შვიდი ჩოხაში გამოწყობილი ბიჭუნა გუნდად მღერის, კაპელმანისტერი ასევე ბიჭია (გვ. 42). გადაშლილი წიგნის მომდევნო გვერდზე მოცემული ამოცანაში კი, დათომ 7 თევზი დაიჭირა, ირაკლიმ კი 3. ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, გუშაგები არიან და ციხესიმაგრის გასწვრივ უნდა დავაყენოთ. ბიჭუნა და კარლსონი კომპის ასაგებად კუბიკებს იყენებს.

სტერეოტიპების კვლავწარმოება

სახელმძღვანელოში სტერეოტიპული შინაარსის ამოცანებიცაა მოცემული. ლიზის ბუმტი ქარმა მოსტაცა (გვ. 32); სპორტული ფორმებიც ჩაცმული ბიჭები გარბიან, რომ არ დააგვიანდეთ (გვ. 37); ილუსტრაციაში გოგონას ქოლგა უჭირავს, გვერდზე მდგომი ბიჭუნა წვიმისგან თავს კაპიშონით იცავს (გვ. 39)...

მარის და ქეთის სათამაშოები ბაჭიები და იხვებია (გვ. 59); ბიჭუნა კი კუბიკებით თამაშობს (გვ. 60); ბექას კუბიკები მანქანით გადააქვს.



დასკვნა

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში ილუსტრაციების საშუალებით, გენდერული ბალანსი მაქსიმალურად დაცულია, ნახატების შინაარსსა და საგნობრივ დავალებებში გვხვდება გენდერული თანასწორობის საკითხების არასრულად გათავისება, რაც ნაკლებად სტერეოტიპული მაგალითებით სრულად ვერ ბალანსდება.

მათემატიკა

მეოთხე კლასი

სახელმძღვანელოს ავტორები ერთი ქალი და ერთი მამაკაცია. ის განკუთვნილია მეოთხე კლასელთათვის მათემატიკის სასწავლებლად. გრიფირება განხორციელდა 2018 წელს. გაანალიზდა ოთხი მიმართულებით გენდერული დაბალანსებულობისა და თანასწორობის თვალსაზრისით: (1) სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (4) სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოების რაოდენობრივი ანალიზიდან იკვეთება, რომ ავტორები ცდილობენ, სახელმძღვანელო გენდერულად დააბალანსონ და სახელმძღვანელოში წარმოდგენილები არიან როგორც ქალები, ისე - მამაკაცები, თუმცა ილუსტრაციებში მამაკაცთა ხვედრითი წილი გაცილებით მეტია და 66-ს შეადგენს სახელმძღვანელოს ორივე ნაწილში, პირობითი ნიშნების გარეშე, ხოლო 36 შემთხვევაში ქალია წარმოდგენილი. რაოდენობრივი დისბალანსის გარდა, მნიშვნელოვანია ილუსტრაციებში ასახული სიტუაციები და საქმიანობა, მაგალითად, 68-ე გვერდზე ილუსტრაციაში, სადაც ბანკში მიმდინარეობს მოქმედება. ოთხი მამაკაცი და მხოლოდ ერთი ქალბატონია, იმ დროს, როცა ტექსტში ორი ამოცანაა ბანკთან დაკავშირებულ სიტუაციაზე და ერთი ქალბატონს შეეხება, ხოლო მეორე - მამაკაცს. ილუსტრაციაზე კი მამაკაცები ჭარბობენ ბანკში. ზოგადად, ილუსტრაციებში მკვეთრად ჩანს მამაკაცებთან და ქალებთან დაკავშირებული საქმიანობების მკვეთრი გამიჯვნა. მამაკაცები ილუსტრაციებში თამაშობენ ჭადრაკს (გვ.51 მეორე ნაწილი),



ამზადებენ ავეჯს (გვ.50 მეორე ნაწილი); ქალებთან დაკავშირებულ ილუსტრაციებში გვხვდება ილუსტრაციები ქალების სილამაზის კონკურსზე (გვ.44, მეორე ნაწილი), მურაბის ხარშვის ეპიზოდი, სადაც ტექსტში არ ჩანს სქესი, თუმცა ილუსტრაციაზე ქალია გამოხატული (გვ. 61 მეორე ნაწილი), მასწავლებელი ქალი, რომელიც თაიგულს იღებს მოსწავლეებისგან (გვ. 72 მეორე ნაწილი).

ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა ილუსტრაციებში თემაზე „ვინ რას ზომავს“ გენდერული გადანაწილება (გვერდი 40). ქალბატონები ზომავენ წნევას, ტემპერატურას, კაბის ზომას, ყვავილის სიგრძეს, წყლის რაოდენობას საკვებისთვის, საკუთარ წონას შეშფოთებით (გვ. 45), ხოლო მამაკაცები ზომავენ სიმაღლეს და სამშენებლო და საინჟინრო მიზნებისთვის სხვადასხვა მონაცემს აგროვებენ.

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

მამაკაცთა პრიმატი ცალსახად იკვეთება სახელმძღვანელოს დასაწყისშივე, სადაც სახელმძღვანელოს პირობითი ნიშნებია წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს ოთხი პირობითი ნიშანი აქვს: (ა) ჯგუფებში სამუშაო; (ბ) წყვილებში სამუშაო; (გ) „შესაძლებელია თუ არა“; (დ) შედარებით რთული სააზროვნო ამოცანები. ამ ოთხი პირობითი ნიშნიდან წყვილებში და ჯგუფებში სამუშაოს ნაწილში წარმოდგენილია გოგონებიც და ბიჭებიც.

„შესაძლებელია თუ არა“ და „შედარებით რთულ სააზროვნო ამოცანებში“ მხოლოდ ბიჭები არიან პირობით ნიშნებად გამოსახული, რაც ცალსახად უსვამს ხაზს მათემატიკის რთული ამოცანების ამოხსნაში ბიჭების უპირატესობას და პირველობას და, ამავე დროს, ამყარებს ამ თვალსაზრისით არსებულ სტერეოტიპებს.

ამავე კონტექსტში, საინტერესოა სახელმძღვანელოს ამოცანები, რომელშიც მოქმედი პირები გოგონებიც და ბიჭებიც არიან. მსგავს ამოცანებში ბიჭები აუცილებლად უფრო მეტს აკეთებენ გოგონებთან შედარებით. მაგალითად „კახა და ნანა ერთსა და იმავე წიგნს კითხულობდნენ, კახამ 54 გვერდი წაიკითხა, ნანამ 38. რომელს მეტი გვერდი დარჩა წასაკითხი“ (გვ.33) ან „ნათიას ორი ნაბიჯის სიგრძე 1 მეტრია... კოტეს ერთი ნაბიჯის სიგრძე 1 მეტრია“ (გვ.39) ან „ერთი სოფლიდან, რომელთა შორის მანძილი 1კმ. 800 მ-ია, ერთმანეთის შესახვედრად წელი და ნოდარი გამოვიდნენ. წელიმ 700 მ, ხოლო ნოდარმა- 900 მ. გაიარა“ (გვ.53). ან „მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე გადაცურვას გიგიმ 4 წუთი



მოდანდომა, იგი ყოველ წუთში 10 მეტრს ფარავდა, რა დრო დასჭირდება ანას იმავე მანძილის გასაცურად, თუ ყოველ წუთში 8 მეტრს გაცურავს“ (გვ. 83).

პროფესიები და საქმიანობები გენდერულ ჭრილში

პროფესიები და საქმიანობები განსაკუთრებით ცალსახადაა სახელმძღვანელოში გენდერულად დიფერენცირებული. ზოგადად, ავტორები ცდილობენ წარმომადგენლობითი თვალსაზრისით სახელმძღვანელოებში ასახონ როგორც ბიჭების, ისე გოგონების საქმიანობა, თუმცა პროფესიების გადანაწილება მკვეთრად გენდერულად სტერეოტიპულია. მაგალითად, ამოცანებში, სადაც გოგონები გვხვებიან შემდეგი საქმიანობებია წარმოჩენილი: ქარგვა, კაბის მორთვა, გაფერადება, ჩაის კრეფა. მაგალითად 42-ე გვერდზე თანმიმდევრობით სამი დავალებაა მოცემული: „მედეამ 6 სმ სიგრძის ზოლი უნდა მოქარგოს, 4 სმ უკვე მოქარგა“... ან „თოჯინის კაბის მოსართავად ნინომ 12 სმ-ის სიგრძის ბაფთა 5 ტოლ ნაწილად დაჭრა“. ხოლო ბიჭების საქმიანობა, როგორც წესი, ფინანსებს და საბანკო ანგარიშსწორებას უკავშირდება. მაგალითად, 69-ე გვერდზე: „ცოტნეს საბანკო ანგარიშზე 7800 ლარი აქვს. მას ყოველთვიურად ერიცხება თანხა 700 ლარის ოდენობით“, ანალოგიური მაგალითია იმავე გვერდზე „ლაშას საბანკო ანგარიშზე 3500 ლარი აქვს ყოველთვიურად მის ანგარიშს ემატება ხელფასი - 600 ლარი“... ამ მაგალითებიდან თვალსაჩინოა, რომ მამაკაცები საფინანსო და შემოსავლების მიღების საქმიანობებთან არიან დაკავშირებული, ხოლო გოგონები - საოჯახო და ხელსაქმეებთან, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს მოსწავლეებში არსებული სტერეოტიპების მეტად გამყარებას.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სასოფლო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობებიც. ამ შემთხვევაშიც მამაკაცების საქმიანობა უკავშირდება შემოსავლიან საქმიანობას (ყურძნის მოყვანა, ზეთის წარმოება; მაგალითად, გვ. 46: „შიომ ღვინის ქარხანას 5ტ საფერავი ჩააბარა, 1კგ-2 ლარად, რა თანხის ყურძენი ჩააბარა შიომ ქარხანას“ ან გვერდი 48: „ალექსანდრემ 3 ტონა ვაშლი გაყიდა, 1 კილოგრამი 50 თეთრად“, ხოლო გოგონების შემთხვევაში - „ნატომ მოკრიფა 1248 კგ ჩაის ფოთოლი, მარიამმა-ნატოზე 2-ჯერ მეტი“ (გვერდი 44. მეორე ნაწილი, ანალოგიური მაგალითია წიგნის მეორე ნაწილის 25-ე გვერდზე: „სოფოს ნივრის მოსავალი 68 კგ-ს შეადგენდა. კარტოფილის მოსავალი 3-ჯერ მეტი მიიღო, ვიდრე ხახვის და ხახვის 48 კგ-ით მეტი ვიდრე ნივრის. რამდენი კილოგრამი ბოსტნეული



მიიღო სოფომ სულ“? საინტერესოა, რომ მამაკაცებიც და ქალებიც სასოფლო საქმიანობას ეწევიან, თუმცა მამაკაცების შემთხვევაში ეს ფისკალურ დაჯილდოებასთან არის მიბმული, ხოლო ქალების შემთხვევაში - უშუალოდ საქმიანობას უკავშირდება.

საინტერესოა, რომ ერთი და იმავე ტიპის დავალებებში ბიჭებისა და გოგონების საქმიანობა და როლი სხვადასხვაა. მაგალითად, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ავტორები ასწავლიან „ჯამის რიცხვზე გამრავლებას“. ამ მათემატიკური ოპერაციის სწავლისთვის მე-6 გვერდზე შემდეგი დავალებები გვხვდება: „გიორგი ყოველ სამუშაო დღეს 47 ლარს გამოიმუშავებს და ყოველდღიურად 17 ლარს ხარჯავს“, იმავე გვერდზე შემდეგი დავალებაა „ ლალიმ შეიძინა ერთნაირი ხარისხის 5მ 43 სმ სიგრძის წითელი და 3მ 57სმ-ის სიგრძის თეთრი ბაფთა“. თვალნათელია, რომ ბიჭი თანხას გამოიმუშავებს, ხოლო გოგო საოჯახო ან ხელსაქმისთვის შენაძენს აკეთებს.

სტერეოტიპების განმტკიცება და კვლავწარმოება ტექსტებში

მთლიანობაში სახელმძღვანელო, როგორც პირობითი ნიშნებით, ასევე-ილუსტრაციებით, აგრეთვე ტექსტებით და ტექსტებში პროფესიებისა და საქმიანობების გადანაწილებით, ხელს უწყობს სტერეოტიპების გამყარებას. ზემოთ განხილული მაგალითების გარდა, სახელმძღვანელოში რამდენიმე საინტერესო მონაკვეთი გამოირჩევა ამ თვალსაზრისით. ავტორები ცდილობენ, მამაკაცი წარმოაჩინონ, როგორც ფინანსურად გამართული, „ფულის შემომტანი“ პიროვნება, რომლის არაერთი მაგალითიც წარმოვადგინეთ, თუმცა, სხვა საინტერესო მონაკვეთებზე გვხვდება, მაგალითად: „გოგის დანაზოგი წლის ბოლოს 15000 ლარს შეადგენდა, ხოლო სანდროსი -18000. ერთმაც და მეორემაც ამ თანხიდან 7000-7000 ლარი დახარჯა, დანარჩენი ბანკში შეიტანა, რომელმაც შეიტანა ბანკში მეტი თანხა გოგიმ თუ სანდრომ“ (გვ. 56. მეორე ნაწილი). ამის პარალელურად ქალების საქმიანობა ძირითადად საოჯახო თემატიკას უკავშირდება: „ნინომ და ლილიმ 3-3 კილოგრამი შაქარი იყიდეს. თავდაპირველად ნინოს მეტი თანხა ჰქონდა, ვის დარჩა ნაკლები რაოდენობის თანხა-ნინოს თუ ლილის“ (გვ. 55 მეორე ნაწილი) ან „ნინომ 9კგ პამიდორი იყიდა, მედეამ-7 კგ. ნინომ პამიდორში მედეაზე 6 ლარი და 80 თეთრით მეტი გადაიხადა. რა თანხა გადაიხადა მედეამ პამიდორში“ (გვ. 43 მეორე ნაწილი) ან „ერთ ლიტრ რძესა და ერთ ლიტრ ხაჭოში ნატომ 9 ლარი და 90 თეთრი გადაიხადა“ ... (გვ 28 მეორე ნაწილი).



სტერეოტიპული და საინტერესო მონაკვეთია მამაკაცისა და ქალის კვების რაციონის წარმოდგენის შემთხვევაში, როცა საკვების კალორიების დათვლით, ავტორები ცდილობენ მოსწავლეთათვის მათემატიკური ოპერაციების სწავლებას. მონაკვეთი მთლიანად ქალისა და მამაკაცის კვების სტერეოტიპებითაა გაჟღერებული, რომლის მიხედვითაც ქალბატონები მიირთმევენ მცირედს და ძირითადად ხილს და ბოსტნეულს, ხოლო მამაკაცები ბევრს და - ხორცეულს. მიუხედავად იმისა, რომ მონაკვეთი დილის საუზმეს შეეხება, მამაკაცთა კვების რაციონი სტერეოტიპულად და არაადეკვატურადაა წარმოდგენილი (გვ.72). „მაკამ დილით დალია ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი, შეჭამა ერთი ბანანი და ერთი ვაშლი. დემეტრემ დილით შეჭამა შემწვარი ქათმის ერთი ბარკალი, ხორცის ერთი კატლეტი და დალია ერთი ჭიქა რძე“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო, მიუხედავად ავტორთა გარკვეული მცდელობისა, დავალებებსა და ამოცანებში რაოდენობრივად დაებალანსებინათ ქალისა და მამაკაცის წარმომადგენლობა, მნიშვნელოვან პრობლემატურ მონაკვეთებს შეიცავს ილუსტრაციებში გენდერული თანასწორობის, პროფესიებსა და საქმიანობებში გენდერული გადანაწილების, ისევე, როგორც სტერეოტიპების გამყარების თვალსაზრისით და საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას ამ მიმართულებით.

ქართული, როგორც მეორე ენა

მე-2 კლასი

სახელმძღვანელო, ქართული, როგორც მეორე ენა, განკუთვნილია მეორეკლასელთათვის არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის სწავლებისთვის. სახელმძღვანელოს 3 ქალი ავტორი ჰყავს. გრიფირებულია 2019 წელს. სასკოლო სახელმძღვანელო გაანალიზდა ოთხი მიმართულებით გენდერული დაბალანსებულობისა და თანასწორობის თვალსაზრისით: (1) სქესთა წარმომადგენლობა ტექსტებსა და ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (4) სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში.



სქესთა წარმომადგენლობა ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სქესთა დაბალანსებას აშკარად ცდილობენ ავტორები, განსაკუთრებით ილუსტრაციების ნაწილში, სადაც ავტორები წარმოადგენენ აბსოლუტურად დაბალანსებულ და წყვილებში / ჯგუფებში თანაბრად გადანაწილებულ გოგონებსა და ბიჭებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და პოზიტიურია სახელმძღვანელოსთვის (გვ.6, გვ. 8, გვ.12, გვ.14, გვ.16 და ა.შ). ეს ბალანსი ილუსტრაციებში მთლიანობაშიც დაცულია და სქესთაშორისი წარმომადგენლობა მეტ-ნაკლებად თანაბარია: ილუსტრაციებში 94 ქალი და 110 მამაკაცი გვხდება. ეს განსხვავებაც განპირობებული ერთ-ერთ ტექსტში „ალის ერთი დღე“, რომელიც 3-ე გვერდზეა და რომელიც ერთი ბიჭის, ალის, დღეს შეეხება წარმოდგენილი ილუსტრაციების სიუხვით, სადაც 15 ბიჭის ილუსტრაციაა წარმოდგენილი. ანალოგიური ტექსტი - „ანის ერთი დღე“ გვხდება 37-ე გვერდზე და ესეც მიუთითებს ავტორთა მცდელობას, გენდერულად დააბალანსოს სახელმძღვანელო, თუმცა „ანის ერთი დღის“ ტექსტში მხოლოდ 5 ილუსტრაციაა და სწორედ ეს განაპირობებს ილუსტრაციებში მამაკაცთა ოდნავ მეტ წარმომადგენლობას. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ილუსტრაციებში სქესობრივი ბალანსი დაცულია.

პერსონაჟების თვალსაზრისითაც მაქსიმალურად აქვთ ავტორებს გენდერული ბალანსი დაცული. სახელმძღვანელოში რამდენიმე გმირია, რომელთა გარშემოც არის ტექსტები აგებული და გმირები გენდერულად დაბალანსებულია. გმირების გარშემო არსებულ სიტუაციებს მიღმა გვხდება სხვა ტექსტები, სადაც აგრეთვე მეტ-ნაკლებად არის გენდერული ბალანსის დაცვის მცდელობა. მთლიანობაში სახელმძღვანელოში 49 ქალი პერსონაჟი და 45 მამაკაცი პერსონაჟია წარმოდგენილი, რაც თვალნათლივ მიუთითებს გენდერული თვალსაზრისით არსებულ ბალანსს.

რაც შეეხება სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ავტორთა სქესობრივ ბალანსს, ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათი იკვეთება. ქალი ავტორები შემდეგი შემადგენლობითაა წარმოდგენილი: მზია გოგნიაშვილი, მაკა ინაშვილი, თინა ლომთაძე, ნონა არევამე-კოტორაშვილი, მარიჯანი, ლილი ნუცუბიძე, თათა ჭანტურია, მაია ლორთქიფანიძე, მაკა მახარობლიძე, ლელა ქისტაური, ქეთი ფიცხელაური, მაკა კვაჭაძე, თამარ ფხაკაძე. რაც შეეხება მამაკაც ავტორებს აქ გვხდება იაკობ გოგებაშვილი, გივი ჭიჭინაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ დუმბაძე, ვასო გოლეური, დუტუ მეგრელი. მთლიანობაში 13 ქალი



ავტორი და 6 ავტორი მამაკაცია წარმოდგენილი თვალნათელია, რომ ავტორთა მხრივ ქალი ავტორები ჭარბობენ მამაკაც ავტორებს. დეტალურად, ინფორმაცია გენდერული წარმომადგენლობის შესახებ ტექსტებში, ილუსტრაციებსა და ავტორების თვალსაზრისით ცხრილში ქვემოთაა წარმოდგენილი.

ცხრილი - გენდერული წარმომადგენლობა ტექსტებში, ილუსტრაციებსა და ავტორების თვალსაზრისით.

	ქალი	მამაკაცი
ავტორი	13	6
ტექსტებში	49	45
ილუსტრაციებში	94	110

მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

მამაკაცთა პრიმატი სახელმძღვანელოს ტექსტებში ხშირად არ შეიმჩნევა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, სახელმძღვანელო მეორე კლასისთვისაა განკუთვნილი. შესაბამისად, მხოლოდ მცირე ტექსტები გვხვდება, თუმცა, გარკვეული ხარვეზები მამაკაცის პრიმატის ანალიზის კონტექსტში მაინც იკვეთება. სახელმძღვანელოს 32-ე გვერდზე მოცემულია ტექსტი „სახლობანა“ , რომლის გმირები არიან დედა, მამა, ბაბუა და ორი შვილი - ლუკა და მაია. ტექსტში მოცემულია, თუ რას აკეთებს ოჯახის თითოეული წევრი სახლში. საინტერესოდ არის წარმოდგენილი ცოლ-ქმრის როლი. იმ დროს, როცა ქმარი ტელევიზორს უყურებს, ცოლი სახლს ალაგებს. 28-ე გვერდზე საინტერესოა ტექსტი „როგორი ვარ“ , სადაც ორი გმირი - ალი და ანაა. ალის ყავისფერი თმები აქვს და უყვარს კითხვა, ხოლო ანას, ასევე, ყავისფერი თმები აქვს და უყვარს კერვა და საინტერესო წიგნების კითხვა. ანუ ორივე გმირს უყვარს კითხვა, მაგრამ, დამატებით, ანას უყვარს კერვა, რაც ქალისთვის ბუნებრივ მდგომარეობად არის მოწოდებული.

ამავე კონტექსტში საინტერესო ილუსტრაციაა სახელმძღვანელოს 23-ე გვერდზე, სადაც ხილის ხეა წარმოდგენილი და ბავშვები ცდილობენ ხილის ნაყოფი მიიღონ. ბიჭები ტოტების ზედა ნაწილზე არიან განლაგებული და კრეფენ ხილს, ხოლო გოგონები მხოლოდ მიწიდან ცდილობენ ნაყოფის დაუფლებას, რაც აგრეთვე ქმნის ერთგვარ წარმოდგენას ბიჭების უპირატესობის შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ხეზე აძრომა და უფრო მეტი ნაყოფის



დაუფლება, ხოლო გოგონები მხოლოდ ადვილად ხელმისაწვდომი ნაყოფით კმაყოფილდებიან.

პროფესიები და საქმიანობები გენდერულ ჭრილში

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო მეორეკლასელთათვისაა და ნაკლებ ტექსტურ მასალას მოიცავს, გენდერული სტერეოტიპები მაინც ნათლად არის გამოვლენილი ქალისა და მამაკაცის საქმიანობის თვალსაზრისით. მაგალითად, სახელმძღვანელოს დასაწყისში, როცა მოსწავლეები სკოლაში ბრუნდებიან, გვხვდება მასწავლებელი, რომელიც ქალია (გვ.6). ეს მასწავლებელი მთელ სახელმძღვანელოს მიუყვება და მასწავლებლის როლში მუდმივად ქალი გვხვდება სახელმძღვანელოში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე მე-11 გვერდზე ტექსტი „სასაუბრო“, რომელშიც ავტორი მისაღმებისა და დამშვიდობების ფორმების სწავლებას ცდილობს და მისი შინაარსი გულისხმობს მეგობრისთვის, რომელიც სახლში არ არის წიგნის დატოვებას. თუმცა ტექსტს ახლავს სურათი, რომელშიც მეგობრის დედა, რომელსაც უტოვებენ წიგნს, დიასახლისის ფორმითაა გამოსახული, რაც მნიშვნელოვანი გზავნილია ქალთა როლზე: რომ დედები, როგორც წესი, არიან სახლში და დიასახლისის ფორმით ეწევიან საოჯახო საქმიანობას. ანალოგიურად, 24-ე გვერდზე, სადაც წარმოდგენილია ტექსტი „ანას ოჯახი“, ანას დედა სურათზე დიასახლისის წინსაფრითაა წარმოდგენილი, რაც იმ ხაზის გატარების გაგრძელებაა - რომ ქალები ძირითადად დიასახლისები არიან და წინსაფარი მათი იდენტობის ნაწილია.

რაც შეეხება სხვა ტიპის საქმიანობებს, ქალების შემდეგი როლებია წიგნში წარმოდგენილი: კერვა (გვ.28), ჩურჩხელის ამოვლება (გვ.23), წიგნის კითხვა (გვ.26), ტელეფონზე საუბარი (გვ.26), სახლის დალაგება (გვ.32), მაღაზიის გამყიდველი (გვ.56). მამაკაცის საქმიანობას და პროფესიებს რაც შეეხება: უყურებს ტელევიზორს (გვ.24), ასეირნებს ძაღლს (გვ.27), ექიმი (გვერდი 32). წარმოდგენილი საქმიანობები და პროფესიები ხელს უწყობს ქალის, როგორც დიასახლისის და მხოლოდ საოჯახო საქმეებზე ორიენტირებული ადამიანის წარმოჩენას.



სტერეოტიპების განმტკიცება და კვლავწარმოება ტექსტებში

სტერეოტიპების განმტკიცებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით, საინტერესო დიალოგია 38-ე გვერდზე წარმოდგენილი: მასალის მიზანია გაკვეთილის ცხრილის სწავლება მოსწავლეთათვის და შესაბამისი ტერმინების და მათი გამოყენების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ავტორებს შემოაქვთ დიალოგი ალისა და ანას შორის, რომელშიც მოსწავლეთა საყვარელი დღეების შესახებ არის საუბარი, რომლებიც გაკვეთილების სწავლების დღეებს ემთხვევა. ტექსტის მიხედვით, ანას მუსიკა და, შესაბამისად, ორშაბათი და ხუთშაბათი უყვარს, ხოლო ალის ყველა დღე უყვარს, რადგან მათემატიკა და ქართულია მისი საყვარელი საგნები. გოგოს საყვარელ საგნად-მუსიკის, ხოლო ბიჭის მათემატიკის შერჩევა ცალსახად უწყობს ხელს სტერეოტიპების კიდევ მეტად გამყარებას ბიჭების მიერ მათემატიკური ნიჭის შესახებ.

სტერეოტიპების განმტკიცების მაგალითებზე პროფესიების და საქმიანობების ნაწილში არაერთი მაგალითი მოვიყვანეთ. ამავე კონტექსტში საინტერესოა სახელმძღვანელოს 65-67 გვერდებზე ტექსტის „მათემატიკის გაკვეთილი“ ილუსტრაციების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში ცხოველების გაპიროვნება ხდება და ტექსტის გმირები ცხოველები არიან, ილუსტრაციაში ავტორებს ტექსტის გმირებისთვის სქესი აქვთ მინიჭებული, მათ შორის - მასწავლებლისთვის. ის მდებარეობითი სქესის წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მასწავლებლის სქესს არ განსაზღვრავს. ეს მაგალითიც ადასტურებს სახელმძღვანელოებში სტერეოტიპების განმტკიცებაზე ორიენტირებას და არა მოსწავლეთა ამ სტერეოტიპებისგან განთავისუფლების მცდელობას.

სტერეოტიპების განმტკიცების თვალსაზრისით, საინტერესოა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მე-10 თავი - „ჩემი პირველი ზღაპრები“. ამ თავში ტექსტის სახით ორი ზღაპარია მოცემული: „წითელქუდა“ და „მაუგლი“. გენდერულად დაბალანსების მცდელობა ჩანს, რადგან ერთი ზღაპარი გოგონას, ხოლო მეორე - ბიჭს ეხება. თუმცა, სტერეოტიპების განმტკიცების თვალსაზრისით ამ ზღაპარში წარმოდგენილი გმირები არიან, ერთი მხრივ, ლამაზი, სუსტი გოგონა, რომელიც უსუსურია და მგელიც კი მის მოტყუებას ახერხებს და, მეორე მხრივ, ყოჩაღი ბიჭი, რომელიც ჯუნგლებში, ველურ და მტაცებელ ცხოველებში, გადარჩენას ახერხებს. ამ ორი გმირის შეპირისპირება მოსწავლეებში გოგონებისა და ბიჭების მიმართ ამტკიცებს ან ხელს უწყობს სტერეოტიპებს. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელო მეორეკლასელთათვისაა და წითელქუდა შინაარსობრივი თვალსაზრისით



დიდი დატვირთვის მატარებელი არ არის, ხოლო ენობრივი თვალსაზრისით სხვა ტექსტის შეტანაც იყო შესაძლებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო ილუსტრაციებსა და ტექსტებში ახერხებს გენდერული ბალანსის შენარჩუნებას, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ავტორების თვალსაზრისით კი ქალბატონები სჭარბობენ მამაკაცებს. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოში გარკვეული კორექტივების შეტანაა სასურველი ილუსტრაციებში გენდერული თანასწორობის, პროფესიებსა და საქმიანობებში გენდერული გადანაწილების თვალსაზრისით, ისევე, როგორც სტერეოტიპების განმტკიცებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით.

ქართული, როგორც მეორე ენა

მეხუთე კლასი

ქართულის, როგორც მეორე ენის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო გრიფირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2019 წელს. ავტორთა ჯგუფი შედგება 6 ქალისა და ერთი მამაკაცისაგან. აღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელოც გაანალიზდა ოთხი მიმართულებით გენდერული დაბალანსებისა და თანასწორობის თვალსაზრისით: (1) სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, პერსონაჟებსა და ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (4) სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში.

სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სქესთა რეპრეზენტაციას თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში ქალთა წარმომადგენლობა მაღალია. სახელმძღვანელო შედგება 12 გაკვეთილისგან, რომლებშიც 167 შემთხვევაში გვხვდება ქალი და 143 შემთხვევაში - მამაკაცი. 12 გაკვეთილს ახლავს 12 დამატებითი საკითხავი მასალა, სადაც აგრეთვე 24 შემთხვევაში გვხვდება ქალი, ხოლო 22-შემთხვევაში მამაკაცი. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტების ავტორთა



გენდერული გადანაწილება ქალების სასარგებლოდაა. 7 ტექსტია ქალი ავტორით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი და 4 ტექსტია მამაკაცი ავტორით, თუმცა, თუ ავტორთა რაოდენობით ვიმსჯელებთ, ამ შვიდიდან ოთხი ავტორი ქალია (ასტრიდ ლინდგრენი, ჯოან როულინგი, ანა გავალდა, ნათია მანია) და სამი - მამაკაცი (ილია ჭავჭავაძე, ნოდარ დუმბაძე და მარკ ტვენი). რაც შეეხება ილუსტრაციებს: როგორც ტექსტებში, ასევე დამატებით საკითხავსა და დანართში, 133 შემთხვევაში მამაკაცის ილუსტრაციაა და 123 შემთხვევაში - ქალის. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი პარამეტრებით, სახელმძღვანელო მთლიანობაში გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებულია.

	ქალი	მამაკაცი
ავტორი	4	3
ტექსტებში	191	165
ილუსტრაციებში	123	133

მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

მამაკაცთა პრიმატი გარკვეულ მონაკვეთებში სახელმძღვანელოში მაინც იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ, ტექსტები დააბალანსონ. მაგალითად, 42-გვერდზე, სადაც ბებია და ბაბუა შვილიშვილს ესაუბრება, რომელიც სოფელში უნდა დაბრუნდეს, ბაბუა წარმოჩენილია გამჭრიახ და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ პიროვნებად, ხოლო ბებო დახატულია წინსაფრთან ქალბატონად, რომელიც ბაბუის მოფიქრებულს ადასრულებს და იმას აკეთებს, რაც ბაბუამ არ გააკეთა, მან მხოლოდ მოიფიქრა როგორ მოეყვანათ ლეკვი შვილიშვილისთვის. ანალოგიურად პრობლემატურად შეიძლება ჩაითვალოს არდადეგებთან დაკავშირებული ტექსტები (გვ.24), სადაც ბაბუა ტყეში დადის საქმეებზე და შვილიშვილებსაც სახლის აშენებაში ეხმარება, ხოლო ბებია იმავე თემის სხვა კონტექსტში ბავშვებს სადილს უმზადებს მდინარეზე წასაღებად.

სქესთა წარმომადგენლობა პროფესიებსა და საქმიანობებში

სქესთა წარმომადგენლობა საქმიანობებსა და პროფესიებში გარკვეული თვალსაზრისით პრობლემატურია. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სპეციალური თავი, რომელიც



პროფესიებს შეეხება და ამ პროფესიების გადანაწილება გენდერულად დაუბალანსებელია და წინასწარ განსაზღვრულ გენდერულ პროფესიებს ასახავს, მაგალითად, გენდერულად განსაზღვრის თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში შემდეგი პროფესიები გვხვდება: ქალები - მასწავლებელი, მაღაზიაში გამყიდველი. მამაკაცების პროფესიები კი - პილოტი, პატრული, ავტობუსის მძღოლი, მშენებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ამ თვალსაზრისით მამაკაცი მიმტანის წარმოჩენა, რომელიც ტრადიციული მიმტანის, როგორც ქალის პროფესიისადმი გენდერულ სტერეოტიპს ამსხვრევს. პროფესიები წარმოდგენილია სხვა ტექსტებშიც და ამ ტექსტებშიც ქალები არიან მასწავლებლები, ბავშვთა ექიმები, საავადმყოფოს მიმღებში მომუშავე თანამშრომლები, მოლარეები, დიასახლისები, ბიბლიოთეკარები, ხოლო მამაკაცები- ტაქსის მძღოლი, ექიმი, პოლიციელი, ატრაქციონის ზედამხედველი, მძღოლი, პოპკორნის გამყიდველი, ბილეთების კონტროლიორი. შესაბამისად, პროფესიების თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში იყო შესაძლებლობა გენდერულად უფრო მგრძობიარე მიდგომები ყოფილიყო გამოყენებული.

საქმიანობების თვალსაზრისით თუ გადავხედავთ სახელმძღვანელოს, გარკვეული პრობლემები შეიმჩნევა გენდერული დაბალანსების თვალსაზრისით. მაგალითად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, საახალწლო მოთხრობა“, რომლის მიხედვითაც დედა ბუხარში თაფლს ადნობს (გვ. 26), ეს მონაკვეთი არ იქნებოდა პრობლემატური, რომ არა ნახატი, რომელშიც ქალები ტრიალებენ და საქმეს აკეთებენ, მამაკაცი ყალიონს აბოლებს, ხოლო ბიჭი ბავშვები ტკბილულს მიირთმევენ (გვ.27). საქმიანობების თვალსაზრისით აგრეთვე გვხვდება საქმიანობები, სადაც ბებო სადილს ატანს ბავშვებს მდინარეზე (გვ. 24), დედა დიასახლისია (გვ. 14.), ბებია დიასახლისია წინსაფრით (გვ. 42). რაც შეეხება ბიჭებს - ფეხბურთს თამაშობენ და ფეხბურთის თამაში უყვართ (გვ.37).

სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება

სტერეოტიპების წარმოებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში არსებული რამდენიმე ეპიზოდი ერთობლიობაში ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას. ცალკე აღებული ეს ეპიზოდები შესაძლოა ნაკლებ პრობლემური იყოს, თუმცა რამდენიმე ეპიზოდის ერთობლიობა უკვე ქმნის გარკვეულ ტენდენციებს და



უყალიბებს მოსწავლეებს გენდერულ სტერეოტიპებს. კერძოდ, სახელმძღვანელოში გვხვდება არდადეგებთან დაკავშირებული ტექსტები, რომელთა მიხედვითაც ბებია საჭმელს უმზადებს მდინარზე წასასვლელ შვილიშვილებს, ხოლო ბაბუა ტყეში დადის, სადაც საქმე აქვს და სახლს აშენებინებს ბავშვებს (გვ. 24). ეს ეპიზოდი ხელს უწყობს, ქალის როგორც დიასახლისის, ხოლო კაცის - საქმიანი ადამიანის როლის ხაზგასმას, განსაკუთრებით ასეთი შეპირისპირების, ერთი და იმავე თემის ქვეშ. ამავე კონტექსტში მეორე მაგალითია დედა, როგორც დიასახლისი (გვ. 14), ხოლო მამა - ტაქსის მძღოლი და დასაქმებული. ეპიზოდი, როცა მოსწავლე მასწავლებელს სთავაზობს საცხოვრებლად საკუთარ სახლს და აცნობს საკუთარ ოჯახს. დედა დიასახლისია ამ ოჯახში, ხოლო მამა მუშაობს. ეს ეპიზოდიც ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლებს შორის გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას უწყობს ხელს. მესამე მაგალითია ამავე სტერეოტიპის გამყარების ტექსტი რეზოს შესახებ (გვ. 37). რეზო პატარა ბიჭია, რომელიც დედას ეხმარება „დედას როგორ ეხმარება? ხან პური მოაქვს მარკეტიდან, ხან-შაქარი“. დედის დამხმარე რეზო ოჯახში საკვები პროდუქტების მომარაგების თვალსაზრისით, აგრეთვე უსვამს ხაზს არსებულ სტერეოტიპს, რომ მამაკაცს მოაქვს პროდუქტი, ხოლო დედა ამზადებს ამ პროდუქტებისგან. უპრიანი იქნებოდა რეზო დედას ან მამას საჭმლის მომზადებაშიც დახმარებოდა.

სტერეოტიპების კვლავწარმოების თვალსაზრისით არის ეპიზოდი, რომელიც შვილებზე ზრუნვის მხოლოდ დედის როლსა და მნიშვნელობაზე არსებულ სტერეოტიპს აღრმავებს. სახელმძღვანელოს ეპიზოდი, როცა დედას მიჰყავს ბავშვი ექიმთან, რომელსაც მუცელი სტკივა (გვ. 32). ამ ეპიზოდშიც მხოლოდ დედის გამოჩენა და ჩართვა ხელს უწყობს სტერეოტიპის გაღრმავებას, რომლის მიხედვითაც დედა ზრუნავს შვილზე, ხოლო მამების როლი ამ თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი. ღირებული იქნებოდა შვილზე მზრუნველად სწორედ მამა ყოფილიყო წარმოდგენილი.

სახელმძღვანელოში არის რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც აღრმავებს სტერეოტიპს, რომ დედის საქმეა დიასახლისობა, ხოლო მამა გარე საქმეებით, სამსახურით, ოჯახის ფინანსური მდგრადობით არის დაკავებული. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდიც ლალის დაბადების დღე, რომლის მიხედვითაც დედამ სუფრა გაშალა, ხოლო მამა სამსახურიდან მოვიდა ლალის დაბადების დღეზე, ლეკვი აჩუქა და დიდი ხნის სურვილი აუსრულა (გვ. 53). ასევე, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ნოდარ დუმბაძის ლექსი „წერილი მანანას“, რომლის მიხედვითაც აგრეთვე მამიკოა მყიდველი და გადამხდელი: „მიყიდიდა მამიკო, მაგრამ



ძლიერ დიდია“ (გვ.56). ამავე კონტექსტში, ამ სტერეოტიპის გამამყარებელია ტექსტი თოვლის ბაბუას შესახებ. ამ ტექსტის მიხედვით, ნატას მიერ დაწერილი წერილი თოვლის ბაბუასადმი მამამ ჯიბეში ჩაიდო და ველოსიპედის საყიდლად წავიდა, რომელიც ნატამ თოვლის ბაბუას შეუკვეთა (გვ.65). ტექსტს მოსდევს შეკითხვა: „ვინ არის სინამდვილეში ნატას „თოვლის ბაბუა“? ეს კითხვა კიდევ უფრო ამძაფრებს მამის როლს, რომელიც წარმოდგენილია ბავშვებისთვის საჩუქრების მომტანად, რადგან ფინანსური რესურსი მას აქვს. ყველა ეს ეპიზოდი ცალ-ცალკე და ერთობლივად აღრმავებს სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის როლის შესახებ ოჯახში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ავტორთა მხრიდან სახელმძღვანელოს გენდერული დაბალანსების მცდელობა აშკარაა. რაოდენობრივი თვალსაზრისით, ავტორები აღწევენ დასახულ მიზანს, თუმცა, თვისებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმძღვანელო საჭიროებს გაუმჯობესებას მამაკაცის ქალზე პრიმატის, პროფესიებისა და საქმიანობების გენდერულად მგრძნობიარე გადანაწილებისა და სტერეოტიპების წარმოებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით, რადგან არსებული ტექსტებით და ეპიზოდებით მოსწავლეებში შეიძლება დაილექოს სხვადასხვა გენდერული სტერეოტიპი.

რუსული ენა

მეექვსე კლასი

რუსული ენის სახელმძღვანელოს, რომელსაც ერთი ქალი ავტორი ჰყავს, მეექვსეკლასელთათვის არის განკუთვნილი. გრიფირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს. აღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელოც გაანალიზდა ოთხი მიმართულებით (გენდერული დაბალანსებულობისა და თანასწორობის თვალსაზრისით): (1) სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, პერსონაჟებსა და ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (4) სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება ტექსტებში.



სქესთა წარმომადგენლობა ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სქესთა დაბალანსების მცდელობა ნაკლებად შეიმჩნევა ილუსტრაციებში, სადაც მამაკაცები უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი (მაგალითად, გვ.12, გვ.37, გვ.58 და ა.შ.), თუმცა, საკმაოდ იშვიათად გვხვდება დაბალანსებული ილუსტრაციებიც. შესაბამისად, ილუსტრაციებში დაუბალანსებლობა ცალსახაა სახელმძღვანელოს მთლიან ანალიზში ქალისა და მამაკაცის წარმომადგენლობის თვალსაზრისით. ილუსტრაციებში 83 ქალი და 149 მამაკაცი გვხვდება. ანუ ილუსტრაციებში წარმოდგენილი სქესის მიხედვით სურათებში 64.2 %-მამაკაცია და მხოლოდ 35.8% -ქალბატონი. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია და შესაძლებელი იყო მეტად ყოფილიყო გენდერული ბალანსი სახელმძღვანელოში დაცული.

	ქალი	მამაკაცი
ავტორი	0	10
ტექსტებში	249	356
ილუსტრაციებში	83	149

სახელმძღვანელოში ავტორთა თვალსაზრისითაც გენდერული ბალანსი სრულიად დაუცველია. სახელმძღვანელოში წარმოდგენილ 14 გაკვეთილში 10 ავტორი გვხვდება და ათივე მათგანი მამრობითი სქესისაა.

	მდედრობითი სქესი	მამრობითი სქესი	სახელი და გვარი
1 გაკვეთილი	0	1	р. Рождественский
2 გაკვეთილი	0	2	м. пляцковский, в. Шаинский
3 გაკვეთილი	0	1	сергей михалков
4 გაკვეთილი	0	0	
5 გაკვეთილი	0	0	
6 გაკვეთილი	0	0	
7 გაკვეთილი	0	1	Самуил Маршак
8 გაკვეთილი	0	2	Михаил Пляцковский, Владимир Шаинский
9 გაკვეთილი	0	0	
10 გაკვეთილი	0	0	



11 გაკვეთილი	0	0	
12 გაკვეთილი	0	0	
13 გაკვეთილი	0	1	Генрих Сапгир
14 გაკვეთილი	0	2	Юрий Михайлов,Алексей Рыбников
სულ	0	10	

პერსონაჟების თვალსაზრისითაც ავტორები თითქოს ცდილობენ ზოგიერთ შემთხვევაში გენდერული ბალანსის დაცვას, თუმცა, მთლიანობაში სახელმძღვანელოში 249 ქალი და 356 მამაკაცი გვხვდება, რაც თვალნათლივ მიუთითებს გენდერული თვალსაზრისით არსებულ დისბალანსს.

	სქესის განმსაზღვრელი გამოყენებული სიტყვა (ადამიანზე)	
	მდედრობითი სქესი	მამრობითი სქესი
1 გაკვეთილი	35	51
2 გაკვეთილი	15	20
3 გაკვეთილი	17	34
4 გაკვეთილი	17	14
5 გაკვეთილი	16	27
6 გაკვეთილი	9	21
7 გაკვეთილი	0	0
8 გაკვეთილი	0	1
9 გაკვეთილი	1	17
10 გაკვეთილი	27	27
11 გაკვეთილი	56	72
12 გაკვეთილი	18	28
13 გაკვეთილი	20	20
14 გაკვეთილი	18	24
სულ	249	356



მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

გენდერული თვალსაზრისით ტექსტები დაბალანსებულია და რაიმე სახის უპირატესობა ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური თუ სხვა ნიშნით არ იკვეთება ტექსტებში, რაც სახელმძღვანელოს პოზიტიურ მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ. ერთადერთი - სახელმძღვანელოს პირველი თავის მთავარი გმირი ბიჭია, რომელსაც ჰყავს როგორც მეგობარი ბიჭები, ისე გოგონები; როგორც ძმა, ასევე - და. ამ გადანაწილებაში ბალანსი შენარჩუნებულია, თუმცა მთავარი გმირი მაინც ბიჭია, დიმა (გვ 6).

პროფესიები და საქმიანობები გენდერულ ჭრილში

საქმიანობებსა და პროფესიებში გენდერული როლები გამიჯნულია ტექსტებსა და ილუსტრაციებში მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი ბალანსის შენარჩუნებას ავტორები ცდილობენ, გენდერული როლები, საქმიანობები და პროფესიებში გენდერულად მკვეთრი გამიჯვნა მაინც იკვეთება. მაგალითად, სახელმძღვანელოს მეოთხე გაკვეთილი (თავი) ეხება ნივთებს და 25-ე გვერდზე წარმოდგენილია ნივთები. გენდერულად დაბალანსებულია: ერთი ბიჭია და მეორე - გოგო; თუმცა, ნივთების გადანაწილება გენდერულად მიკერძოებულია. ბიჭის ნივთების ჩამონათვალში გვხვდება: ბურთი, მანქანა, როლიკები, ველოსიპედი და კუბიკები. ხოლო გოგოს ნივთების ჩამონათვალში შედის: ხელჩანთა, გასაღები, ტელეფონი, საფულე, ტუჩსაცხი და პატარა სარკე.

საქმიანობების თვალსაზრისით, აგრეთვე საინტერესოა გენდერული სხვაობები, მაგალითად, ბიჭები წარმოდგენილნი არიან აქტიურ დასვენებასა და სპორტში (ფეხბურთი გვ.34; კალათბურთი - გვ.36, ლაშქრობა - გვ.86; ხოლო გოგონები კითხულობენ წიგნს (გვ.71), ისვენებენ პარკში (მათ შორის - ბიჭებთან ერთად) (გვ.36) ან ინდივიდუალურად მისდევენ სპორტს (გვ.71).

სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება

საქმიანობების თვალსაზრისით საინტერესოა მე-11 გაკვეთილი (თავი 3, გვ. 64-70). 64-ე გვერდზე წარმოდგენილია სურათი ოჯახის წევრებით, ოჯახის იგივე წევრებია წარმოდგენილი 70-ე გვერდზე. საინტერესოა, რომ ამ სურათზე ქალები ან წინსაფრით არიან



და საუბრობენ, რაც ხაზს უსვამს მათ დიასახლისობას, ან სარეცხ მანქანასთან სარეცხს რეცხენ, ან იატაკის ჯოხითა და საწმენდით სახლს ალაგებენ, მამაკაცები კი ან გაზეთს კითხულობენ, ან პირად კომპიუტერში კითხულობენ ან შეექცევიან საჭმელს ან სასმელს. როლების მსგავსი გადანაწილება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მოსწავლეებში ოჯახური როლების გენდერული სტერეოტიპულ გადანაწილების კვლავწარმოებას.

ისტორია

მე-7 კლასი

მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი შედგება 2 ქალისა და 3 მამაკაცისაგან. გრიფირება გაიარა 2019 წელს. კვლევის ჩარჩოსა და საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოს ანალიზი შემდეგი მიმართულებებით განხორციელდა (1) სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; (2) დისკუსიისა და განხილვის პოტენციალი (3) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (4) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (5) სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

მთლიანობაში, სახელმძღვანელო გამოირჩევა ილუსტრაციული სიუხვით. ძირითადი შინაარსობრივი ნარატივი გამდიდრებულია საინტერესო და სასარგებლო წყაროებით, რომლებიც დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს კონკრეტული ეპოქის, კონტექსტის შესახებ. სწორედ წყაროების და შესაბამისი ილუსტრაციები წარმოადგენს ავტორებისათვის ძირითად საშუალებას შინაარსის გენდერული დაბალანსებისათვის.

ილუსტრაციებში ასევე ხშირად ვხვდებით იმ პოზიტიურ მაგალითებს, სადაც ავტორები ცდილობენ, რომ ისტორიული არტეფაქტები ქალთა ყოფა-ცხოვრების წესს, ტრადიციებს დაუკავშირონ. ასევე წარმოაჩინონ ქალების მითოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა უძველეს ისტორიაში. ასე მაგალითად, მე-15 გვერდზე, წყარო 3, ყურადღებას ამახვილებს ადრეული ხელოვნების ნიმუშებზე, რომლებიც ქალის სახესა და ქანდაკებას წარმოადგენენ.



23-ე თავში, ათენის პოლისზე მსჯელობისას, წყარო ა-ში ათენის, როგორც საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქის შესახებ მსჯელობისას, ნახსენებია ქალღმერთი ათენა, რომელიც ქალაქის მფარველი იყო. მე-60 გვერდზე წყარო გ-ში ბარელიეფის სახით ასევეა წარმოდგენილი ქალღმერთი ინანა, რომლის რჩეულად თავს თვლიდა სარგონ აქადელი. 74-ე გვერდზე კი, ილუსტრაციები, რომლებიც სოლონის მმართველობის პრინციპების აღწერას მოიცავს, სოლონის ბიუსტთან ერთად, სიბრძნის ქალღმერთის, ათენას ქანდაკებაც არის მოცემული (წყარო ბ) ქალი სახელმძღვანელოში იბერიულ-კოლხურ მონეტაზე დატანილი გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს და სიბრძნის ქალღმერთის - ათინას გამოსახულებას და მის ილუსტრაციას უკავშირდება. ქალთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ასევე არის მოცემული წყარო ი-ში, რომელიც ბარელიეფის სახით მონა ქალების მიერ ქალბატონს თმას დავარცხნის სცენას წარმოადგენს. გვ. 52-ზე კი წარმოდგენილია წყარო ა, ოქროს საწმისის მოტაცების სცენა, სადაც მედეა ურჩხულს აძინებს. 85-ე გვერდზე ასევე შევხვდებით ვენერა მილოსელის ტორსსა და ქალღმერთ ნიკეს ქანდაკებებს ლუვრის კოლექციიდან.

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

ისტორიის სახელმძღვანელო იწყება ქვის ხანის პერიოდიდან, კაცობრიობის განვითარებით, რომელიც ევოლუციის თეორიას ეფუძნება. კაცობრიობის უძველესი განვითარების ისტორია მეტწილად ორივე სქესის პერსპექტივიდან არის აღწერილი, სადაც რომელიმე ერთი სქესის საქმიანობაზე აქცენტები არ არის გაკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, დიდი აქცენტი კეთდება საკვების მოპოვებასთან დაკავშირებულ ცხოვრების წესსა და აქტივობებზე, ნარატივში ნაკლებად არის ხაზგასმული მამაკაცების დომინანტური როლი და პრიორიტეტული ჩართულობა საქმიანობებში. ისტორიაში გამოყენებულია სქესობრივად ნეიტრალური თხრობა. საგულისხმოა, რომ ძველის ხანის ადამიანთა საქმიანობის დახასიათებისას, პირველი აქცენტი კეთდება მხატვრობასა და ხელოვნების ნიმუშების შესრულებაში ქალთა როლსა და განსაკუთრებულ ჩართულობაზე. ამის მაგალითია მე-4 ქვეთავში - „როგორი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ ადამიანებს პალეოლითის პერიოდში“- მოცემული წყარო, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ანალიზითა და მტკიცებულებით არის გამყარებული. აქვეა აღნიშნული, რომ ადამიანის სახის უძველესი გამოსახულებაა „ქალბატონი ბრასემპუიდან“, ხოლო მეორე უძველესი გამოსახულება „ვილენდორფის ვენერა“ ნაყოფიერების, ახალი სიცოცხლის დაბადების იდეასა და ქალღმერთს გამოხატავს.



წიგნის მომდევნო თავში ლაპარაკია ბრინჯაოს ხანასა და ძველი აღმოსავლეთის კულტურის ელემენტებზე. შესაბამისად, აქცენტი კეთდება ხელოსნობის იმ დარგებზე, რომელთა გაჩენა და განვითარება ამ პერიოდს უკავშირდება. საგულისხმოა, რომ ხელოსნობისა და შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ტიპების აღწერისას, პროცესები მოცემულია გენდერულად ნეიტრალური ნარატივით, ამასთან, დასახელებულია ხელოსნობის ისეთი დარგები, რომლებიც არ აჩვენებს იმ ეპოქის ადამიანების ცხოვრებას მხოლოდ მამაკაცური საწყისის პერსპექტივიდან. ხელოსნობის დარგებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამეურნეო იარაღებზე აღწერისას, ნახსენებია ძაფის დასამუშავებელი ნივთები, ხელით ნაძერწი ჭურჭელი. წყარო ა-ში კი, მოცემულია აღმოჩენილი ქარისა და გიშრისა სამკაულებთან დაკავშირებული ვარაუდები ისე, რომ მათი გამოყენებისას სქესი არ არის დაზუსტებული.

მიწათმოქმედების უძველესი კერების აღწერისას, ავტორები ასევე არ მიჯნავენ საქმიანობებს სქესის მიხედვით. საინტერესოა, რომ წყარო ბ-ში რომელიც ასახავს ნახატის სამარხის კედლებზე გამოსახულ მიწის სამუშაოებს ძველ ეგვიპტეში (მე-18 დინასტია, ძვ. წ. XV ს., თებე), კარგად ჩანს საქმიანობაში ჩართული პირების სქესი. სასურველი იქნებოდა, რომ წყაროს განმარტებისას, გარდა საქმიანობების ტიპისა და ეგვიპტეში არსებული სეზონების დაყოფისა, ასევე გაემახვილებინათ ავტორებს ყურადღება მოცემულ სქესთაშორის განაწილებაზე, შრომაში ჩართულ პირთა რაოდენობრივ მაჩვენებელზე სქესის მიხედვით და მათ ფუნქციურ განაწილებაზე. ეს ნახატი ხელსაყრელ საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებთან მოხდეს ძველ ეგვიპტეში ქალების მართვაში ჩართულობის სისტემის განხილვა და მოგვიანებით, სხვა ცივილიზაციებში არსებულ სისტემებთან შედარებაც.

მომდევნო ნაწილები, რომლებიც მეტალურგიის განვითარებასა და ამ განვითარების შედეგებს აღწერს და კავკასიის, კონკრეტულად კი მტკვარ-არაქსის მაგალითზე წარმოადგენს მოვლენებს, წყარო ბ-ში მოცემულია იმდროინდელი კერამიკისა და თიხის ჭურჭლის ილუსტრაციები, რაც ისტორიულ მიღწევებსა და პროცესებს სოციალურ-კულტურულ ჭრილში გვიჩვენებს და ხაზს უსვამს სწორედ სოციალურ-კულტურული ჭრილიდან გაანალიზებული ისტორიის მნიშვნელობას. იმავე პრინციპით არის წარმოდგენილი წყარო დ-ც, სადაც, ბრინჯაოს იარაღებთან ერთად, მოცემულია სამკაულების ილუსტრაციებიც, რაც საბრძოლო იარაღების აღქმას ბრინჯაოს დამუშავების კულტურასთან აკავშირებს.

ანტიკური ხანის აღწერის პირველი ტექსტი წარმოდგენილია მეოცე თავში კოლხეთის



სამეფოს აღწერით ჩვ. წ. მე-4-6 საუკუნეებში. თხრობა იწყება არგონავტების მითის გავლენით კოლხეთის მიმართ ბერძნების ინტერესის გაძლიერებაზე, რამაც დიდი გავლენა იქონია კოლხეთის სახელმწიფოებრიობის შესახებ ბევრი ისტორიული ფაქტისა და არქეოლოგიური ნიმუშის შენარჩუნებაზე. პირველივე პარაგრაფშია საუბარი კიმერიელ ტომებსა და მათ მეომარ ბუნებაზე. ასევეა საუბარი, კოლხური ზღვისპირეთის ზოლზე ბერძნების მიერ სავაჭრო ქალაქების დაარსებასა და ამგვარად, მათი მსოფლიო საზღვაო ვაჭრობის ქსელში ჩართულობაზე. ამ ტიპის თხრობაში, ნაკლებად იკვეთება გენდერული ნიშნები და იგრძნობა განვითარების ეტაპის ზოგადსახელმწიფოებრივი ხედვით განხილვის ტენდენცია, რაც პოზიტიურია. კოლხეთის სამეფოს აიეტიდების დინასტიის მიერ მართვის მოხსენიებისას, ავტორები დინასტიის სახელის ასოცირებას ერთი მხრივ არგონავტების მითის პოპულარობას და ასევე მეფე აიეტის სახელის ცნობადობასთან აკავშირებენ. გენდერული პერსპექტივიდან, სასურველი იქნებოდა, რომ ამ ასოციაციებთან ერთად, ასევე ყოფილიყო ნახსენები მედეა, რომლის სახელი არანაკლებ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ეპოქის, არამედ თანამედროვეობის კონტექსტშიც.

73-ე გვერდზე ისტორიული არტეფაქტის კონტექსტში მოცემული წყარო ა გვაჩვენებს წარჩინებული კოლხი ქალბატონის ოქროს დიადემას, რაც პოზიტიურია და წარმოადგენს ავტორების მცდელობას, ისტორიულ ეპოქის განხილვაში, ქალთა არსებობას და მათ სოციალურ სტატუსს გაუსვან ხაზი. ასევე, დასავლეთ საქართველოს სამეურნეო საქმიანობისა და ხელოსნობის სახეობებზე საუბრისას, წარმოაჩინონ სხვადასხვა ფუნქციური საგნების არსებობის მაგალითები, რომელიც იმდროინდელი ეპოქის საყოფაცხოვრებო მიმართულებებს აჩვენებს.

ანტიკური პერიოდის ნაოსნობის საკითხები განხილულია გეოგრაფიულ-ისტორიული მნიშვნელობის კონტექსტში და კოლხი ზღვაოსნების გენდერული ნიშანი ნაკლებად არის გამოკვეთილი. 76-ე გვერდზე მოცემულია ნაოსნობის კულტურასთან დაკავშირებული არტეფაქტები, რომლებიც გენდერულად ნეიტრალურია. თუმცა, სტრაბონის მონათხრობში კოლხების ნავების სპეციფიკა მასში განთავსებული მებრძოლების რაოდენობის ჭრილში აღწერს ნაოსნობას (სამხედრო ნავებს). სანაოსნო კულტურასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერა კი რომის იმპერიის საბრძოლო მიზნებზე აქცენტით გრძელდება, სადაც ადგილობრივების გაბედული მოძრაობა აღწერილი ნავების „კამარების“ საშუალებით.



დისკუსიისა და განხილვის პოტენციალი

22-ე თავში განხილულია ანტიკური ხანის ბერძნული სახელმწიფო მოწყობის საკითხები, სადაც სპარტის საზოგადოებრივი ფენების განხილვისას, ხაზგასმულია სპარტელი ქალების სოციალური სტატუსი, მნიშვნელობა და ჩართულობა. მნიშვნელოვანია, რომ იმ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღწერისას, რომელიც ქალების მოქალაქეობის სტატუსის არსებობას უკავშირდებოდა, ავტორები ხაზს უსვამენ მათ როლს და მნიშვნელობას საოჯახო საქმეების მართვასა და მათ გავლენას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (გვ.79). სოციალური სეგრეგაციის საკითხების მიმოხილვას თან ახლავს კითხვები მოსწავლეებისათვის, რომელიც მათ არსებული სოციალური განაწილების სამართლიანობის გაანალიზებისაკენ უბიძგებს, რაც უდავოდ პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეა გამოყოფილი ქალთა უფლებები ძველ საბერძნეთში და იმ ეპოქის ქალის სტატუსის განხილვა თანამედროვე ადამიანის უფლებების ჭრილში. ამავე თავში მოცემულია ისტორიული წყარო ქსენოფონტესა და პლუტარქეს ტექსტებიდან, რომელიც სპარტელი ბავშვების აღზრდის შესახებ იძლევა ინფორმაციას. ტექსტში თავდაპირველად და მეტწილად ყურადღება მახვილდება ბიჭების აღზრდის წესზე. თუმცა, ტექსტის ბოლოს საუბარია გოგონების აღზრდის წესზეც და განმარტებულია ამ ტიპის აღზრდის მიზანიც. საგულისხმოა, რომ წყაროს ბოლოს ასევე დასმულია კითხვები, რომლებიც მოცემული ინფორმაციის განხილვის საშუალებას იძლევა. კითხვებიდან ერთ-ერთი კი სპარტელი გოგონების სამომავლო პერსპექტივების ანალიზს მოითხოვს. 22-ე თავის ბოლოს შემაჯამებელ დავალებებში კი ავტორები მოსწავლეებისაგან სპარტელი მოზარდების ცხოვრების წესის შედარებას ითხოვენ მათი და მათი თანატოლების ცხოვრებასთან. ასევე, მსჯელობას, თუ რას შეცვლიდნენ მოსწავლეები სპარტელი თანატოლების ცხოვრებაში ამის საშუალება რომ ჰქონოდათ. თავისთავად, საკითხების კრიტიკულად გაანალიზების შესაძლებლობა და ისტორიული მოვლენების გენდერულ ჭრილში განხილვისაკენ სწრაფვა, სახელმძღვანელოს მიერ საგნის სწავლა-სწავლების გენდერულად მგრძობიარე დამოკიდებულებების განვითარებისაკენ მიმართული პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს.

25-ე თავი მთლიანად საბერძნეთის ბრძოლასა და გამარჯვებებს ეთმობა აქემენიანთა წინააღმდეგ. ხოლო 26-ე და 27-ე თავები კი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ მოგვითხრობს. მის ისტორიაში ქალი პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებიდან“



მოცემულ ამონარიდში გამოჩნდება (წყარო დ. გვ. 84), რომელიც საკუთარ და მისი მეზობლების სპარს ქალებზე ქორწინებას აღწერს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ამ მოვლენას არც მომდევნო საკითხებში და არც მოსწავლეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო თემებში გენდერულ ჭრილში არ განიხილავენ, ისინი ყურადღებას ალექსანდრე მაკედონელის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს კულტურულ-სოციალური კუთხით განიხილავენ და ხაზს უსვამენ მის რბილ, ინტეგრაციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რაც უდავოდ დადებითად უნდა იქნეს განხილული. საგულისხმოა, ელინისტური სახელმწიფოების აღწერისას, სადაც კულტურისა და ლიტერატურის განვითარება მრავალეროვნულ ჭრილშია განხილული, (გვ. 85), იმდროინდელი კულტურის ნიმუშები ვენერა მილოსელისა და გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს ქანდაკებების ნიმუშებითაა წარმოდგენილი. სამი ილუსტრაციიდან, ორი ქალს წარმოადგენს. 86-ე გვერდზე, თავის ბოლოს მოცემულ დავალებებში, მე-3 დავალება მოსწავლეებს ვენერა მილოსელისა და გამარჯვების ქალღმერთის, ნიკეს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებისკენ მოუწოდებს. ქანდაკებების შესახებ ინფორმაციის მოძიების მნიშვნელობა ამ ქანდაკებების, როგორც ხელოვნების ნიმუშების მოსაზრებაა. საკითხის ასე დასმა გამართლებულია და არ იწვევს ქალთა მნიშვნელობის ხელოვნურად ხაზგასმის მცდელობას, არამედ აქცევს ქალთა ქანდაკებით გამოსახვას ეპოქის ბუნებრივ ნაწილად.

ამრიგად, ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის ეპოქის აღწერა დაბალანსებულია და წარმოადგენს როგორც მის საბრძოლო მოქმედებებსა და შედეგებს, ასევე მის სოციო-კულტურულ ხედვებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტირებს, რაც პოზიტიურია გენდერული კუთხით და აჩვენებს ავტორების ინტერესს მმართველობის საკითხები ერთნაირად საინტერესო გახადოს ორივე სქესის მოსწავლისათვის.

ლითონის განვითარების ისტორია, კერძოდ კი - რკინის დამუშავებაზე გადასვლა, ასევე არის დაკავშირებული იმ ისტორიულ წყაროებთან, რომლებიც სახელმწიფოებრივ განვითარებას ბრძოლის ჭრილიდან წარმოადგენს. ამ მიმართულებით, საინტერესოა 50-ე გვერდზე მოცემული წყარო დ, რომელშიც ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობებს ეფუძნება და აღწერს ბერძენ ჯარისკაცთა მიერ ტაოხების ქვეყნის დაპყრობის ისტორიას. წყაროში საუბარია იმაზე, რომ ადგილობრივი ქალები, ჯერ ბავშვებს ყრიდნენ კლდიდან და მერე თავად ხტებოდნენ, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდნენ. წყაროს შემდეგ კი, მოცემულია კითხვები რეფლექსიისათვის;



• ჩამოთვალე, ძირითადად რა იყო ომის ნადავლი შორეულ წარსულში.

• როგორ ფიქრობ, რატომ არჩევდნენ ადგილობრივები სიკვდილს? რას გაურბოდნენ ისინი?

სასურველი იქნებოდა, რომ წყაროს შემდგომ განხილვაში, აქცენტი გაკეთებულიყო ორივე სქესის თავდადებაზე და გამოკვეთილიყო ქალთა პოზიცია / მოქმედება მტერთან მიმართებაში.

ქალი ასევეა ნახსენები რომაელების საცხოვრებლების შესახებ წყაროში (გვ. 112), სადაც საუბარია, რომ სადილის გაკეთება ოჯახის დედის ფუნქცია იყო. მომდევნო წყარო დ-ში კი, სანადიმო ოთახის ილუსტრაციასთან ერთად, საუბარია მდიდარი რომაელი პატრიცების მიერ მოწყობილი ნადიმების დროს მონა-ქალების, ცეკვით გამართობების შესახებ და ოჯახის წევრ ქალების შეზღუდულ უფლებაზე, ამგვარ ნადიმებს დასწრებოდნენ და გვიანი იმპერიის ხანამდე ღვინო დაელიათ. პოზიტიურია, რომ მოცემული წყაროების ბოლოს ავტორები მოსწავლეების ყურადღებას რომში ქალთა უფლებებზე ამახვილებენ კითხვებით და სთხოვენ, რომ გააანალიზონ ქალთა იმჟამინდელი მდგომარეობა.

პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით

ქალთა საქმიანობის / აქტივობის გამოყოფა და ხაზგასმა ისტორიული ნარატივის დაბალანსებისკენ მიმართული პოზიტიური ნაბიჯია და აჩვენებს ავტორების მაღალ გენდერულ მგრძობიარობას. ქვეთავში - როგორ წარმოშვა „ნეოლითურმა რევოლუციამ“ გვაროვნული საზოგადოება, წყაროში მოტანილია მე-19 საუკუნის ინგლისელი მეცნიერის უილიამ ბაკლის ავსტრალიის მოსახლეობის აღწერა. ამ წყაროში, პირველად არის მოცემული მამაკაცებისა და ქალებისათვის ქონების განსხვავებული სახეობის აღწერა, რომელიც მათი დიფერენცირებული საქმიანობისა და სოციალური როლიდან გამომდინარეობდა.

„როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, თან მიჰქონდათ თავიანთი მცირე ქონებაც: კაცებს - სამონადირეო იარაღი, ქალებს ზურგზე მოკიდებული ჰყავდათ ბავშვები, ნაქსოვი ტომრები და ბადეები, წყლის ჭურჭელი“



ტექსტთან ასოცირებულ მესამე წყაროში კი, XIX ს-ის ამერიკელი მეცნიერი ლუის მორგანი ჩრდილოამერიკული მკვიდრი მოსახლეობის ერთ-ერთი ტომის - იროკეზების აღწერაში კი ხაზგასმულია, რომ მამაკაცები და ქალები შეთანხმებულად მუშაობდნენ და მათი საქმიანობა სქესის მიხედვით არ იყო დიფერენცირებული.

„იროკეზები თესვისა და მოსავლის აღების დროს ერთად, შეთანხმებულად მუშაობდნენ. აქ ქალებისა და კაცების შრომა თითქმის ერთნაირი იყო“

ამავე წყაროში ვკითხულობთ:

„გვარს ხელმძღვანელობდა საგვარეულო საბჭო, რომელშიც შედიოდა გვარის ყველა ზრდასრული წევრი ქალი და მამაკაცი. ერთი გვარის ქალსა და მამაკაცს ერთმანეთში ქორწინების უფლება არ ჰქონდათ. მამაკაცებს მეზობელი გვარებიდან მოჰყავდათ ცოლები“ ...

ამ ორი წყაროს დამოწმება, თავისთავად, პოზიტიურ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს ორივე სქესის საქმიანობასა და ისტორიის განვითარებაში მათ თანაბარ მნიშვნელობასა და თანასწორობაზე, ხოლო, მეორე მხრივ კი - იძლევა ორ, სხვადასხვა წყაროში მოყვანილი ინფორმაციის შედარებისა და განხილვის საშუალებას, რაც სქესთაშორისი განსხვავებებისა და მსგავსებების შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალებას, მეტი ინფორმაციის მოძიების მოტივაციასა და ინტერესს წარმოქმნის.

51-ე გვერდზე, ბერძენთა შავ ზღვაში მოგზაურობის მიზეზისა და მითის, როგორც კონცეფციის ახსნის შემდგომ, ავტორები გადადიან ოქროს საწმისის განხილვაზე. თხრობა იწყება ოქროს საწმისისა და ფრიქსოსის ისტორიით. მითში მედეას შესახებ შემდეგ ფრაზას ვკითხულობთ: ... კოლხეთის მეფე აიეტი იასონს შეჰპირდა საწმისის მიცემას იმ შემთხვევაში, თუ იგი სამ რთულ დავალებას შეასრულებდა. დავალებები იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ იასონმა აღარ იცოდა, რა ექნა. მაგრამ მას ბედმა გაუღიმა. იასონი აიეტის ასულ მედეას შეუყვარდა. მედეა იასონს დაეხმარა და არგონავტებმა შეძლეს ოქროს საწმისის მოტაცება და საბერძნეთში წაღება...

მედეასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასევე მოცემულია წყარო ა-ში: „ოქროს საწმისის მოტაცების სცენა, ნახატი ლარნაკზე (ინახება იტალიაში, ქალაქ ნეაპოლის არქეოლოგიურ



მუზეუმში). მედეა აძინებს ხეზე შემოხვეულ გველს (ურჩხულს). ამასობაში იასონი ხელთ იგდებს საწმისს“

თუმცა, არც მომდევნო ტექსტში, არც კითხვებსა და დავალებებში არ არის მცდელობა, რომ მედეას, როგორც ისტორიული პირის შესახებ ინფორმაცია განეწიოს. სასურველი იქნებოდა, რომ წყარო ა-ში, ლარნაკზე მოცემული გამოსახულების აღწერის კვალდაკვალ, აქცენტი გაკეთებულიყო მედეას უნარზე, გველი [ურჩხული] დაემძინებინა. მოტანილი ყოფილიყო მედეასა და მედიცინის კავშირის თუნდაც მოკლე განმარტება. მედეას მკურნალობისა ნიჭთან დაკავშირებული ლეგენდები და ისტორიული წყაროები. ასევე, სასურველი იქნებოდა, მოკლედ ყოფილიყო მოყვანილი ისტორიული წყაროები მისი უკან დაბრუნების, ევრიპიდეს „მედეას“ გამოგონილი სიუჟეტის და ა.შ. შესახებ. ავტორების მიერ მედეას, როგორც მითოლოგიური და ისტორიული პერსონაჟის ფრაგმენტული ხსენება არგონავტების მითისა და ეპოქის აღწერის კონტექსტში, გულისხმობს ძლიერი ქალის, მნიშვნელოვანი და გამორჩეული ფიგურის შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მოსწავლეებისათვის, რაც გენდერული თანასწორობისა და დაბალანსებული შინაარსის კუთხით, მნიშვნელოვანი ჩავარდნაა.

ქალდმერთ ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკებაა წარმოდგენილი იმ პერიოდის სკულპტურის ნიმუშად ვანიდან, რომელიც კოლხეთის ძველი ქალაქებიდან ერთ-ერთია აღწერილობიდან. მომდევნო ქვეთავში კი, მცხეთის სამეფოზე საუბრისას, წყარო ზ-ში წარმოდგენილია არმაზის ბილინგვა (ორენოვანი წარწერა) სერაფიტას გარდაცვალების შესახებ (გვ. 102). წარწერა გვაუწყებს, რომ სერაფიტა იყო ერისთავის ქალიშვილი, მეფის ძლევამოსილი მხედართმთავრის მეუღლე. ულამაზესი და კეთილი ქალი, რომელიც ახალგაზრდა, 21 წლის გარდაიცვალა. წარწერა პოზიტიურია გენდერული თვალსაზრისით იმ კუთხით, რომ კულტურული და სოციალური კუთხის ელემენტები შემოაქვს სახელმძღვანელოში. ასევე, აჩვენებს ქალის მიმართ დამოკიდებულებას იმ ეპოქის მცხეთის სამეფოში. თუმცა, მეორე მხრივ, გენდერული როლების გადანაწილების თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ აჩვენებს ქალის, როგორც ქალიშვილისა და მეუღლის ღირსებას და არა მის, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების მნიშვნელობას. ამავე ქვეთავში, ავტორები მომდევნო წყაროს საშუალებით კვლავაც ამახვილებენ ყურადღებას იმ დროინდელ სოციოკულტურულ მახასიათებლებზე. ქალთა სოციალური ყოფაზე ასევეა მოსწავლეების ყურადღება წყაროს მეშვეობით (გვ. 103), სადაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომაულ სამყაროსთან სიახლოვის მოწმობის ამსახველი



საგნები, რომლებიც წარჩინებული ქალების გემოვნებაზე მეტყველებენ, რაც პოზიტიურ საერთო ხაზს აგრძელებს ისტორიაში ქალთა მონაწილეობის შესახებ, თუმცა, მათ როლს მხოლოდ მაღალი გემოვნებისა და სიმდიდრის კონტექსტში განიხილავს.

რომის დაარსების შესახებ ლეგენდაში, (გვ. 104), ქალის როლი რომაული ომის დმერთის მარსის შვილების, რომულუსისა და რემუსის დედობითა და ტახტის მოკლული მემკვიდრის ქალიშვილის მნიშვნელობით განისაზღვრება. რომის რესპუბლიკური წყობის განხილვისას კი, სახალხო კრების მონაწილეების აღწერისას, ავტორები მიუთითებენ, რომ ქალებს არ ჰქონდათ კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება. საგულისხმოა, რომ რომის რესპუბლიკაში არსებულ წესებზე საუბრის შეჯამებისათვის მოცემულ დავალებების ნაწილში, არ მახვილდება ყურადღება ქალთა უთანასწორობის საკითხზე და ამ ჭრილიდან არ ხდება საკითხის განხილვა, რაც უდავოდ პოზიტიური იქნებოდა გენდერული საკითხების მიმართ მგრძნობიარობის კუთხით. რომის რესპუბლიკის რომის იმპერიად გადაქცევის დინამიკაში კი, საუბარია მის ისტორიისათვის ცნობილ 147 იმპერატორზე, დამპყრობელ ომებზე, რომელსაც რომი აწარმოებდა. იულიუს კეისარსა და მის ძლევამოსილებაზე. ნარატივი გაფორმებულია მისივე ბიუსტით (გვ. 109). ცნობა 2-ში კი, სადაც იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის შესახებ არის ინფორმაცია მოცემული, ვკითხულობთ, რომ მან დაამარცხა პოლიტიკური მეტოქეები მხედარმთავარი მარკუს ანტონიუსი და მისი მოკავშირე, ეგვიპტის დედოფალი - კლეოპატრა (გვ. 111). ეს არის პირველი შემთხვევა, სადაც ქალის სახელი პოლიტიკურ ძალაუფლებას და მისთვის ბრძოლაში ჩართულობას უკავშირდება. ამიტომ, სასურველი იქნებოდა, რომ მის შესახებ ავტორებს გაეფართოებინათ ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ ისტორია რომსა და მის იმპერატორთან არის დაკავშირებული, რის შესაძლებლობაც როგორც წყაროს შიგნით, ასევე დამატებითი ინფორმაციის ნაწილში იქნებოდა შესაძლებელი.

საგულისხმოა, რომ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის კონტექსტში, იმპერატორების კონსტანტინესა და მირიანის პერიოდში, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებასთან ერთად, წმინდა ნინო კაბადოკიელისა და მისი გავლენის შესახებაც გვხვდება ინფორმაცია 134-ე გვერდზე, რაც პოზიტიურია იმ ფონზე, რომ თავი 42, რომელიც სარწმუნოების იდეასა და ქრისტიანობის გავრცელების დეტალებზეა ფოკუსირებული, სხვა



ქალი არსად ჩანს. შესაბამისად, წმინდა ნინოს შესახებ ინფორმაცია განამტკიცებს განცდას ქრისტიანობის შემოსვლის ისტორიაში ქალთა მნიშვნელობის შესახებ. წმინდა ნინოს შესახებ ინფორმაცია ასევე გავრცობილი წყარო ბ-ში (გვ. 135).

ასევე საინტერესო და პოზიტიურია, რომ ქართული დამწერლობის ისტორიის შესახებ 45-ე თავში, წყარო ა-ში, (გვ. 136) არმაზის სამაროვანზე ნაპოვნ ნივთზე ამოტვიფრული ახალგაზრდა ქალ-ვაჟის შესახებ ინფორმაცია ილუსტრაციითაც არის გამდიდრებული, რითაც ხაზია გასმული ქალისა და მამაკაცის ერთობაზე იმდროინდელ არმაზში. ასევე მეფისა და დედოფლის ერთობლივი გრავიურა გამოსახული თავი 48/49 რომელიც ბიზანტიისა და სასანიდური ირანის საკითხებზეა ფოკუსირებული, რაც პოზიტიური მცდელობაა მანამდე მოცემული ვრცელი ისტორიული ნაწილის მასკულინური ნარატივის დაბალანსების, ასევე - მეფისა და დედოფლის ერთიანობის ხაზგასასმელად.

სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში

ნეოლითის პერიოდის ადამიანების რწმენებისა და წარმოდგენების ქვეთავში, საუბარია არქეოლოგების მიერ ნაპოვნ თიხისგან გამოძერწილ მცირე ზომის ქალის ქანდაკებებზე, რომელთა არსებობას მეცნიერები ნაყოფიერების იმ პერიოდის კულტს უკავშირებენ. წყაროში კი, სადაც არტეფაქტების ილუსტრაციებია დატანილი, და უფრო არის კონკრეტულად განხილული, გარდა ანატოლიური ცივილიზაციის არტეფაქტებისა, ასევე მოცემული ნაყოფიერების ქალღმერთთა ქანდაკებები, რომლებიც შულავერსა და ხრამის დიდი გორის არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ქალღმერთთა ქანდაკებებზე საუბრობენ როგორც წყაროების აღწერის, ასევე ძირითადი საგაკვეთილო ტექსტის ფარგლებში, სასურველი იქნებოდა, რომ ქვეთავის ბოლოს მოცემულ დავალება განავრცობდეს არტეფაქტებთან დაკავშირებულ ნარატივს და მოსწავლეებს კრიტიკული რეფლექსიისაკენ მოუწოდებს, რაც შესაძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ქალღმერთების ქანდაკებების სოციოკულტურულ კონტექსტთან დაკავშირებით ან ქალთა როლის, ცხოვრების დეტალების შესახებ ინფორმაციის მოძიებისაკენ მითითებით, რაც თავიდან აგვარიდებდა სტერეოტიპების კვლავწარმოების საშიშროებას ისტორიაში ქალთა არსებობის რწმენების, მითებისა და ლეგენდების ელემენტებთან გაიგივების თვალსაზრისით.



შუმერის ქალაქ-სახელმწიფოს წყობისა და მოქალაქეობის კონცეფციის აღწერისას, ავტორები შინაარს იმგვარად აწყობენ, რომ მოქალაქეების ქალ-ღვთაების შვილობის, „დედასთან დაბრუნებისა“ და მათი უფლებების შესახებ მოცემული ინფორმაციის დაპირისპირება შესაძლებელია მომდევნო აზრით, რომელიც ქალების, როგორც მოქალაქეების არასრულუფლებიანობაზე გვიყვება. ქალების უფლებების აღწერისას აქცენტი გაკეთებულია იმ პრივილეგიებზე, რომლებიც მაღალი წოდების ქალებს ჰქონდათ.

„ქალები შუმერის ქალაქების სრულუფლებიან მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. ისინი არ ესწრებოდნენ სახალხო კრებას, არ იყვნენ ქალაქის საბჭოში, მაგრამ ქალებს გარკვეული უფლებები მაინც ჰქონდათ. მათთვის ნებადართული იყო ქალაქის მოედანზე ვაჭრობა. ქალს შეეძლო ესესხა ფული ან იჯარით გაეცა საკუთარი ქონება. ქალს შეიძლება ესწავლა წერა-კითხვა. მაღალი წოდების ქალი შეიძლება ქალაქის მმართველიც და ქურუმიც ყოფილიყო. მაგალითად, ძვ. წ. 2350 წ. ქალაქ ლაგაშში ღმერთქალ ბაბას ტაძრის მთავარი ქურუმი, დედოფალი შაგშაგი, მართავდა ტაძრის მთელ ქონებას, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ მისი მოვლა-პატრონობა წელიწადში დაახლოებით 1000 კაცის დაქირავებულ შრომას საჭიროებდა“ .

ამავე ნაწილის ბოლოს კი, კითხვებისა და დავალებების ნაწილში, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, მოცემულია დავალება:

იმსჯელეთ კლასში: როგორ შეათავსებთ ცნობას, რომ შუმერში ქალს არ ჰქონდა სამოქალაქო უფლებები, მაშინ, როდესაც ქალაქის მფარველად ქალ-ღვთაებას მიიჩნევდნენ? შეაფასეთ ეს მოვლენა დღევანდელი ქალთა უფლებების პოზიციიდან.

ცხადია, რომ ქალთა უფლებების გამოყოფა და დღევანდელი პერსპექტივიდან შეფასება, საინტერესო და პოზიტიური მიდგომაა. ასევე საინტერესო იქნებოდა, მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე მუშაობა და ადამიანის უფლებების კონტექსტში ანალიზი, რაც დაანახებდა მოსწავლეებს ქალთა უფლებებს ნორმატიულ და რეალურ კონტექსტში და წახალისებდა ამ უფლებების განხილვას არა მხოლოდ სქესობრივ და გენდერულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო კრილში.

ამავე თავში, უძველესი იმპერიის წარმოშობაზე საუბრისას, აღწერილია სარგონ აქადელის მმართველობის დამყარება. ტექსტში საუბარია იმაზე, თუ როგორ თვლიდა



არგონი საკუთარ თავს ქალღმერთ ინანას რჩეულად და როგორ დანიშნა მან საკუთარი ქალიშვილი ენხედუანა ქალაქ ურის მთავარ ქურუმად.

აქვეა განმარტებული ტერმინი დესპოტი, რომელიც სარგონის მმართველის მაგალითზე უნდა გაიაზრონ მოსწავლეებმა. საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა, რომ სარგონის მიერ ქალიშვილის ქურუმად დანიშვნის მაგალითიც გამხდარიყო რეფლექსიის საკითხი და მოსწავლეებს სახელმძღვანელოს საშუალებით განეხილათ მმართველის ქალიშვილის ქურუმად დანიშვნის მიზანშეწონილობა და სამართლიანობა. ამგვარად, ავტორები მოსწავლეებს ქალთა უფლებების შესახებ არა მხოლოდ უფლებების და უფლებამოსილების ნაკლებობის, არამედ ზედმეტად მონიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილების კუთხითაც მიაწოდებდა ინფორმაციას, და ამგვარად, მოსწავლეებს „მიაჩვევდა“ სამართლიანი, დაბალანსებული სქესობრივი და გენდერული რეპრეზენტაციას სახელმძღვანელოში, და შესაბამისად, ისტორიაში, როგორც მეცნიერებაში.

მომდევნო განყოფილება - „ანტიკური ხანა“ იწყება იმ საკვანძო კითხვების რეპრეზენტაციით, რომლებზეც პასუხების გაცემა ამ თავში მოცემული საკითხების განხილვით იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კითხვები იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ საშუალებას იძლევა ისტორიის განვითარება არა მხოლოდ ბრძოლებისა და დაპირისპირებების შედეგად მიღწეული პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ნარატივის გარდა, მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ ანტიკური ხანის ადამიანების აღქმების, რწმენების, პოლიტიკური წყობის ფილოსოფიისა და მისი ხელოვნებაში გამოვლინების საკითხებსაც. მაგალითად, მთავარი კითხვები ეხება ანტიკური ეპოქის ძირითადი განსხვავებების ხაზგასმას სხვა ეპოქებისგან. ელინიზმისა და თანამედროვე გლობალიზაციის საკითხებს შორის მსგავსებების გათავისებებას; რომაული მემკვიდრეობის და კულტურის, ასევე მოქალაქეობის ფორმების გავლენას სხვა ეპოქებსა და თანამედროვეობაზე. მეორე მხრივ, კითხვების დიდი ნაწილი ფოკუსირებულია უფრო კონკრეტული მოვლენებისათვის მნიშვნელობის მინიჭებაზე და შესაბამისად, წინ წამოსულია კონკრეტული დაპირისპირებებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა იმდროინდელ თანამედროვეობაზე. ამ ჭრილში, განხილულია სპარსეთის იმპერიის მარცხის მიზეზები საბერძნეთთან დაპირისპირებაში, რომაული ლეგიონების მილიტარული უპირატესობები. სოციოკულტურული მოვლენებიდან კი წამოწეულია მეფე კონსტანტინესა და მირიანის მიერ



ქრისტიანობის მიღების არგუმენტები, საეკლესიო დავების მიზეზები. საქართველოს მეფეების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილების გაკონტროლების პოლიტიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობები. საერთო ჯამში, საკითხების წინასწარ წარდგენის პროცესში, მეტ-ნაკლებად არის დაბალანსებული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენების ისტორიული პერიპეტები ისე, რომ მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების გავლენებზე არ იყოს გამახვილებული ყურადღება ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური წყობის გაცნობის პროცესში.

77-ე გვერდზე, კოლხების ვალდებულებების აღწერისას, ასევე - სპარსელების სამეფოზე საუბრისას, ლაპარაკია იმაზე, რომ 5 წელიწადში ერთხელ, კოლხები 100 ქალსა და 100 ვაჟს უგზავნიდნენ სპარსელებს (წყარო ა), რაც ტრაგიკული რეალობის მიღმა, ხაზს უსვამს ორივე სქესის მიმართ დამპყრობლის თანაბარ ინტერესს.

28-ე თავში, რომელიც იბერიის სახელმწიფოს შექმნის საკითხებს განიხილავს, ფარნავაზ I-ის მმართველობის აღწერისას, ქალებზე საუბარი შემოიფარგლება დამატებით მასალაში მისი და მისი დების ქორწინების საკითხებით, რომელიც ფარნავაზის დანათესავების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების დემონსტრირების ნიმუშია. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი კითხვაც სწორედ ამ პერსპექტივიდან სვამს საკითხს და მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიზეზების სავარაუდო ვერსიებიდან სწორის შერჩევას სთხოვს (გვ. 89).

29-ე თავში, რომელიც ფარნავაზის მემკვიდრეების დროინდელ პერიოდს აღწერს, პოლიტიკურ მოვლენებს ბრძოლებისა და დაპირისპირებების შედეგად ტერიტორიებისა და გავლენების განაწილების საკითხებს ეხება. ქალის არსებობა ამ ეპოქაში, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გამოყენების ქვეთავში, „მედეას ზეთის“ ხსენებით გვახსენდება, თუმცა მისი გამოყენება საბრძოლო მიზნებს უკავშირდება. ამ კონტექსტში პოზიტიურია, რომ წყარო გ-ში (გვ. 93), შენიშვნის სახით, განმარტებულია, ვინ იყო მედეა, რომლის სახელსაც უკავშირდება ნავთობპროდუქტის კონკრეტული გამოყენება.

რომის იმპერიის გავლენისა და ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია კოლხეთთან და იბერიასთან, მეტწილად ბრძოლების, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის კავშირებისა და რომის გავლენების შესახებ დეტალებს აცნობს მოსწავლეებს. თუმცა, წყარო გ, რომელიც 125-ე გვერდზეა მოცემული, და რომელიც მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის საფლავის ქვის წარწერას და შესაბამის ილუსტრაციას მოიცავს, გვამცნობს, რომ მის გვერდით მისი



მეუღლე - ბევრაზურიაც არის დაკრძალული. აქვეა მოცემული შენიშვნა, რომ ეს ქალის ირანული სახელია. ხოლო წყაროსთან დაკავშირებული კითხვაში, ავტორები მოსწავლეებს სთხოვენ ბერძენი ხუროთმოძღვრის ცოლის სპარსულ სახელთან დაკავშირებით საკუთარი ვარაუდები გამოთქვან.

დასკვნა

ამრიგად, სახელმძღვანელოს დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტორები ავლენენ ყურადღებას და მგრძობიარობას ისტორიული ნარატივის გენდერულად დაბალანსების თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს ერთი მხრივ, თავად ისტორიის, როგორც საგნის წარმოდგენის განსხვავებული რაკურსი, ასევე ქალთან და ქალებთან დაკავშირებული დეტალების წარმოჩენა. ქალებისა და მამაკაცების როლებისა და საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ აბსოლუტურად ყველა შემთხვევა, გენდერულ სტერეოტიპულ განაწილებას ექვემდებარება, თუმცა, ავტორები მრავალჯერადად ცდილობენ, რომ მოცემული ისტორიული გენდერული უთანასწორობები მოსწავლეების მსჯელობისა და ანალიზის საკითხებად აქციონ, რაც უდავოდ პოზიტიური მიდგომაა. სახელმძღვანელოში ასევე კარგად იკვეთება ქალთა პერსპექტივიდან დანახული ისტორიული მასალის სიმწირე, რაც ავტორებისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს ბალანსის შესანარჩუნებლად. ამის მისაღწევად ისინი მაქსიმალურად მუშაობენ შესაბამისი არტეფაქტების, სოციოკულტურული დეტალების წინ წამოწევისათვის, რაც მისასაღმებელია და ტოვებს სივრცეს ამ მიმართულების გაუმჯობესებისათვის.



გეოგრაფია

მე-7 კლასი

გეოგრაფიის სახელმძღვანელო განკუთვნილია მეშვიდე კლასელთათვის და გრიფირებულია განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2019 წელს. სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის ერთობლიობით არის წარმოდგენილი. გეოგრაფიის სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მთლიანად შეეხება ფიზიკურ გეოგრაფიას და გეოგრაფიის საზოგადოებრივი ასპექტები ნაკლებად არის განხილული და ართულებს სახელმძღვანელოს გენდერულ ჭრილში ანალიზს იმ ჩარჩოზე დაფუძნებით, რომლითაც გაანალიზდა სხვა სახელმძღვანელოები.

სახელმძღვანელოში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების კონტექსტში წარმოდგენილია ამერიგო ვესპუჩი, ფერნანდო მაგელანი (სურათით), აგრეთვე აბელ ტასმანი, ჯეიმს კუკი, დევიდ ლივინგსტონი, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი, ფრიტიოფ ნანსენი, რუალ ამუნდსენი, რობერტ სკოტი. გასაგებია, რომ იმდროინდელი მოგზაურები მამაკაცები არიან და ავტორებს, შესაბამისად, მათი ღვაწლი აქვთ წარმოდგენილი (გვ.14-15).

ავტორები ცდილობენ ქალთა ნაკლებად რეპრეზენტატულობის დაბალანსებას, რაც პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს. სახელმძღვანელოს მე-16 გვერდზე ავტორები წარმოადგენენ ისტორიას პირველი მოგზაური ქალის ჰუდრიდურის შესახებ, აგრეთვე მოგზაური და მკვლევარი ქალის ჯინ ბარეტის შესახებ. ჯინ ბარეტის ამბის თხრობისას ავტორები მიუთითებენ იმ საკითხზე, რომ ქალებს იმ პერიოდში ეკრძალებოდათ მსგავს ექსპედიციებში მონაწილეობა და ჯინიც კაცის ფორმაში გადაცმული იღებდა მონაწილეობას. ეს საკითხი იძლეოდა მეტად გაშლის შესაძლებლობას გეოგრაფიის სამეცნიერო წრეებში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც იმ დროინდელ ევროპაში იყო გავრცელებული, თუმცა, რადგან საგანი ფიზიკურ გეოგრაფიას შეეხება, ავტორებმა ამ საკითხის გაშლა და გენდერის სოციალური ასპექტების განხილვა, სავარაუდოდ, არ ჩათვალეს მიზანშეწონილად.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს გააჩნია რუბრიკა „ეს საინტერესოა“ რომელიც იძლევა გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვის შესაძლებლობას სახელმძღვანელოში. ეს რუბრიკა სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში



გვხვდება. მაგალითისათვის, გვ. 28-29 გვხვდება კარტოგრაფიისა და ტოპოგრაფიის შესახებ ინფორმაციები. ამ ნაწილში წარმოდგენილი არიან ნიკოლოზ ბარანსკი, როგორც „რუკა გეოგრაფიის მეორე ენა“ გამოთქმის ავტორი, აგრეთვე ბერძენი მეცნიერი პტოლემეოსი, კარტოგრაფიის მეფედ წოდებული ჰერარდ მერკატორი. ყველა ჩამოთვლილი პირი მამაკაცია და ქალები არ გვხვებიან ტექსტებში. მოგზაურობის მსგავსად სამეცნიერო სივრცეშიც და ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობა ისტორიულად იყო შეზღუდული, ამავდროს კარტოგრაფიის განვითარებაც დაკავშირებული იყო მოგზაურობასა და ექსპედიციებთან, რომელშიც ქალები ვერ მონაწილეობდნენ, თუმცა რადგან რუბრიკა „ეს საინტერესოა“ იძლევა თავისუფლებას, ავტორებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოს დასაბალანსებლად და იმ ცნობილი ქალი კარტოგრაფების შესახებ მიეწოდებინათ ინფორმაცია მოსწავლეებისთვის, რომელთა საქმიანობაც ცნობილია გეოგრაფიის ისტორიის მეცნიერებაში. მაგალითად, შუასაუკუნეების ცნობილი ქალი ებსტორფი (იხილეთ: <https://futuremaps.com/blogs/news/the-women-who-shaped-the-world>) ან ამერიკელი მნიშვნელოვანი კარტოგრაფები, ისეთები როგორცაა მერი ბიდლი, რომელიც უფრო გვიან საუკუნეებში მოღვაწეობდა, თუმცა ეს საუკუნე იყო ადრეული ამერიკის ისტორიისთვის: <https://guides.loc.gov/american-women-geography-and-map/mapmakers>. ამ თვალსაზრისით, ქართველი კარტოგრაფი ქალის ისტორიაც საინტერესოა: მაია ჩიქოვანი, რომელიც მე-18- მე-19 საუკუნეებში ქმნიდა კარტოგრაფიულ რუკებს და ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული დედოფალი ანაც. მაია ჩიქოვანი პირველი ქართველი კარტოგრაფი ქალია და მისი ისტორიისა და მისი რუკების შესახებ ინფორმაცია სახელმძღვანელოს გაამდიდრებდა საგნობრივი შინაარსის თვალსაზრისითაც და გენდერული ბალანსის კონტექსტშიც. (მაია ჩიქოვანის შესახებ ინფორმაცია იხილეთ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31139429.html>)

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი (მეათე თავი) რელიეფს შეეხება. ავტორები ამ თავის წარდგენისასაც იყენებენ რუბრიკას ეს საინტერესოა, რომლის გმირებიც არიან შვეიცარიელი გლეხი ბალმა და ფრანგი ექიმი პიკარი, რომლებმაც 1786 წელს დალაშქრეს ალპების მწვერვალი მონბლანი. უმაღლესი მწვერვალი ევერესტი დაპყრობის კონტექსტში კი საუბარია შერპ ნორგეი თერცინგზე და ედმონდ ჰილარზე, აგრეთვე ჯორჯ ევერესტზე. ამ კონტექსტშიც შემოყვანილია, მხოლოდ მამაკაცი გმირები, თუმცა ეს თემა იძლეოდა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას როგორც საგნობრივი შინაარსის გაამდიდრებლად, ასევე ქალთა როლის



ხაზგასასმელად გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარების კონტექსტში, აგრეთვე - ზოგადად გენდერული თანასწორობის საკითხების დაფარვის თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა მასალას და რეკომენდებულია მთავსვლელი და გეოგრაფი ქალის ფენი ბალოკ უორკმანის შესახებ საუბარი, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ სამი ადამიანიდან, რომელთაც ჰიმალაის მთებში 7000 მეტრს ზევით მწვერვალი დალაშქრა. ამავე დროს, ის იყო ცნობილი მეცნიერი, კარტოგრაფი და ქალთა უფლებების დამცველი (<https://www.harvardmagazine.com/2012/03/vita-fanny-bullock-workman>). შესაძლებელი იყო იაპონელი მთამსვლელი ჯანკო ტაბეის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, რომელიც პირველი ქალი იყო, რომელმაც ევერესტი დაიპყრო.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის ბოლო სამი თავი მოსახლეობას, მის სიმჭიდროვეს, განსახლების საკითხებს, მოსახლეობის სტრუქტურას ეხება, მათ შორის სქესობრივ სტრუქტურას და ავტორები წარმოადგენენ მსოფლიო მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას. სახელმძღვანელოს ეს ქვეთავები იძლევა მეტ შესაძლებლობას უკვე სასწავლო შინაარსიდან გამომდინარე გენდერულ როლებზე და გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილების. დისკუსიის და განხილვის ეს პოტენციური გამოყენებული არ არის სათანადოდ. ამ მიმართულებით ანალოგიური ვითარებაა სახელმძღვანელოების მეორე ნაწილში, სადაც უკვე კონტინენტებია წარმოდგენილი, მათ შორის მოსახლეობის თემატიკა კონტინენტების ნაწილშიც წარმოდგენილია. დისკუსიისა და განხილვის ეს შესაძლებლობაც სახელმძღვანელოს ამ ნაწილებშიც არ არის გამოყენებული.

მოქალაქეობა

მე-8 კლასი

სასკოლო სახელმძღვანელო „მოქალაქეობა“ მერვე კლასელთათვის გრიფირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2020 წელს. სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი შედგება 4 პირისგან, რომელთაგან ოთხივე ქალია. აღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელო გაანალიზდა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თავების შესაბამისად, რადგან სახელმძღვანელო სამოქალაქო განათლების მიმართულებისა და გენდერული



საკითხების ასახვა ამ სახელმძღვანელოებში განსაზღვრულია პირდაპირ ეროვნული სასწავლო გეგმით. სახელმძღვანელო ორი დიდი თავისგან შედგება: პირველი თავი სამოქალაქო საზოგადოებას შეეხება, ხოლო მეორე თავი - ადგილობრივ თვითმმართველობას. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ თავში ასახულ მნიშვნელოვან ასპექტებს.

თავი 1- სამოქალაქო საზოგადოება

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმძღვანელოს პირველი თავი სამოქალაქო საზოგადოების შესახებაა. სახელმძღვანელოს ავტორები ამ თავში ცდილობენ, როგორც გენდერული ბალანსის შენარჩუნებას ტექსტებსა და ილუსტრაციებში, აგრეთვე გენდერული საკითხების განხილვას და მის აქტუალიზაციას მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, რაც ცალსახად პოზიტიური ტენდენციაა. ამავე დროს იკვეთება გარკვეული ხარვეზები, განსაკუთრებით ისტორიული წარსულის თვალსაზრისით მოცემულ ინფორმაციაში.

სახელმძღვანელოს პირველ თავში თანამედროვე თუ წარსულში მოქმედ საზოგადო მოღვაწეთა ციტირებებია წარმოდგენილი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში როგორც მსოფლიოში, ისე - საქართველოში. მსოფლიოს თვალსაზრისით წარმოდგენილია მაჰათმა განდი, დალია გრიბაუსკაიტე, აბრაამ ლინკოლნი, ტომას ჯეფერსონი, მარკ ტვენი და მალალა იუსაფზაი. როგორც ხედავთ მსოფლიო მასშტაბით 4 მამაკაცი და 2 ქალია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში, შესაბამისად ცხადია უკეთ დაბალანსება იყო შესაძლებელი, რადგან ქალთა სამოქალაქო საზოგადოებისთვის შეტანილი წვლილი მსოფლიოს მასშტაბით იძლევა ამის შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორებს ოთხივე მამაკაცი ისტორიული პირები ჰყავთ შემოყვანილი, ხოლო ორივე ქალბატონი თანამედროვეა. ამ თვალსაზრისითაც იყო შესაძლებელი მეტი ბალანსი და როგორც ისტორიულ ჭრილში, აგრეთვე თანამედროვე მსოფლიოს კონტექსტში ქალები და მამაკაცები თანაბრად წარმოდგენილიყო.

საქართველოს კონტექსტს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით, ავტორებს გარკვეული მცდელობა აქვთ გენდერული თვალსაზრისით ქალთა წარმომადგენლობა იყოს უზრუნველყოფილი და წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვნად ხაზგასმულია ეკატერინე გაბაშვილის როლი და მისი საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ინფორმაცია



ეკატერინე გაბაშვილის მიერ თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად „ქალთა სახელოსნო სკოლის“, „თბილისი ქალთა საზოგადოების“, საზოგადოება „მანდილოსნის“ დაარსების შესახებ და ქალთა განათლებაში შეტანილ წვლილზე. თუმცა, ეკატერინე გაბაშვილი ერთადერთი ქალია და სხვა მხრივ, მხოლოდ მამაკაცები არიან წარმოდგენილი. მათ შორის: ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ავალიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი. გასაგები და ბუნებრივია ისტორიულ წარსულში მამაკაცთა დომინანცია და ეს წარმომადგენლობა სწორედ ამით არის გამოწვეული, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით გენდერული დაბალანსება მაინც იქნებოდა შესაძლებელი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: (1) თუკი მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების კონტექსტში თანამედროვე პიროვნებებიც არიან შემოყვანილნი, საქართველოს კონტექსტშიც იქნებოდა შესაძლებელი თანამედროვეობის შემოტანა; (2) სამოქალაქო საზოგადოების კონტექსტში სხვა ქალი ისტორიული პირების შემოყვანაც შეიძლებოდა, მაგალითად ბარბარე ჯორჯაძისა და კატო მიქელაძის; (3) საშინაო დავალებების ნაწილზე აქცენტი გადატანილია კვლავ ექვთიმე თაყაიშვილზე და მის შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე, აგრეთვე მითითებულია დოკუმენტური ფილმის ბმული მის შესახებ. ანალოგიურად შესაძლებელი იყო არჩევანის სახით, თუნდაც ეკატერინე გაბაშვილზე მეტი ინფორმაციის მოძიების დავალების მიცემა, ისევე, როგორც ეკატერინე გაბაშვილზე არსებული დოკუმენტური ფილმის მითითებაც. ასეთი ფილმის მაგალითია „უთქმელი ისტორიები“.

სახელმძღვანელოებში ასევე არიან წარმოდგენილნი ახალგაზრდები და მათი სამოქალაქო ინიციატივები. ამ შემთხვევაშიც, ავტორები ცდილობენ გოგონების აქტიურობასა და მათი ინიციატივების წარმოჩენას, რაც პოზიტიური ტენდენციაა სახელმძღვანელოსთვის. სახელმძღვანელოს ამ თავში წარმოდგენილი ახალგაზრდების ინიციატივებში ჩართულები არიან ლუკა, გუგა, კატო, ლუსინე, ნანა და თაკო, როგორც აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სადარაჯოზე მყოფი ახალგაზრდები. მათგან ოთხი გოგოა, ხოლო ორი ბიჭი, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოზიტიურია გოგონების სამოქალაქო აქტივიზმის წარმოჩენის თვალსაზრისით.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს ეს თავი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გენდერულ საკითხებს, რომელიც სახელმძღვანელოში ორჯერ არის წარმოდგენილი.



პირველი, რადიო „თავისუფლების“ გადაცემის „გენდერული ამბები“ მოსმენა არის დავალებად მიცემული და გადაცემის ყურების შემდეგ, მოსწავლეებს ევალებათ ესეის დაწერა სათაურით - „ძლიერი ქალი დედამიწას გადააბრუნებს“ (გვ.28). ეს დავალება მნიშვნელოვანია მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის განვითარების თვალსაზრისით და ქალის როლის წარმოჩენისთვის. თუმცა, მეორე მხრივ, ამ დავალებას წინ არ უძღვის რაიმე ტიპის მოსამზადებელი ან შინაარსობრივი ან მასწავლებლის ჩართულობით განსახილველი მასალა. მასწავლებლის როლზე ამ თვალსაზრისით, არც მასწავლებლის წიგნში არის რაიმე ტიპის მითითება და უშუალოდ დავალების შესრულებაზეა აქცენტი. მხოლოდ მითითება. უპირანი იქნებოდა ამ დავალების მოსამზადებლად წინარე სამუშაოების განხორციელება კლასში მასწავლებლის მიერ შესაბამის სასწავლო მასალით და ამ მასალის ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოში.

გენდერულ თემატიკას ეხება სახელმძღვანელო საზოგადოებრივი ცენტრების განხილვის კონტექსტში. ერთ-ერთ სურათზე წარმოდგენილია საზოგადოებრივ ცენტრში წარმოდგენილი შეხვედრა გენდერული თანასწორობის და ოჯახური ძალადობის საკითხებზე (გვ. 41). ამ საკითხის წამოწევა მნიშვნელოვანია, თუმცა არც ამ თემატიკას უძღვის წინ მასწავლებლის მიერ წინარე სამუშაოები, ისევე როგორც ქალის როლზე და გენდერული თანასწორობის წამოწევაზე არ არის აქცენტი გაკეთებული და დავალება გადადის თემის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლო თემატიკაზე, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს საზოგადოებრივი ცენტრის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ „იმსჯელე“ ნაწილში არის წარმოდგენილი მსჯელობის საჭიროება საკითხის აქტუალობის შესახებ, აქ მეტი დახმარება იქნებოდა სასურველი მასწავლებლებისთვის, როგორც მოსწავლეთა წიგნში წარმოდგენილი დავალების, აგრეთვე მასწავლებელთა წიგნში გაშლილი სახელმძღვანელოს მითითებების მიმართულებით. გენდერული საკითხების შემოტანის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი იქნებოდა პრობლემის ამ თვალსაზრისით გაშლა, მათ შორის - საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის პრობლემებისა და, ოჯახური ძალადობის კონტექსტში.



თავი 2- ადგილობრივი თვითმმართველობა

აღნიშნული თავი სამი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ. (ა) ცნობილი ადამიანების როლზე ადგილობრივ თვითმმართველობაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით ; (ბ) ახალგაზრდების ისტორიები და მათი რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი; (გ) გენდერული თანასწორობის საკითხები სახელმძღვანელოში.

თვითმმართველობის კონტექსტში, ცნობილი ადამიანების წარმოდგენისას სახელმძღვანელოში აშკარად დისბალანსია. ამ თვალსაზრისით მხოლოდ სამი პიროვნება გვხვდება (ილია ჭავჭავაძე თვითმმართველობაზე სურათით (გვ.51), ნიკო ნიკოლაძე (გვ. 68) სურათისა და მისი საქმიანობით ადგილობრივი თვითმმართველობაში და ანდერს ჰიდენიუსი (გვ. 87) შვედეთში საზოგადო მოღვაწე, რომელიც აქტიურად მუშაობდა ინფორმაციის საჯაროობის საკითხებზე.) აქვე გვხვდება თანამედროვეობაში სოლომონ პავლიაშვილი - სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე (გვ.95) სტიქიისა და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების კონტექსტში. ამ კონტექსტებში არც ერთი ქალი არ არის წარმოდგენილი, თუმცა ამის შესაძლებლობას იძლევა როგორც საქართველოს ისტორიული წარსული, ასევე თანამედროვეობა (მაგ, ნინო ტყემელაშვილი თანასწორობისა და ეკონომიკური ჩართულობის განხილვისას), ისევე, როგორც ქალები საერთაშორისო კონტექსტიდან. თუმცა, არც ერთი ეს შესაძლებლობა არ არის ავტორების მიერ გამოყენებული. მით უფრო გაუმართლებელია ინფორმაციის არარსებობა მსოფლიოში პირველ არჩეულ მუსლიმ დეპუტატ ქალზე ფარიხან სოფიევაზე, რომელიც თბილისის მაზრის ერობის წევრი იყო ყარაჯალარიდან. ამ ისტორიის და მისი ბიოგრაფიის განხილვა მნიშვნელოვანი იქნებოდა ქალთა მონაწილეობის კონტექსტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რაც ამ სახელმძღვანელოს განხილვის ერთ-ერთი თემაა, თუმცა, არც იქ არის წარმოდგენილი.

სახელმძღვანელოს მეორე მიმართულებას ახალგაზრდების ისტორიები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებში შემავალ საკითხებს და მათ გადაჭრას ემსახურება. ამ თვალსაზრისით ავტორებს 13 ისტორია აქვთ წარმოდგენილი, რომელთაგან 6 გოგონას, მარიამი (გვ. 51); თეკლა-მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერი (გვ. 55); ლიკა (გვ.58); თანო (გვ.63); სალომე (გვ.84); ქეთევანი (გვ.92); ხოლო 7 ბიჭების შესახებაა, კერძოდ, გვხვდება ბიჭები: სანდრო და საბა (გვ.50); ირაკლი (56); ნიკა (67); სანდრო (გვ.79); გიგა (გვ.86); სანდრო (გვ.88) . რაოდენობრივი თვალსაზრისით ადგილობრივი პრობლემების მოგვარების ისტორიებში გოგონათა მაღალი წილი პოზიტიურ ტენდენციად შეიძლება ჩავთვალოთ. თუ



ამ მონაწილეობის შინაარსსაც გადავხედავთ გენდერულ ჭრილში შემდეგი სურათი იკვეთება: გოგონები ძირითადად პრობლემების დასახელებით არიან დაკავებული: მარიამი (გვ. 51) - მშენებლობის და გამწვანების პრობლემა; თეკლა (გვ. 55) - მოსწავლეების პასიურობის პრობლემა; ლიკა (გვ.58) - ბათუმში სანიაღვრე ჭების პრობლემა; თანო (გვ.63) - სოციალური სიდუხჭირე და საცხოვრისი პრობლემა მეზობლისა, რომელიც საბოლოოდ თანოს მამის ჩარევის შედეგად გადაწყვიტა მერიამ; სალომე (გვ 84) - ტყის გაჩეხვის პრობლემის შესახებ კომერციული მშენებლობების საკითხებზე, რომელიც საბოლოოდ მამამისმა მოაგვარა მერიამ აქტიურობის შედეგად და ტყე-პარკის გაჩეხვა აიკრძალა; ქეთევანი (გვ. 92) - ხე-ტყის გაჩეხვით გამოწვეული სტიქიური მოვლენების შესახებ. სანდრო და საბა (გვ. 50) - ტრანსპორტის გამართულობისა და კინოთეატრის არარსებობის პრობლემის შესახებ; ირაკლიმ ტყეში დაბინძურების საწინააღმდეგო და გართობის შესაძლებლობების შექმნა შეძლო, რითაც მოაგვარეს არსებული პრობლემა; ნიკა (გვ. 67) - სპორტული დარბაზის პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც მუშაობს ანისთან ერთად, თუმცა დროში გაწელილი პროცესია; სანდრო (გვ 79) - არჩევნების მნიშვნელობის შესახებ; გიგა (გვ. 86) - სტადიონის შესახებ, რომელიც მერიამ გადაწყვიტა; სანდრო (გვ. 88) - მიტოვებულ შენობაში თეატრის განთავსების შესახებ, რომლის გადაწყვეტა მერიას ძალუძს. მაგალითებიდან თვალსაჩინოა, რომ გოგონები პრობლემების შესახებ საუბრობენ, რომელიც გვარდება მამების აქტიურობის შედეგად. ხოლო ბიჭები კი ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ აგვარებენ საკითხებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ თვალსაზრისითაც სახელმძღვანელო ყოფილიყო დაბალანსებული და უშუალოდ გოგონებს ან გოგონების და ბიჭების დედებსაც გადაეჭრათ კონკრეტული პრობლემები აქტიურობის შედეგად.

გენდერული თანასწორობის საკითხები ამ თავშიც წარმოდგენილია და დათმობილი აქვს ადგილი, რაც კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს პოზიტიურად. მნიშვნელოვანია, რომ პირველი თავისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, უფრო კრიტიკული ანალიზის კონტექსტში, გენდერული თანასწორობის საკითხები წარმოჩენილია და მოსწავლეს აძლევს მასზე მსჯელობის შესაძლებლობას. მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია ინსტრუქციები, რათა მასწავლებელმა შეძლოს ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის გენდერული პრობლემების გაანალიზება მოსწავლეებთან.

სახელმძღვანელოში გენდერული საკითხები გვხდება მე-80 გვერდზე: ქალთა მონაწილეობის პრობლემები და გამოწვევები საკრებულოებში, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი თემაა მოსწავლეთათვის.

გენდერული საკითხები მნიშვნელოვნად იზღუება სახელმძღვანელოს 81- ე გვერდზე,



სადაც გვხდება რეპორტაჟი „ქალი, ქალაქის მერად“, „საქართველოში ერთადერთი ქალი მერის ყოველდღიურობა“, რაც ასევე მრავალი მნიშვნელოვანი და გენდერულად აქტუალური საკითხის განხილვის შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეებთან. იმავე გვერდზე წარმოდგენილია 2019 წლის 29 ოქტომბრის გაეროს რეგიონალური შეხვედრა, სადაც ქართველი ქალები გენდერული პრობლემების შესახებ საუბრობენ საქართველოში. ეს მასალაც ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული საკითხების განხილვის და მოსწავლეებში კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებისათვის. მიუხედავად ამ საკითხის ასე სიღრმისეულად წარმოჩენისა, აქაც კიდევ მეტად გაამდიდრებდა მასალას და ისტორიულ ჭრილში და საზოგადოებებში შედარების შესაძლებლობებს მისცემდათ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, თუ მსოფლიოში პირველ არჩეულ მუსლიმ დეპუტატ ქალზე - ფარიხან სოფიევაზე მიეწოდებოდათ ინფორმაცია. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც გენდერული, ასევე, ზოგადად, სახელმძღვანელოს მულტიკულტურული განათლების კონტექსტშიც.

ქართული ენა და ლიტერატურა

მე-3 კლასი

ქართული ენისა და ლიტერატურის მესამე კლასის სახელმძღვანელო გრიფირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს. აღნიშნული სასკოლო სახელმძღვანელოც გაანალიზდა ოთხი მიმართულებით გენდერული დაბალანსებულობისა და თანასწორობის თვალსაზრისით: (1) სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, პერსონაჟებსა და ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერულ ჭრილში; (4) სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება ტექსტებში.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

მთლიანობაში, მოსწავლის წიგნები ილუსტრაციებით ზომიერად არის გაფორმებული. დავალებების პირობითი ნიშნები არ შეიცავს გენდერულ მახასიათებლებს და მსჯელობის, დაფიქრების, წერითი დავალებისა და გრამატიკული საკითხების გამიჯვნისათვის, ბუს



განსხვავებულ სურათებს იყენებს. ბუს, როგორც ბრძენი და განსწავლული ფრინველის სიმბოლოს გამოყენება სქესის მინიშნების გარეშე, ლოგიკური და სწორი ნაბიჯია. თუმცა, შინაარსობრივ ილუსტრაციებში, რომლებიც ტექსტების, ტექსტის წინა ან ტექსტის შემდგომი სამუშაოს გამდიდრებისათვის არის გამოყენებული, სქესობრივ ბალანსი სრულიად დარღვეულია. საერთო ჯამში, ილუსტრაციები, რომლებიც ადამიანებს ან ადამიანის თვისებებისა და გარეგნობის მქონე ცხოველებს / ფრინველებს მოიცავენ სულ 25-ია. რომელზეც 46 მამაკაცია გამოსახული და 17 ქალი. ამასთან, არ გვხვდება არც ერთი ილუსტრაცია, სადაც ქალი ცალკე, დამოუკიდებლად იყოს გამოსახული. 25-დან ილუსტრაცია, სადაც მამაკაციც არის გამოსახული და ქალიც, სულ 10-ია. საგულისხმოა, რომ იმ ილუსტრაციებიდან, რომლებიც მდედრობით წარმომადგენლებს გვაჩვენებს, მხოლოდ სამ შემთხვევაშია მოქმედი პირი ტექსტის მთავარი გმირი, 2 შემთხვევაში - მოქმედების ერთ-ერთი მთავარი გმირი. შერეული სქესის ილუსტრაცია, სადაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლების რაოდენობა ჭარბობს მამაკაცებისას, ერთია და პეპისთან დაკავშირებულ ტექსტს აფორმებს. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ილუსტრაციებზე გამოხატულ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ფონური როლი ან ჯგუფის ერთ-ერთი წევრის დატვირთვა გააჩნიათ.

პირველი თავი - „განძი“

სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოს პირველი თავი განძს შეეხება და ძირითადად აქცენტირებულია როგორც ქონებაზე (განძის სახით), ასევე - განძზე, როგორც ცოდნაზე, სიკეთეზე, ბუნებაზე - როგორც მნიშვნელოვან საგანძურზე... აღსანიშნავია, რომ სქესთა რეპრეზენტაციის თვალსაზრისით ამ თავის განხილვისას ქალთა სრული იგნორირება ხდება. ტექსტებს სამი ავტორი ჰყავს და სამივე მამაკაცია: პეტრე უნიკაშვილი, სულხან საბა ორბელიანი და ჯანსუღ ჩარკვიანი. მოქმედ გმირებს რაც შეეხებათ, 5 მოქმედი გმირი კაცია, ხოლო ქალი - არც ერთი, სამი გმირის სქესი უცნობია. ილუსტრაციებში ექვსი მამაკაცი და ერთი გოგონაა, თუმცა, გოგონა ტექსტში არ გვხვდება. ამ თავის მეოთხე ტექსტში, „ტყის მეგობარი“ მთავარი მოქმედი პირი პირველ პირში საუბრობს და სქესი არ ჩანს. ილუსტრაციაზე კი 2 კაცი, ერთი ბიჭი და ერთი გოგონა, რაც ტექსტის სქესობრივი დაბალანსების მცდელობას წარმოადგენს,



თუმცა, ტექსტში ნახსენები მოქმედი პირების რაოდენობა და ილუსტრაციაზე მოცემული რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა და დაბნეულობას იწვევს. ცალსახაა, რომ სახელმძღვანელოს ამ თავში ქალთა რეპრეზენტაცია ფაქტობრივად არ არის.

	ქალი	მამაკაცი	არ იკვეთება
ავტორი	0	3	0
ტექსტებში	0	5	3
ილუსტრაციებში	1	6	0

მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

მამაკაცის პრიმატი ტექსტებში არ იკვეთება მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ თავში მხოლოდ მამაკაცები არიან წარმოდგენილნი და ვინმესთან შედარებით პრიმატი არ ჩანს, თუმცა, ჩანს, რომ განძი (ფულადი სახით იქნება წარმოდგენილი, ცოდნის, თუ სხვა სახით) მამაკაცთან არის ასოცირებული და სწორედ მამაკაცია ამ განძის შემქმნელიც და მფლობელიც.

სქესთა წარმომადგენლობა პროფესიებსა და საქმიანობებში

სქესთა წარმომადგენლობაც პროფესიებსა და საქმიანობებში მხოლოდ მამაკაცს უკავშირდება. მამაკაცია დაკავშირებული ვაჭრობასთან, ქონების შექმნასა თუ დაგროვებასთან, მამაკაცია დაკავშირებული სიბრძნესა და ცოდნასთან, მამაკაცია დაკავშირებული ბუნებასა და გარემოს ზრუნვაზე და ამ სიმდიდრის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

სტერეოტიპების განმტკიცება და კვლავწარმოება ტექსტებში

პირდაპირი ტექსტი, რაც ხელს შეუწყობს სტერეოტიპების წარმოებას და კვლავწარმოებას არ გხვდება, თუმცა, სახელმძღვანელოს მთელი თავის სულისკვეთება ნათელს ხდის მამაკაცსა და ქალს შორის სხვაობებს, რამეთუ მთლიანად განძი მატერიალური, ინტელექტუალური, ბუნებრივი თუ სულიერი - მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცს უკავშირდება, რაც თავისთავად, ქალისა და მამაკაცის შესახებ სტერეოტიპების გაძლიერებას უწყობს ხელს.



თავი 2 - როგორ მივაღწიოთ მიზანს

სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოს მეორე თავი „როგორ მივაღწიოთ მიზანს“ მიზნის დასახვისა და მიზნის მიღწევის შესახებაა. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია მხოლოდ მამაკაც ავტორთა ტექსტები, კერძოდ, ლეონარდო და ვინჩის „აბრემუმის ჭია“, სულხან-საბა ორბელიანის „მეოცნებე გლეხი“, ილია წიკლაურის „რა არის სიღარიბე“ და დავით ადამიას „თახვისა და წეროს მეგობრობა“. აგრეთვე წარმოდგენილია აღმოსავლური ხალხური ზღაპარი „მარცვლეულის ხე“ და საკუთრივ ავტორთა ტექსტი „რა არის ჭაობი“. ტექსტებში 3 გმირია და სამივე მამრობითი სქესისაა, ერთი გმირის სქესი არ იკვეთება, თუმცა იმავე ტექსტის ილუსტრაციაში ეს გმირი ბიჭის სახითაა წარმოდგენილი. ილუსტრაციებშიც არ გვხვდება ქალი ან გოგოს პერსონაჟი. რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით ცალსახაა, რომ სახელმძღვანელოს ამ თავში ქალთა რეპრეზენტაცია არ არის.

	ქალი	მამაკაცი	სქესი არ იკვეთება
ავტორი	0	4	1
ტექსტებში	0	3	1
ილუსტრაციებში	0	3	0

მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

მამაკაცის პრიმატი ტექსტებში არ იკვეთება მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ თავში მხოლოდ მამაკაცები არიან წარმოდგენილი და ვინმესთან შედარებით პრიმატი არ ჩანს, თუმცა ჩანს, ზოგადად მამაკაცის პრიმატი, მაგალითად სიბრძნესთან დაკავშირებით. ბრძენი მოხუცი მამაკაცია, ისევე, როგორც ახალგაზრდა, რომელსაც ნატვრა აქვს და სამი ნატვრა აუხდება სიბრძნის მიღწევისკენ ისწრაფვის და ისიც მამაკაცია. სიბრძნის მოყვარული ჭაბუკი - ილუსტრაციით გამყარებული. კვლავაც, ისწრაფვის სიბრძნისკენ და საკუთარი ჩამოყალიბებული ლოგიკით აღწევს მიზანს.



სქესთა წარმომადგენლობა პროფესიებსა და საქმიანობებში

პროფესიებისა და საქმიანობების თვალსაზრისითაც მხოლოდ მამაკაცები არიან წარმოდგენილნი, ისინი გვხვდებიან გლეხის, მშრომელი, მაგრამ წარუმატებელი ბიჭის, აგრეთვე სიბრძნის მსურველი და სიბრძნეზე მეოცნევე ბიჭის სახით.

სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს ეს თავი მიზნის მიღწევას ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ტექსტები სტერეოტიპების წარმოებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით არ გვხვდება, ამჟამად, რომ მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით მხოლოდ მამაკაცთა წარმოდგენა ტექსტებში ხელს უწყობს სტერეოტიპების წარმოებასა და კვლავწარმოებას, რაც გულისხმობს მიზანსწრაფულობის კონკრეტულ მამრობით სქესთან დაკავშირებას.

თავი 5 - მხილება

სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოს მეხუთე თავი „მხილება“ აგრეთვე მნიშვნელოვანი თავია, რომელშიც წარმოდგენილია რამდენიმე ტექსტი, რომელთა ნაწილი ხალხური ზღაპარია, თუმცა გვხვდება ოთხი ავტორის ნაწარმოებიც. ოთხივე ავტორი მამაკაცია: ილია წიკლაურის „როგორც დათესავ“, ვაჟა-ფშაველას „ის კი არ არის ბიჭობა“, ლეონარდო და ვინჩის მიხედვით ორი ტექსტი გვხვდება „კედარი“ და „ფრთხილი კურდღელი“, და სულხან-საბა ორბელიანის „მეგობრობა დათვისა და გლეხისა“. როგორც ვხედავთ, ამ თავშიც ქალი ავტორები არ გვხვდება, რაც შეეხება რეპრეზენტაციას ტექსტებსა და ილუსტრაციებში, აქ შემდეგი სურათი იკვეთება: ილუსტრაციებში 13 შემთხვევაში მამაკაცია წარმოდგენილი და მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება ქალი, ანალოგიური ვითარებაა ტექსტებშიც, ტექსტების უმრავლესობაში, კერძოდ, 8 შემთხვევაში, მამაკაცია და მხოლოდ ორჯერ გვხვდება ქალი. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტი არ მიუთითებს პერსონაჟის სქესს მაგალითად, „სამი ვაჭარი აღმოსავლურ ზღაპარში“, თუმცა, ილუსტრაციებში ეს პერსონაჟები მამრობითი სქესით არიან წარმოდგენილები.



	ქალი	მამაკაცი	სქესი არ იკვეთება
ავტორი	0	4	4
ტექსტებში	0	8	2
ილუსტრაციებში	0	13	1

მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

მამაკაცის პრიმატი ამ თავში მნიშვნელოვნად იკვეთება. უპირველეს ყოვლისა, სახელმძღვანელოს აღნიშნული თავი თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან ის ღირებულებით ხასიათს ატარებს, შესაბამისად, ისეთი ღირებულებების ტექსტები როგორცაა პატივისცემა, არამომხვეჭელობა, სიბეჯითე, გონიერება, დაჩაგრულთათვის თავდადება, ყველა მამაკაცს მიემართება. ფაქტობრივად, ავტორები მამაკაცებს ესაუბრებიან, რისი ერთგვარი დაგვირგვინებაცაა ვაჟა-ფშაველას ლექსი „ის კი არ არის ბიჭობა“, რომელიც ერთგვარი მანიფესტია, თუ როგორი უნდა იყოს რეალურად „კარგი ბიჭი“ და ამის გაგრძელებაა ტექსტში მოცემული დავალება- „ილუსტრაციისა და ლექსის მიხედვით მოიფიქრე ამბავი მამა-შვილის შესახებ. ამბავში ჩანდეს, რას აკეთებს მამა-შვილი, როგორ უკავშირდება მათი მოქმედება ლექსის შინაარსს. არ დაგავიწყდეს, აღწერე შენი მოთხრობის პერსონაჟები“. ილუსტრაციაში ბიჭია წარმოდგენილი, შესაბამისად, ეს ლექსი, დავალებაში მთლიანად ყველა მოსწავლის მიერ ბიჭისა და მისი მამის შესახებ მოთხრობებში უნდა ტრანსფორმირდეს. სწორედ ეს დავალება ხდის ამ თავს და ამ ლექსს უფრო პრობლემატურად, რომ არა ეს დავალება, შესაძლებელი იყო, რომ სამართლიანობისა და დაჩაგრულთა დაცვის სადარაჯოზე დგომა ყველასთვის მნიშვნელოვან ღირებულებად განხილულიყო, სამწუხაროდ, ავტორებმა მამაკაცთა პრიმატის და სამართლიანობისა და დაჩაგრულთა დაცვის ავანგარდში მხოლოდ მამაკაცები მოიაზრეს. ქალი, ორ შემთხვევაში გვხვდება, როგორც მეუღლე. ერთ-ერთ შემთხვევაში, სულხან -საბა ორბელიანის „მეგობრობა დათვისა და გლეხისა“, სადაც სრულიად უარყოფითი გმირის როლშია წარმოდგენილი და საკუთარი მეუღლის მეგობარს „დაკოდავს“ ენით, რომელიც მოურჩენელი ტკივილი აღმოჩნდა დათვისთვის. ამავე ტექსტის მიხედვით ცოლზე მამაკაცის პრიმატი ცალსახად ვლინდება „ცოლსაც აკოცინა დათვისათვის“ ანუ მიუხედავად იმისა, რომ ქალს არ სიამოვნებდა დათვისთვის კოცნა, ქმარმა აკოცინა, რადგან ქალი დამორჩილებულია



ქმრისადმი. ამას აღრმავებს ავტორთა შეკითხვა ამ საკითხზე: „რისი გამოხატვა უნდოდა კაცს, როცა ცოლსაც აკოცინა დათვისთვის?“ ამ შეკითხვით მოსწავლეებმა კაცის დიდსულოვნებასა და მეგობრობის ღირებულებით ერთგულებას უნდა გაუსვან ხაზი. ამ ტექსტის გამოყენება, შესაძლებელია, იმ დანიშნულებით რა დანიშნულებითაცაა შექმნილი, თუმცა ავტორებს შეეძლოთ ის გენდერული პრობლემები, რომელიც ჩანს ამ ტექსტში დავალებებით არ გაემძაფრებინათ. ამ თავის მიხედვით, მამაკაცებიც წარმოდგენილები არიან უარყოფით კონტექსტში, თუმცა ამ კონტექსტში ისინი აქტიური მოქმედი პირები არიან (მაგალითად, ვაჭრები, რომლებიც საქმოსნები არიან და იღვწიან საკუთარი პროდუქცია გაასაღონ და არ ზრუნავენ ქალაქზე).

სქესთა წარმომადგენლობა პროფესიებსა და საქმიანობებში

პროფესიებისა და საქმიანობების თვალსაზრისითაც მხოლოდ მამაკაცები არიან წარმოდგენილნი, ისინი გვხვდებიან მდიდარი ვაჭრების, გლეხის, ბრძენკაცის, მშრომელი კაცის, მდიდარი ადამიანის, ზარმაცი შვილის, ერთგული მეგობრის როლში. ქალბატონების საქმიანობა კი შემოიფარგლება ერთ შემთხვევაში - დიასახლისობით, რომელიც საკუთარ სტუმარს სიტყვით დაკოდავს. მეორე შემთხვევაში - მშრომელი და მეურნე კაცის მეუღლისა და უქნარა შვილის დედის როლით. ამ შემთხვევაში მამაკაცი მშრომელი და მეურნეა, მთელი ცხოვრება არჩენდა ოჯახს და როცა მოხუცდა, შვილის კარგ გზაზე დაყენების და შრომის სიყვარულის ჩანერგვას ცდილობს, დედა ხელს უწყობს უქნარა შვილს, რომ მან მამა გააცუროს. დედა ქმრის ნაშოვნ თანხას აძლევს შვილს მამის მოსატყუებლად. ამავე თავში გვხვდება იგავ-არაკების შესახებ ინფორმაცია, სადაც, ასევე, სამი მეიგავე მამაკაცია წარმოდგენილი სულხან-საბა ორბელიანის, ეზოპეს და ლეონარდო და ვინჩის სახით.

სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება

აღნიშნული თავიც ხელს უწყობს მამაკაცის და ქალის შესახებ სტერეოტიპების წარმოებას და კვლავწარმოებას. ამ თავში, მამაკაცს ბრძენ, საქმიან, მშრომელ და მეურნე, ხოლო მეორე მხრივ ქალებს მხოლოდ დიასახლისების როლში წარმოაჩენენ, რომლებიც ვერც მეუღლის მეგობრობას, ვერც მათ მიერ დაგროვებული ქონების განკარგვას და ვერც შვილის სწორად აღზრდას ვერ უზრუნველყოფენ. აშკარაა, საბოლოო ჯამში, თუ რა ტიპის



სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება მოხდება მოსწავლეებში. გასაგებია, რომ ეს თავიც ეფუძნება იგავებს და ხალხურ ზღაპრებს და სწორედ ამ ტექსტებშია წარმოდგენილი

მსგავსი გენდერული გადანაწილება და გენდერულად არასენსიტიური ტექსტები, თუმცა, ავტორებს შეუძლიათ სწორედ მათ მიერ შერჩეული თუ შექმნილი სხვა თანამედროვე ტექსტებით მოახდინონ მთლიანი თავის დაბალანსება, რომ არ მიეცეს ის სახე, რომელიც დღეს აქვს გენდერული სტერეოტიპების წარმოებისა და კვლავწარმოების თვალსაზრისით.

თავი 7 - სამართლიანობა

სქესთა წარმომადგენლობა ავტორებში, ტექსტებსა და ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოს მეშვიდე თავი „სამართლიანობა“ აგრეთვე მნიშვნელოვანი თავია და შეეხება მოსწავლეებისთვის სამართლიანობის განცდის გაღვივებას. მთელი თავია აგებული ხალხურ ზღაპრებზე. ბრიტანული, ყაზახური, ქართული, ინდური ზღაპრები წარმოდგენილია ამ თავში. ამ თავში არ გვხვდება კონკრეტული ავტორები და, შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი არც ქალი და არც მამაკაცი ავტორი. რაც შეეხება რეპრეზენტაციას ტექსტებსა და ილუსტრაციებში - აქ შემდეგი სურათი იკვეთება: ილუსტრაციებში 21 შემთხვევაში მამაკაცია წარმოდგენილი და მხოლოდ ხუთ შემთხვევაში გვხვდება ქალი. უფრო მძიმე ვითარებაა უშუალოდ ტექსტებში, რადგან ტექსტებში ქალი პერსონაჟი საერთოდ არ გვხვდება. მხოლოდ ერთ ტექსტში ქალები, ზოგადად, ცოლების სახით არიან წარმოდგენილნი, რომლებიც ჯუნგლებში იქ არსებულ მცენარეულობას კრეფენ, რაშიც ხელს შავი ავაზა უშლის. სხვა მხრივ, ქალები საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი, ხოლო მამაკაცები ცხრა პერსონაჟის სახით გვხვდება, სამი პერსონაჟის სქესი არ ჩანს, ხოლო დანარჩენები კი - მოსამართლე, ბრძენი მოხუცი და მჭედელი არიან. ქალთა უჩინარობა ამ შემთხვევაში განაპირობა, სავარაუდოდ, შერჩეულმა ტექსტებმა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს თავი მხოლოდ სხვადასხვა ხალხურ ზღაპრით არის წარმოდგენილი და საავტორო ტექსტები არ გვხვდება.

	ქალი	მამაკაცი	სქესი არ იკვეთება
ავტორი	0	0	5
ტექსტებში	0	9	3
ილუსტრაციებში	5	21	0



მამაკაცთა პრიმატი ტექსტებში

ტექსტებში მამაკაცის პრიმატი არ ჩანს, რადგან ქალები საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი.

სქესთა წარმომადგენლობა პროფესიებსა და საქმიანობებში

პროფესიებსა და საქმიანობების თვალსაზრისითაც მხოლოდ მამაკაცებია არიან წარმოდგენილნი. ისინი გვხვდებიან ფერმერების, გლეხის, უფლისწულის, მდიდარი და მუნწი მეურნისა და მეწარმის სახით.

სტერეოტიპების წარმოება და კვლავწარმოება

აღნიშნული თავიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის შესახებ სტერეოტიპების წარმოებას და კვლავწარმოებას. აღნიშნული თავი სამართლიანობას შეეხება და სამართლიანობის თუ უსამართლობის კონტექსტში მხოლოდ მამაკაცების წარმოჩენა თავისთავად ხელს უწყობს სტერეოტიპების გაღრმავებას, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლა ან უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული გამჭრიახი ქმედებები მამაკაცების ხვედრია, უსამართლობის ჩადენაც მამაკაცებს ძალუბთ მხოლოდ, ხოლო ქალები ამ პროცესში საერთოდ არ მონაწილეობენ. ამ ყველაფერს ამდაფრებს ის ფაქტი, რომ ამ თავში ქალები მხოლოდ ერთხელ არიან ნახსენები, როგორც ტყეში / ჯუნგლებში საკვებისა და მცენარეებისგან ნაყოფის მკრეფი ადამიანები... ანუ მათი დანიშნულება კვლავ საოჯახო საქმეა. მთლიანობაში ეს თავიც ხელს უწყობს მამაკაცის და ქალის მიმართ სტერეოტიპების გაღრმავებას, მამაკაცი, როგორც საზოგადოებრივად აქტიური, სამართლიანობისა თუ სამართლის აღსრულების პროცესში ჩართული, ხოლო ქალი - საერთოდ ამ პროცესს მიღმა არსებული.



ქართული ლიტერატურა

მე-5 კლასი

მე-5 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს, გრიფი 2018 წელს მიენიჭა. მას ჰყავს ოთხი ავტორი, 2 ქალი და 2 მამაკაცი. სახელმძღვანელოს საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ანალიზი ხუთ ჭრილში განხორციელდა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: 1. სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; 2. მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; 3. პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; 4. გენდერული სტერეოტიპების და მიკერძოებული დამოკიდებულებების კვლავწარმოება და 5. დისკუსიის და განხილვის პოტენციალი.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

სახელმძღვანელო მდიდარია ილუსტრაციებით, რომელიც ორივე სქესის ფერმწერების, დიმიტრი ერისთავის, ელენე ახვლედიანისა და ლევან ცუცქირიძის ნამუშევრებს მოიცავს. პირველივე ილუსტრაცია, რომელსაც პირველ თავში, „გოგონები და ბიჭები“ შევყავართ, ორივე სქესის ილუსტრაციით არის გაფორმებული. პირველი ნაწარმოები კი, რევაზ ინანიშვილის „ეთერი“, შესაბამისი ილუსტრაციებით არის გაფორმებული. სახელმძღვანელოს დასაწყისი ორივე სქესის მოზარდის ილუსტრაციით, ხოლო საკითხის წარმოდგენა - გოგონას შესახებ ნაწარმოებით და შესაბამისი გაფორმებით - პოზიტიურად უნდა შეფასდეს გენდერული მგრძობიარობის პერსპექტივიდან.

თუ ილუსტრაციების რაოდენობრივ განაწილებაზე ვისაუბრებთ, მამაკაცების სურათები მნიშვნელოვნად აღემატება ქალებისას. ქალების რაოდენობა ილუსტრაციებში სულ რვაა. აქედან, ერთ ილუსტრაციაზე ორი, ხოლო მეორეზე კი ოთხი ერთად არის გამოსახული, რაც ნიშნავს, რომ საერთო ჯამში, ოთხი ილუსტრაციაა ქალების შემადგენლობით. მამაკაცების რაოდენობა ილუსტრაციებში 24-ია, რომლებიც სულ 14 ნახატშია გადანაწილებული. აქედან 3 ილუსტრაციაზე სამი მამაკაცია გამოხატული, 5 ილუსტრაციაზე კი - ორი მამაკაცი. ილუსტრაციები, სადაც მამაკაცები და ქალები ერთად არიან გამოსახულნი, საერთო ჯამში 10-ია. ამგვარი ილუსტრაციების პროპორცია მხოლოდ მამაკაცების გამოსახულების



სურათებთან, პოზიტიური ასპექტის შემომტანია, რადგან არბილებს მამაკაცების უმრავლესობას ილუსტრაციებში და ამცირებს სქესთა შორის გამიჯნულობის განცდას, რომელიც ნაწარმოებების თავებად დაყოფის რიგ შემთხვევებში თვალში საცემია.

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

მამაკაცის პრიმატი სახელმძღვანელოს ბევრ ნაწარმოებშია წარმოჩენილი. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია მეორე ნაწილის თავი I და II, სადაც მამაკაცთა პრიმატი განსაკუთრებით აშკარაა. მამაკაცები იბრძვიან, სამშობლოს იცავენ და გმირები არიან. გრიგოლ ორბელიანის პოემიდან ნაწყვეტი „თამარის დროშა“, რომელიც თამარ-მეფის პერიოდში ბრძოლისათვის მზადების პროცესს აღწერს, განსაკუთრებულ ყურადღებას მეომართა ღირსებებზე ამახვილებს და მას საქართველოს კუთხეების შესაბამის სუბკულტურას უკავშირებს. მეფე თამარი, მათ ლოცავს და ამხნეებს, მისი გული „ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით“. თამარ მეფის როლი მეომართა დალოცვა და ბრძოლის წინ გამხნეებაა. იმავე თავში, აკაკი წერეთლის „სიზმარი“, თამარ მეფის, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის ფიზიკურ ღირსებაზე ამახვილებს ყურადღებას. თამარი თავყვანს სცემს რუსთაველს და მის წინ მუხლს იყრის. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკში, „უსამართლო შირვანშაჰი“, ერთი ჭოტი მეორეს ქალს სთხოვს თავის ვაჟისთვის. გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „გაღმივლები“ ბიბლა იკვებნის, და „ცოლს უხარია ქმრის გაუტეხლობა“. მამაკაცის პირველობა, ვაჟკაცობისა და პატრიოტიზმის ატრიბუციაა. მამაკაცი - ქმარია, და მისი პრიმატი გამოკვეთილია.

პროფესიები, როლების და საქმიანობები გენდერის მიხედვით

სახელმძღვანელოს სარჩევს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ თავები გადანაწილებულია შემდეგი თანმიმდევრობით- ნაწილი პირველი, I თავი: გოგონები და ბიჭები; II თავი: დედა, მშობლიური გარემო; ნაწილი მეორე, I თავი: სახელოვანი წინაპრები; II თავი: შოთა და საბა; III თავი: რა ხდება ზღაპარში?; VI თავი: ადამიანი და ბუნება; V თავი: პირისპირ. ამ თვალსაზრისით, ავტორები პირველი ნაწილის პირველსა და მეორე თავში ცდილობენ, რომ ქალის სახე და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, ნაწარმოებების შინაარსობრივი კატეგორიზაციის პრინციპით წარმოაჩინონ. მეორე თავში შემავალი ნაწარმოებების



სათაურების მიხედვით, პირველი და მეორე ნაწარმოები „იავნანა“, ბავშვის დაძინების რიტუალთან არის დაკავშირებული, რაც დედის ფუნქციასთან ასოცირდება, მესამე და მეოთხე ნაწარმოების სათაური ასევე, პირდაპირ დედას უკავშირდება. ამ ფონზე, მეორე ნაწილი „სახელოვანი წინაპრები“, რომელიც 12 ნაწარმოებისაგან შედგება, ვახტანგ მეფის ჰეროიზმის, მეფე დავითის ცხოვრების, გულადი ვაჟკაცის, კრწანისის ბრძოლის, მტრის ძლევის, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის გმირობის შესახებ ნაწარმოებებს მოიცავს. ამ თავშივეა მოცემული გრიგოლ ორბელიანის „თამარის დროშა გაშალეს“ და ანა კალანდაძის „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“. ამ შემთხვევაშიც, ჰეროიზმი, ვაჟკაცობა და სამშობლოს დასაცავად ბრძოლა, მოცემული ნაწარმოებების ლაიტმოტივია. ნაწარმოებების ჩამონათვალი ხაზს უსვამს მისწრაფებას, რომ საქართველოს სახელოვანი ადამიანები ჰეროიზმს, ომსა და ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და ამ სულისკვეთებით ადამიანების ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესებს დაუკავშიროს. „სახელოვანი წინაპრები“ - ბრძოლის გმირები, გამარჯვებული მეფეები და თავდადებული ვაჟკაცები არიან. ქალი - დედის სიმბოლიკასთან ასოცირდება. ამგვარი სქესთაშორისი გადანაწილება პრობლემურია ქალისა და მამაკაცის როლებისა და საქმიანობის მკვეთრი გამიჯვნისა და ერთ პრიზმაში წარმოჩენის თვალსაზრისით. ქალების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული როლი მხოლოდ დედობით არ შემოიფარგლება. წინაპრების სახელოვნება მხოლოდ ომში წარმატებას და ბრძოლაში ვაჟკაცობას არ მოიცავს. ამ პერსპექტივიდანაც კი, სამშობლოს თავდაცვასა და დამპყრობლისგან გათავისუფლების პროცესებში, ქალები ასევე აქტიურად იყვნენ ისტორიულად ჩართულები და სახელოვანი წინაპრების სტატუსის ღირსეულ მატარებლებად გვევლინებიან. შესაბამისად, პატრიოტიზმისა და საბრძოლო გმირობის პრიზმიდანაც კი, ქალები ასევე შეიძლება იყვნენ წარმოჩენილები. „სახელოვანი წინაპრების“ ჰეროიკული სულისკვეთება მომდევნო თავის - „შოთა და საბა“ ფარგლებში მამაკაცის პრიმატს გამოკვეთს, და არა იმიტომ რომ ნაწარმოებების ავტორები მამაკაცები არიან, არამედ იმ ფონზე, რომ ნაწარმოებების იმ სათაურებიდან, რომლებიც სქესზე მიანიშნებენ, ყველა პირი მამაკაცია. ასეთივე სრულიად დაუბალანსებელია ბოლო, მე-5 თავი „პირისპირ“, რომელიც დაწყებული პირველი ილუსტრაციიდან, სადაც დაპირისპირებული მამაკაცები არიან გამოსახული, დამთავრებული ამ თავში შემავალი თითოეული ნაწარმოებით, რომელშიც მოქმედი პირები, ავტორები და შინაარსობრივი ქარგა მხოლოდ მამრობითი საწყისების მატარებელია, სახელმძღვანელოს მთლიანი თავის გენდერული



დაუბალანსებლობის მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს.

რაც შეეხება სახელმძღვანელოში შესული ავტორების ვინაობას, მთლიანობაში, ქალი ავტორი სულ ორი ნაწარმოების შემთხვევაში გვხვდება, და ეს ავტორი ერთი და იგივე პოეტი, ანა კალანდაძეა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმძღვანელოში შესულია სხვადასხვა ეპოქის მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, ხოლო ქართული პოეზია და პროზა მდიდარია მდედრობითი სქესის ღირსეული წარმომადგენლებით, მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში, მათი ნაწარმოებებიც შესულიყო სასწავლო პროგრამაში. ამ კუთხით, სახელმძღვანელოს ავტორებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა მათი წუხილი სახელმძღვანელოებში ავტორებისა და ნაწარმოებების არჩევანის შეზღუდვებთან დაკავშირებით. ისინი საუბრობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პროგრამულ ნაწარმოებებზე, რომლებიც ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ოფიციალურად სარეკომენდაციო, თუმცა, რეალურად, აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს. შესაბამისად, ისინი შეზღუდულები არიან არჩევანში და იმ შემთხვევაშიც კი, თუ გრძნობენ ნაწარმოებების ავტორების სქესის მიხედვით დაბალანსების აუცილებლობას, მოკლებულები არიან ამ შესაძლებლობას. შესაბამისად, იკვეთება სამინისტროს არასაკმარისად მგრძნობიარე დამოკიდებულება სქესთაშორისი თანასწორობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელიც სასწავლო გეგმაში ამ ასპექტის მიმართ არასათანადო ყურადღების, ხოლო გრიფირების წესში კი, არასაკმარისად მკაფიო განმარტების ფონზე, ხაზს უსვამს გენდერული საკითხების მიმართ სისტემის ფორმალურ დამოკიდებულებას.

სახელმძღვანელოში, ყოველი ძირითადი ნაწარმოების ბოლოს მოცემულ სავარჯიშოებში, ავტორები მოსწავლეებისათვის გრამატიკული და სტილისტური წესების გააზრებას სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების წარდგენით, პრაქტიკული მაგალითების განხილვით ცდილობენ, რაც დამატებით საშუალებას წარმოადგენს ნაწარმოებების ავტორთა სქესობრივი ბალანსის გაუმჯობესებისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ავტორები მხოლოდ მამრობითი სქესის ავტორთა ნაწარმოებებს იყენებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოში შესულ ნაწარმოებებში, ქალთა როლი არასაკმარისადაა გამოკვეთილი, ხოლო რეპრეზენტაცია კი, მამაკაცებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა. მათი საქმიანობა და ფუნქცია, ასევე შეზღუდულია. უმეტეს შემთხვევაში, ქალი - დედა ან ცოლია. სურსათის მაღაზიაში, გამყიდველი ორი ქალი და



ერთი მამაკაცია. მეტწილად, ქალის გმირი მეორეხარისხოვანია ნაწარმოებში. თუ პირველ და მეორე თავებში, ქალები და მათი გმირები საინტერესოდ და აქტიურად არიან წარმოჩენილები, მაგ. „ეთერი“, „მირანდუხტ“, „იავნანამ რა ჰქნა“, „ჩემი თავგადასავალი“, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, ქალთა რეპრეზენტაცია მინიმუმადე მცირდება. მათი გმირები ბევრად პასიურები არიან.

გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოება, მიკერძოებული დამოკიდებულებებისა და არასათანადო წარმოჩენის მაგალითები

როგორც უკვე ითქვა, სახელმძღვანელოში მეტწილად, ქალები მეორეხარისხოვანი გმირები არიან. ამასთან, ვხვდებით რიგ შემთხვევებში, მათი რეპრეზენტაცია გენდერული სტერეოტიპების შესაბამის, დასწავლილ როლებსა და ქცევებს წარმოაჩენს. მოთხრობაში „უკუღმა დაჭედილი“, ერთადერთი ქალი ბებიაა, რომელიც „ცალი ხელით აყრის ქოქოლას“ შვილიშვილს და მის მეგობრებს. სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ენით დაკოდილი“ დათვის მეგობრის ცოლი უხეში და ენაშწარეა. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, პირველი ნაწილი ავტორის მიერ ახალი წლის საღამოს აღწერით იწყება, სადაც საოჯახო სამზადისია აღწერილი. „დედა გოზინაყისა და ალვახაზის სამზადისში იყო გართული, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამაჩემი კი ბოლთას სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში“. ამგვარი ტექსტი, კითხვის შემდგომი განხილვის გარეშე, საოჯახო საქმეებში ჩართულობასთან დაკავშირებით სტერეოტიპების კვლავწარმოებას უწყობს ხელს.

ზღაპარი „პატარა დინოზავრი“, რომელიც მთავარი გმირის, პატარა დინოზავრის გამორჩეულ ცნობისმოყვარეობაზე და ცაში, მზით დაინტერესებაზე მოგვითხრობს, შეიცავს ტექსტს, სადაც დედა დინოზავრის შეუფერებელ საქციელზეა საუბარი. დედა დინოზავრი ჯერ უგულუბელყოფს შვილის ინტერესს და მისი ძალით დაკავებას ცდილობს, ხოლო მას შემდეგ, რაც შვილ დინოზავრს კუდს მოწყვეტს და ის კი მისგან და სხვა დინოზავრების თემისგან გაიქცევა, არ დარდობს. „ასეთი სამარცხვინო შვილი რომ არ მყავდეს, ის მირჩვენიაო“ - ამბობს დედა დინოზავრი. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარში მოქმედი გმირები არა ადამიანები, არამედ დინოზავრები არიან, მათ ადამიანების თვისებები და უნარები აქვთ მინიჭებული, და ნაწარმოები დედის არასათანადო დამოკიდებულებას



აჩვენებს. ავტორები არ ცდილობენ, რომ ამ ფაქტზე მოსწავლეების ყურადღება გაამახვილონ და შესაბამისად, დედის როლის მნიშვნელობა განიხილონ მოზარდების ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

მომდევნო ზღაპარში „პეპელა“, გოგონა მშიშარაა და შინისკენ ატირებული გარბის. კეთილი კაცი, პეპელას ფრთას მოურჩენს და პეპლის მდევრებს დააპურებს.

დისკუსიის და განხილვის პოტენციალი

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოებები ხშირად შეიცავს გენდერულად დაუბალანსებელ, ხშირად პრობლემურ ნარატივს, მომდევნო სავარჯიშოების და დავალებების საშუალებით, სახელმძღვანელოში შესაძლებელია სწორედ გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ხარვეზები გამოიყოს და მოსწავლეების განხილვისა და დისკუსიის საგანი გახდეს. ამ კუთხით სახელმძღვანელოში შესული ნაწარმოებები დიდ პოტენციალს იძლევა, რაც არასაკმარისად არის გამოყენებული.

პირველ ნაწარმოებში, ინანიშვილის „ეთერი“, მოცემულია ფრაზა „მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი“, რომელიც გულისხმობს საცხოვრისი გარემოს მოწესრიგებულობას. ავტორები ამ ფრაზას ნაწარმოების შემდგომი განხილვისას ორჯერ ახსენებენ რუბრიკაში „წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ“ და „მთავარი აზრი და დეტალები“. მიუხედავად იმისა, რომ სახლის იერის მოწესრიგებულობის მამაკაცის საქმიანობასთან პირდაპირი ბმა პრობლემურია, რადგან სქესის მიხედვით როლებისა და შესაძლებლობების გამიჯვნას ახდენს, ავტორები არც ერთ შემთხვევაში მოცემულ ფრაზას ამ კონტექსტით არ განიხილავენ. ამავე ნაწარმოების ბოლოს, რუბრიკაში, „წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ“, ავტორები სვამენ კითხვას: „ვინ ჩნდება პირველად სოფლებში? ვის ან რას ელიან, თქვენი აზრით, დედაბრები? მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანი ქალების „დედაბრებად“ მოხსენიება ლიტერატურულ ენობრივ სტანდარტებს არ შეესაბამება და ქალთა ასაკის საკმაოდ უხეშ ფორმულირებას წარმოადგენს, ავტორები არსად განმარტავენ ავტორის თხრობის ენაში მოცემული ფორმის არაკორექტურობას და არ მიუთითებენ მოსწავლეებს სწორ, ლიტერატურულ ფორმაზე.

ნაწარმოებში, გოგონას გარეგნობის აღწერისას, ვკითხულობთ: „როგორც ყველა



ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დადის“. მოთხრობის შემდეგ მოცემულ განხილვაში, ავტორებს მოსწავლეებისათვის კითხვების სექცია აქვთ მომზადებული. რამდენიმე კითხვა დასმულია ეთერის მთავარ პიროვნული თვისების, გარეგნობის აღწერის ლაკონურობასა და სხვა ნიშნების დეტალურად გადმოცემასთან დაკავშირებით. სასარგებლო იქნებოდა, რომ ტექსტის შემდგომ განხილვაში, ავტორებს მეტი მოსწავლეების ყურადღება გაემახვილებინათ ეთერის თვისების ავტორისეულ განზოგადებაზე და განსახილველ საკითხად გამოეყოთ ადამიანის პიროვნული თვისებების სქესთან მიკუთვნებულობის პრობლემატიკა. ასეთი მიდგომა გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოების მსჯელობის საგნად გადაქცევის პოზიტიურ პრაქტიკად ჩაითვლებოდა.

მომდევნო ნაწარმოები „მირანდუხტ“, არაჩვეულებრივ მასალას წარმოადგენს მოსწავლეებთან მსჯელობისათვის და მთავარი გმირის თვისებების, უნარის და გარეგნობის გენდერული სტერეოტიპებთან დასაპირისპირებლად. მთავარი გმირი, 10-11 წლის გოგონა, რომელსაც ბალერინას გარეგნობა და მოძრაობები გააჩნია, მტკიცე ხასიათით და სხარტი, მათემატიკური აზროვნებით ხასიათდება. სწორედ ამ თვისებებისა და უნარების საშუალებით ახდენს გოგონა შთაბეჭდილებას და იძენს გავლენას გამოცდილ გამყიდველზე. შესაბამისად, განხილვის ნაწილში, საგულისხმო იქნებოდა, ხაზგასმული ყოფილიყო გოგონას მათემატიკური უნარი და თვისებები, რომლებიც, სტერეოტიპული შეხედულებების მიხედვით, „მამაკაცურ“ უნარს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ამ პერსპექტივიდან, ავტორები არ განიხილავენ ნაწარმოებს.

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ დედის ძლიერ და საინტერესო პორტრეტს გვთავაზობს, თუმცა, მომდევნო განხილვებში, კითხვები ნაკლებად არის ორიენტირებული ქალის პორტრეტის სრულად დანახვაზე და განათლების, მტკიცე ხასიათისა და რწმენების ერთობლიობიდან გამომდინარე, მისი ქცევებისათვის მნიშვნელობის მინიჭებაზე.

ავტორები მესამე თავს „შოთა და საბა“ ვეფხისტყაოსანიდან როსტევან მეფის ნაწყვეტით იწყებენ. მიუხედავად იმისა, რომ თინათინის გამეფება ილუსტრაციის სახით არის წარმოდგენილი, ამ ნაწყვეტის დასრულების შემდეგ, მომდევნო რუბრიკებში „წავიკითხოთ, დაფიქრდეთ, ვისაუბროთ“, თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით კითხვები თინათინის დახასიათებას, მის მეფედ კურთხევის დროს ქცევას და როსტევანის



შეგონებას ეხება თინათინის მეფურ მოვალეობასთან დაკავშირებით. წერიტი სავარჯიშოები ასევე გმირების დახასიათებაზე აკეთებს აქცენტს და როსტევანისა და თინათინის დამახასიათებელი სიტყვების განმარტებას მოითხოვს. სასურველი იქნებოდა, რომ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოებში აქცენტი თინათინის სქესს, მის პროტოტიპის მეფობის მახასიათებლებსა და ორივე სქესის თანაბარ შესაძლებლობებზე გაკეთებულიყო ქვეყნის მართვის საქმეში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს ნაფიქრი აქვთ გენდერული თანასწორობის საკითხებზე და, შესაბამისად, სახელმძღვანელოში შესული რამდენიმე ნაწარმოების საშუალებით ცდილობენ სქესთა რეპრეზენტაციის დაბალანსებას. სახელმძღვანელოში ვხვდებით რამდენიმე პოზიტიურ მაგალითს, როდესაც გოგონები და ქალები ნაწარმოების მთავარი, საინტერესო ან ძლიერი გმირები არიან. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს თავები კატეგორიზებულია კონკრეტული შინაარსობრივი მიმართულებების მიხედვით და გენდერული თვალსაზრისითაც საკმაოდ გამიჯნულია. იმ თავებშიც კი, რომლებიც ნაკლები მასკულიზმით ხასიათდებიან და რომელშიც ავტორები ცდილობენ, რომ ქალთა რეპრეზენტაცია გაზარდონ, ქალები მთავარ, აქტიურ და დასამახსოვრებელ სახეებად მაინც არასაკმარისად და არათანმიმდევრულად არიან წარმოჩენილები. მეტწილად, ნარატივი მასკულიზური პერსპექტივით არის მოცემული და, შესაბამისად, გენდერული ბალანსი დარღვეულია. ნაწარმოებების შემდგომ მოცემული განხილვები კი არ არის საკმარისად მგრძობიარე გენდერული საკითხების მიმართ, არ ქმნის კონსტრუქციული დისკუსიის წარმართვის საშუალებას გენდერულ საკითხებზე და, შესაბამისად, არასაკმარისად მწვავედ და მკაფიოდ სვამს აქცენტებს ამ მიმართულებით.



ხელოვნება და შემოქმედება

მე-2 კლასი.

სასწავლო რესურსმა „ხელოვნება და შემოქმედება“ მეორე კლასისათვის 2018 წელს გაიარა გრიფირება. რესურსს ოთხი ქალი ავტორი ჰყავს. მუშაობის დაგეგმვისათვის სასწავლო პაკეტის მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებლის სახელმძღვანელო.

მოსწავლის სასწავლო რესურსი წარმოდგენილია ვიზუალური მასალებისა და მოკლე ინსტრუქციების სახით, რომელიც თემების მიხედვით დაყოფილ 56 გაკვეთილს მოიცავს. გაკვეთილების თემები მრავალფეროვანია და საკითხები დაკავშირებულია სეზონებს და მათ თავისებურებებს (მაგ. ზაფხულის არდადეგები, შემოდგომის სოფელი, ფიფქები, გირლიანდები, ნაძვის ხის დამზადება); ფერწერის / ხელოვნებასთან დაკავშირებულ ფორმებს, მცნებებსა და კომპოზიციებს (მაგ. ნატურმორტი, ხაზები და ფორმები, ფერთა სამყარო, ორნამენტი); ზოგად, აქტუალურ საკითხებს (მაგალითად - მეგობრობა); ბავშვებისათვის აქტუალურ და საინტერესო აქტივობებს და ადგილებს (მაგ. ცირკში, გამოფენა, ექსკურსია); ბუნებასთან და ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებულ მცნებებს (მაგ. ცხოველები, ცისარტყელა). რესურსებში მოცემული საკითხები გენდერულად ნეიტრალურია და საინტერესო შეიძლება იყოს როგორც გოგონების, ასევე ბიჭებისათვის.

საგულისხმოა, რომ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მოსწავლეებისათვის კონკრეტული ვიზუალური ინსტრუქცია მოცემული ნივთების გასაკეთებლად, გასაფერადებლად, გამოსაჭრელად, კეთების ეტაპები ახსნილია ფოტოებით, რომელზეც მხოლოდ ხელები მოჩანს. ამ გადაწყვეტილების საშუალებით, ფოტოები გენდერულად ნეიტრალურია.

რესურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანალიზი სამი მიმართულებით განხორციელდა:

1. გენდერული ბალანსი ილუსტრაციებში (გამოსახული პირების სქესობრივი განაწილება)
2. გენდერული ბალანსი ილუსტრაციების წარმოდგენისას (ავტორები)
3. ილუსტრაციების შინაარსობრივი ბალანსი გენდერული კუთხით (კონტექსტი)



გენდერული ბალანსი ილუსტრაციებში (გამოსახული პირების სქესობრივი განაწილება)

რაოდენობრივი პარამეტრების მიხედვით, რესურსში მამაკაცების წილი მეტია. საერთო ჯამში, მოცემულია 43 მამაკაცის ილუსტრაცია (იმ ილუსტრაციების გამოკლებით, რომლებიც დიდი რაოდენობით ადამიანებს მოიცავს და შერეულ ილუსტრაციებად არის მიჩნეული, სადაც სქესის იდენტიფიცირება არ ხდება). ამასთან, ის ილუსტრაციები, სადაც მამაკაცი/მამაკაცები ცალკე არიან გამოსახულები, 20-ია. რაც შეეხება ქალებს, საერთო ჯამში, იმავე პრინციპით, დათვლილია 22 ქალი. მარტო ქალი ან ქალები 13 ილუსტრაციაში გვხვდება. შერეული ილუსტრაციები, სადაც მამაკაცები და ქალები ერთად არიან გამოსახული ან ადამიანთა დიდი ჯგუფი არის მოცემული, სულ 15-ია.

გენდერული ბალანსი ილუსტრაციების წარმოდგენისას (ავტორები)

იქიდან გამომდინარე, რომ ხელოვნების ნიმუშების წარმოდგენისას, ავტორის ვინაობა მითითებულია, მათ სქესობრივად დაბალანსებულ რეპრეზენტაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, სასწავლო რესურსი ამ კუთხითაც გაანალიზდა. მამაკაცთა ნამუშევრები საგრძნობლად მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი. სახელმძღვანელოში მოცემული იმ ნამუშევრებიდან, რომელსაც ავტორი ჰყავს მითითებული, 69 მამაკაც ხელოვანს ეკუთვნის, ხოლო 10 კი, ქალის შესრულებულია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის მრავალფეროვნება, რომელიც სახელმძღვანელოს გაფორმებისას, ნამუშევრების ავტორების წარმოშობის, ეპოქისა და სტილის მიხედვით გვხვდება. ამგვარი მრავალფეროვნება მისასალმებელია და ხელს უწყობს მოსწავლეების მაღალმხატვრული გემოვნების ფორმირებას, გამოჩენილი ხელოვანების გაცნობას. ამ ფონზე, სამწუხაროა, რომ ქალი ფერმწერები სულ სამი ხელოვანის სახით არიან წარმოდგენილები. კერძოდ კი, სახელმძღვანელოში გვხვდება დინარა გოგიას ერთი ფერწერული ნამუშევარი, ენდი იუოპოლის 2 ნამუშევარი და ელენე ახვლედიანის 7 ნამუშევარი. ამგვარად, რესურსების შერჩევისას, ავტორებს ნაკლებად ჰქონდათ გენდერულად მგრძობიარე ხედვები და სავარაუდოდ, რესურსების შერჩევისას, მათი ავტორების მხატვრული ღირებულებით და ნამუშევრის შინაარსობრივი შესაბამისობით ხელმძღვანელობდნენ.



ილუსტრაციების შინაარსობრივი ბალანსი გენდერული კუთხით

ილუსტრაციების შინაარსობრივი მხარე რამდენიმე შემთხვევაში ხელს უწყობს სტერეოტიპების კვლავწარმოებას ქალთა საზოგადოებრივი როლის შესახებ. ასე მაგალითად, ქალთა პორტრეტები, რომელთა რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება მამაკაცებისას, ბევრ შემთხვევაში, წარმოგვიდგენს ქალს, როგორც დედას. მაგალითად, პირველ თემაში, „ზაფხულის არდადეგები“, პირველი ილუსტრაცია, ჟორჟ სერას „ბანაობა ანიერში“, გვაჩვენებს ექსკლუზიურად მამაკაცების ჯგუფს წყლის პირას დასვენებისას. ხოლო მეორე ილუსტრაცია კი, ოგიუსტ რენუარის „ქალბატონი მონე ვაჟთან ერთად“ გამოცემს დედაშვილის პორტრეტს. თავისთავად, ასეთი განაწილება არ შექმნიდა ქალის, როგორც მხოლოდ დედის როლის სტერეოტიპული ხედვის ჩამოყალიბებას, რომ არა მომდევნო, „თავისუფალი თემის“ მეორე მესამე ილუსტრაცია, ჟან ბატისტ შარდენის „მრეცხავი“, სადაც ქალის პორტრეტი მძიმე შრომის პირობებში, მცირეწლოვან შვილთან არის გამოსახული. გაკვეთილი 41 „საჩუქარი დედას“ სტერეოტიპების კვლავწარმოებას უწყობს ხელს იმასთან დაკავშირებით, რომ ყვავილები დედის საჩუქარია. იმავე თავში მოცემული სავარჯიშო სამი ცნობილი მადონას ილუსტრაციით, კვლავაც განამტკიცებს ქალის, როგორც ძირითადად დედის პორტრეტის დანახვას.

მე-2 გაკვეთილშივე, მე-6 სავარჯიშო, სადაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან გამოხატულნი, ფერმწერი და მოქანდაკე მამაკაცები არიან, ხოლო მოცეკვავე, ბალერინა კი ქალი. პროფესიების ამგვარი ილუსტრირება ხელს უწყობს პროფესიებთან დაკავშირებულ სტერეოტიპების კვლავწარმოებას სქესის მიხედვით.

მე-4 გაკვეთილი „ბზრიალა“ იმ ორივე ილუსტრაციაზე, სადაც სქესი იკითხება, გვთავაზობს ფერწერულ ნიმუშებს, სადაც ბზრიალით ბიჭები თამაშობენ.

მე-7 გაკვეთილში, „შემოდგომა“, ოთხი ფერწერით არის გაფორმებული, საიდანაც პირველი ორი, ყურძნის კრეფის სცენას გვაჩვენებს. იმ ილუსტრაციებიდან, სადაც სურათების გმირთა სახეები სქესის მიხედვით მკაფიოდ იკვეთება, ნიკო ფიროსმანის „რთველში“, მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ, დინარა ნოდის „მოსავლის ზეიმში“ და ფიროსმანის „მარანი ტყეში“, კვლავ მამაკაცები არიან გამოხატული, და ესტებან მურილიოს „ბიჭები ნესვითა და ყურძნით“, ბიჭები არიან გამოსახული ხილის ჭამის პროცესში. ილუსტრაციების ამგვარი განაწილება ქმნის განცდას, რომ ყურძნის კულტურასთან დაკავშირებული



საქმიანობა, და მისი შედეგებით ტკობა მამაკაცების პრეროგატივაა.

რესურსი იძლევა საშუალებას, რომ გენდერული დისბალანსის დარეგულირება შესაძლებელი გახდეს იმ მოცემულობის გათვალისწინებითაც კი, რომ ფერწერული შედეგების დიდი ნაწილის ავტორები მამაკაცები არიან. ასე მაგალითად, გაკვეთილში 15 - „ბოთლები“ და გაკვეთილში 16 - „ორნამენტი“ არსებობს იმის სივრცე, რომ მოხდეს ქალთა როლის წარმოჩინება ერთი მხრივ მინაზე ხატვის მდიდარ ტექნიკებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ კი, ორნამენტების განვითარებასა და მათი ხალიჩებისა და ქსოვილებში ასახვასთან დაკავშირებით, რომელსაც ქალები უბადლოდ ასრულებენ. შესაბამისად, იქ სადაც ფერწერული ტილო არ არის მოცემული და ნამუშევრების ნიმუშებზე ავტორების ვინაობა არ არის დატანილი, ქალთა ჩართულობაზე მოკლე კომენტარი წარმოდგენილ ნიმუშებს დააბალანსებდა გენდერულად და ასევე დაანახებდა მოსწავლეებს გამოყენებითი / ვიზუალური ხელოვნების დარგობრივი ჩართულობის სპეციფიკას ქალებთან მიმართებით.

ასევე, სტერეოტიპული ხასიათის მატარებელია გაკვეთილი 42 - „ფოტოალბომი“, რომელიც ფოტოალბომის წარმოდგენილ ნიმუშებს „ვაჟის და გოგონას ფოტოალბომებად“ ჰყოფს. ის, თუ როგორ არის თითოეული ნიმუში გაფორმებული, ხელს უწყობს სტერეოტიპების კვლავწარმოებას ბიჭის და გოგონას ჰობისთან (მანქანა და ყვავილი) და მიდრეკილებებთან დაკავშირებით, რომელიც ავტორების მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თითოეული სქესისათვის გაფორმების პრეფერენციებთან არის დაკავშირებული.

მოსწავლეების რესურსში გვხვდება გენდერულად დაბალანსებული შინაარსობრივი ილუსტრაციებიც, მაგ. ზღაპრის გმირების სახეები, „თოჯინები“, „ხატვა ფერის გარეშე“, შრომის ერთობლივი სცენის ამსახველი ფერწერული ტილოები, მაგ. ფიროსმანის „კალო“, ელენე ახვლედიანის „ბაზრობა შატილში“.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ რესურსი მეტწილად ილუსტრაციებს და ინსტრუქციებს შეიცავს, და ცნობილი ავტორების ფერწერულ ნიმუშებს აცნობს მოსწავლეებს, რომლებიც სხვადასხვა თემატიკის მიხედვით არის განაწილებული, რიგ შემთხვევებში შეიცავს გენდერული სტერეოტიპების მიხედვით მოწოდებულ ფარულ ინფორმაციულ გზავნილებს.



სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

მე-3 კლასი.

მესამე კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელმძღვანელომ, რომელსაც სამი ქალი ავტორი ჰყავს, გრიფირება 2018 წელს გაიარა. წიგნი 5 ზღაპრის გარშემო არის გაერთიანებული და 59 გვერდისგან შედგება. სახელმძღვანელოს შემადგენელი ზღაპრებია: ნაცარქექია, მელა და წერო, ნაყინის სახლი, მეფის ასული ცერცვის მარცვალზე და ბრემნელი მუსიკოსები. მისი გენდერული ანალიზი საგნობრივი შინაარსისა და სახელმძღვანელოს სტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე, შემდეგ ჭრილებში განხორციელდა, (1) სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) გენდერული ხედვები და მათი მართებულობა (4) სტერეოტიპების კვლავწარმოება.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

სახელმძღვანელო ადამიანების და ადამიანების მოდელების ილუსტრაციებით არ არის გადატვირთული. ილუსტრაციების ნაწილში, რომელიც ადამიანების მონაწილეობას გულისხმობს, ინდივიდების ამოკითხვა გართულებულია რეზოლუციის სიმცირისა და ილუსტრაციების დატვირთულობიდან გამომდინარე. თუმცა, მათგან, სადაც ქალისა და მამაკაცის ფოტოები ან სურათები არის მოცემული, ცალსახაა, რომ მამაკაცები სჭარბობს. სახელმძღვანელოს პირველივე გვერდი იწყება ნაცარქექიის ილუსტრაციით. მომდევნო ადამიანების გამომხატველი სურათები ზღაპრის გმირებს განასახიერებს, საიდანაც 8 კაცი და 4 ქალია. მომდევნო გვერდებზეც ადამიანების ამსახველი ილუსტრაციებიდან, ორზე ნაცარქექიაა გამოსახული. ილუსტრაციაზე, რომელიც კაფეში არსებულ სიტუაციას ასახავს, 5 მამაკაცი და 2 ქალია გამოსახული.

ზღაპარში „მეფის ასული ცერცვის მარცვალზე“, ზღაპრის პირველი ილუსტრაცია სამი ფერწერული ტილოა შუასაუკუნეების დიდგვაროვანი ჭაბუკების გამოსახულებით. აქვეა დავალება მოსწავლეებისათვის: დახატონ უფლისწული მოცემული ნახატის/ ნიმუშის მიხედვით. მომდევნო დავალება, პრინცესების ილუსტრაციებს მოიცავს. კიდევ ერთი ილუსტრაცია, რომელიც ადამიანის ილუსტრაციას, ფოტომასალას, მხატვრულ ნამუშევარს



და ილუსტრაციას გულისხმობს, ბიჭუნას უკავშირდება. ბავშვი მუყაოსგან სახელმძღვანელოში მოცემული დავალების შესაბამისად, ყუთს აკეთებს. კეთების სხვადასხვა ეტაპის შესაბამისად, ბიჭუნას ფოტოც რამდენჯერმე არის მოცემული.

კიდევ ერთი ილუსტრაცია ყაჩაღების გუნდს წარმოადგენს სახელმძღვანელოში „ბრემნელი მუსიკოსების“ სიუჟეტის შესაბამისად. ყაჩაღების ილუსტრაცია ზღაპრის სიუჟეტის განვითარებისა და მომდევნო ეტაპზე დავალების შინაარსის შესაბამისად, მეორდება.

სახელმძღვანელოს ბოლო გვერდზე, „ცოცხალი ქანდაკებები“ მოცემული ფოტოებიდან, 6 ქალის ფიგურაა და ორი კი, მამაკაცის.

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო სულ 5 ზღაპრის გარშემოა აგებული, მამაკაცთა პრიმატი და პირველობა მკაფიო და უხეშია. პირველივე ზღაპარი „ნაცარქექია“ ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, რომელმაც დევების სიმდიდრე ძმასთან და რძალთან წაიღო, ოჯახი გაამდიდრა და „ისევ დაიწყეს ტკბილი ცხოვრება“.

ზღაპარში „ნაყინის სახლი“, ჯანი როდარის მიხედვით, გულკეთილი მეხანძრე სახლში შევარდა და მოხუც ქალს (დედაბერს) ნაყინი გამოუტანა მას შემდეგ, რაც მოხუცის ხვეწნა-მუდარა გაიგონა, მისთვისაც მიეცათ ნაყინი.

ზღაპარში მეფის ასული ცერცვის მარცვალზე, პირველივე ქვეთავის სათაურია უფლისწულმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა და გვიყვება იმაზე, თუ როგორ ირჩევდა წუნია უფლისწული პრინცესებს და თავის შესაფერისს ვერ პოულობდა, რადგან არავინ მოსწონდა. მთლიანობაში, ზღაპარი, რომლის სათაური მეფის ასულის ამბავს უნდა გვითხრობდეს, დაყოფილია შემდეგ ქვეთავებად: უფლისწულმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. უფლისწული მიემგზავრება. უფლისწულის მოგზაურობა. დაწუნებული მეფის ასულები. უფლისწულის სასახლე.... ყველაფერი, რაც ზღაპარში ხდება, უფლისწულთან, მის სურვილებთან, გემოვნებასთან, გეგმებთან არის დაკავშირებული. ზღაპრის სათაურში გაჟღერებული მეფის ასული კი, ბევრ „დაწუნებულს“ შორის ის ერთი აღმოჩნდება, რომელიც დაწუნებას გადაურჩება. ამავე ზღაპრის ბოლოს, ერთადერთი ფოტოა, სადაც თანამედროვე ბავშვია



დახატული და პროექტის „ჯადოსნური ყუთი“ განხორციელების ილუსტრირებისათვის არის გამოხატული, ბიჭუნა, რომელიც მუყაოს ყუთს აკეთებს და კეთების ყველა ნაბიჯი სათითაოდ არის ბავშვის სურათით გაფორმებული.

ბოლო ზღაპარში „ბრემნელი მუსიკოსები“, ქვეთავში „ვირის ამბავი“ ყველა ილუსტრაცია, რომელიც სხვადასხვა ხელოვანის ნამუშევარს წარმოადგენს და ვირთან არის დაკავშირებული, მამაკაცის ხატებას მოიცავს. ხოლო, ადამიანები, რომლებიც ზღაპარში მოიხსენიებიან - მამაკაც ყაჩაღთა ჯგუფია.

გენდერული ხედვები და მათი გამართულობა

სახელმძღვანელოში მოცემული გენდერული როლები პრაქტიკულად ყველა მიმართებით არასათანადოდ არის წარმოდგენილი, რაც კონკრეტული სახელმძღვანელოს შემთხვევაში, არა მხოლოდ ქალთა რეპრეზენტაციის ინტენსივობის, ნორმებისა და ფორმების დისბალანსს გულისხმობს, არამედ მამაკაცთა შემოთავაზებული პორტრეტების გამართულობასაც. ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად ყველა მამაკაცი, რომელიც სახელმძღვანელოს შინაარსობრივ ნაწილში ჩანს, არასწორი ღირებულებების მატარებელია და შესაბამისი ქმედებებით ხასიათდება.

ნაცარქექია ზარმაცი ადამიანია, რომელიც, მას შემდეგ, რაც სახლიდან გამოაგდეს, ეშმაკობით ეუფლება სხვის ქონებას და, შედეგად, ხელახლა ახერხებს აღიარების მოპოვებას საკუთარ ოჯახში.

ზღაპარ „ნაყინის სახლში“ ცალკეული პერსონაჟები ნაკლებად იკვეთებიან და ერთადერთი მამრობითი სქესის გმირი, რომელიც გვამახსოვრდება, მეხანძრეა, რომელიც, ზღაპრის მიხედვით, გულკეთილია. თუმცა, მისი გულკეთილობა განსაკუთრებულ ძალისხმევასთან და გმირულ საქციელთან ნაკლებად არის დაკავშირებული. ეს გულისხმობს მარტივ მორალს; მოხუცი ადამიანისათვის საკვებზე საერთო წვდომის პირობებში, გარკვეული ულუფის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ისიც იმ პირობებში, როდესაც მოხუცი დიდი ხანი ხმამაღლა იხვეწებოდა მისთვის ნაყინის მიცემას.



პრინცი წუნია ნარცისისტია, რომელსაც გაურკვეველი, ამბიციური მოთხოვნები გააჩნია საცოლის შერჩევისათვის. ბრემნელ მუსიკოსებში კი, ყაჩაღები ამორალური საქციელის მქონე ადამიანების დაჯგუფებას წარმოადგენს.

ამ პერსპექტივიდან, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ქალთა სახეებიც ნაკლებად იწვევს სიმპათიებსა და სოლიდარობას; ნაცარქექიის რძალმა ოჯახის წევრი სახლიდან გამოაგდო. ნაყინის მსურველი ასაკოვანი ადამიანი „დედაბრის“ სახელით არის მოხსენიებული. მისი დამახასიათებელი ზედსართავები ზღაპარში საბრალო და უმწეოა. პრინცის დედა ჩასაფრებული დედოფალია, რომელიც სტუმრის სტატუსის გასარკვევად მის უჩუმრად საწოლში მარცვლებს უწყობს და არა პირდაპირი საუბრის საშუალებით ცდილობს სიმართლის დადგენას. ხოლო თავად რჩეული პრინცესა კი, როგორც გმირის პროტოტიპი უსახური და არაფრისმთქმელია, და მის მახასიათებლებზე არაფერია ცნობილი, გარდა იმ ფაქტისა, რომ ღამე ცუდად ეძინა. ამავდროულად წიგნში გვხვდება პრინცის მიერ „დაწუნებული პრინცესები“, რომელიც არა მხოლოდ გენდერულ ჭრილში, არამედ, ზოგადადაც მესამეკლასელი ბავშვების სახელმძღვანელოს ნაწილად უხერხული და მიუღებელია.

კიდევ ერთი ზღაპარი, რომელიც ალეგორიულია და რომლის მთავარი გმირების - ცხოველების ქცევაში, ადამიანური ურთიერთობები იკითხება, ასევე არ უწყობს ხელს მორალური საწყისების დასწავლას და გამყარებას; მელია და წერო ერთმანეთს სტუმრის სტატუსში შეუსაბამო ფორმატით საკვებს სთავაზობენ. ზღაპარი სრულად დაცინვის, რევანშისა და დასჯის მოტივებზეა აგებული.

შესაბამისად, თუ სახელმძღვანელოს ჰუმანური ღირებულებების თვალსაზრისით შევაფასებთ, ის სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს. გარდა შეუსაბამო სიუჟეტური ქარგებისა და შინაარსის მდარე ხარისხისა, სახელმძღვანელოში არსად არ მიმდინარეობს მანკიერი პრაქტიკების და ქცევებისათვის კითხვის ნიშნების დასმა და მათი კრიტიკული განხილვა. შესაბამისად, დაუბალანსებელი გენდერული საკითხების მიღმა, სახელმძღვანელო ზოგადადაც ნაკლებად არის მოსწავლეებში სწორი ხედვების გაზიარებისა და განმტკიცებისათვის შესაფერისი.



გენდერული როლები და საქმიანობები

არაპირდაპირი შინაარსობრივი ნაწილების გარდა, სახელმძღვანელოში მოცემულ კაფეს სცენა გვაჩვენებს, რომ სამი მიმტანი მამაკაცი აქტიურად მოემართებიან საკვებით ხელში მაგიდებისკენ, სადაც ერთ-ერთ მაგიდასთან სერიოზული გამომეტყველების მქონე კაცი ზის, რომელიც ოფიციალურად არის ჩაცმული, ხელში გაზეთი უჭირავს და კითხულობს. ეს საქმიანი მამაკაცია, რომელიც კაფეში აქეთ-იქით ყურებაში დროს არ კარგავს და გარშემო რა ხდება, ნაკლებად აინტერესებს. მეორე მამაკაცი, რომელიც ასევე მარტო ზის მაგიდასთან და თავის საკვებს ელოდება, გამოირჩევა ჩაცმის თავისუფალი, რომანტიული სტილით და მიანიშნებს, რომ ის თავისუფალი ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანია, რომელიც, დიდი ალბათობით, ხელოვნების დარგის პროფესიონალი შეიძლება იყოს. წინა პლანზე, ბოლო მაგიდასთან, ორი ქალი ზის. ისინი ჩაცმულობით და გარეგნობით განსაკუთრებულები არ არიან და ერთმანეთს ექსპრესიით, მიმიკისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით ესაუბრებიან. ერთ-ერთი ქალის სახეზე ღიმილის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მათი საუბარი არაოფიციალურია. ქალები ნაყინის საჭმელად და ერთმანეთთან სასაუბროდ არიან მოსულნი. მათი პროფესიის, მისწრაფებების გამოცნობა ან ვარაუდების დაშვება, ისე, როგორც ამის საშუალებას კაფეში მყოფი მამაკაცები იძლევიან, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ზღაპარი „მეფის ასული ცერცვის მარცვალზე“ პრობლემურია უფლისწულობისათვის მისი „შესაფერისობის“ არამკაფიო, ძალიან სუსტი კრიტერიუმიდან გამომდინარე. ეს კრიტერიუმი მხოლოდ მის ვერდაძინებას უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, მტკიცებულებაა მისი სამეფო წარმოშობისა. ჩვენ არ ვიცით, ჰკვიანია პრინცესა თუ არა, რამდენად აქვს მტკიცე ხასიათი, პრინციპები ან ჩამოყალიბებული ღირებულებები. ასევე ვერ ვხედავთ დედოფლის პორტრეტსაც. მხოლოდ ვიცით ის, რომ დედოფალი წყვეტს, რამდენად შესაბამისია პრინცესა მისი ვაჟის საცოლის სტატუსისთვის. ასევე ვიცით, რომ დედოფალი პრინცესას გამოცდას უწყობს მისი პრინცესობის დასადგენად.

ის ბალანსი, რომელსაც ავტორები „ცოცხალი ქანდაკებების“ სახით გვთავაზობენ და მეტი ქალის ფოტოს ურთავენ სახელმძღვანელოს მასალად, ასევე, პრობლემურია სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ სტატიკურად გაშუქებული ადამიანები, რომლებიც ქუჩაში სხვებს ართობენ, უმრავლესად ქალების ფოტოებით არიან წარმოდგენილები.



სტერეოტიპების კვლავწარმოება

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც თუ კაფეს ილუსტრაციაში სტერეოტიპების კვლავწარმოების ფორმას გვაძლევს, მიმტანების ლანგრებზე მოთავსებული შეკვეთებია; ერთი მამაკაცისათვის ცხელი ყავა მიაქვთ, მეორისთვის - დიდი ბურგერი და ლუდი. ქალისთვის კი მიმტანს ნაყინით სავსე ფიალები მიაქვს. ეს „შეკვეთები“ სტერეოტიპულია, რადგან განამტკიცებს რწმენას, რომ საქმიანი მამაკაცები ფინჯან ყავას მიირთმევენ, მშვიერი მამაკაცები - მსუყე ბურგერს და ლუდს, ხოლო საუბარში ჩართული ქალები კი, ტკბილეულს, კერძოდ კი, ნაყინს ეტანებიან.

დასკვნა

სახელმძღვანელოს ანალიზი გვაჩვენებს, რომ რეალურად არ არის მოცემული არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც გენდერული თვალსაზრისით პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ან ნეგატიური პრაქტიკების განხილვის შესაძლებლობას იძლეოდეს. სახელმძღვანელოში გენდერული მიმართულებით საკითხები პრაქტიკულად არც გააზრებულია და არც გაჟღერებული.

მუსიკა

მე-6 კლასი

მე-6 კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს, რომლის ავტორთა ჯგუფი 4 ქალისა და ერთი მამაკაცისგან შედგება, 2018 წელს მიენიჭა გრიფი. სახელმძღვანელო / მოსწავლის წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება და მთლიანობაში 168 გვერდს აერთიანებს. სახელმძღვანელო დაყოფილია 6 თავად, რომელიც მუსიკის სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს. ესენია: 1. რეალობა და ჩვენი წარმოდგენები; 2. ადამიანის პორტრეტი მუსიკაში; 3. მუსიკის როლი ხმოვან კინოში; 4. მუსიკალური თეატრი - ოპერა და მიუზიკლი; 5. მუსიკა საბალეტო თეატრში; 6. ეთნოგრაფია და მუსიკა. საგნის სპეციფიკის და მასალის თავებად განაწილების ხედვის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს ანალიზი ექვსი მიმართულებით განხორციელდა, კერძოდ კი, შვეისწავლეთ 1. სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; 2. მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; 3. პროფესიები და საქმიანობები გენდერის



მიხედვით; 4. გენდერული სტერეოტიპების და მიკერძოებული დამოკიდებულებების კვლავწარმოება; 5. ენობრივი პატერნები და სტრუქტურები 6. დისკუსიის და განხილვის პოტენციალი.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

მთლიანობაში, სახელმძღვანელოს ილუსტრაციები კარგად აჩვენებს ხედვის იმ ხარვეზებს, რომელთაც ავტორები ამჟღავნებენ ქალთა წარმომადგენლობის, მნიშვნელობისა და როლის შესახებ მუსიკაში. სახელმძღვანელო უხვად არის გაფორმებული ილუსტრაციებით, რომელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 200-ია, სქესობრივ ჭრილში კი, მამაკაცთა რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების რაოდენობას (165:76); იმ ილუსტრაციების რაოდენობა, სადაც მხოლოდ მამაკაცები არიან გამოსახული ჯგუფურად, ასევე, ორჯერ მეტია (80:40).

თვისებრივ ჭრილში ილუსტრაციები ასევე საინტერესო დინამიკას გვაჩვენებს; მამაკაცების ილუსტრაციები მეტწილად მუსიკის სხვადასხვა დარგისა და მიმართულების გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტების სახით არის წარმოდგენილი, რომელიც ტექსტურ მასალაშია გაშლილი და განმარტებული. ქალთა ილუსტრაციების აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა სპექტაკლიდან და ფილმებიდან გამომდინარე პორტრეტებს წარმოგვიდგენს და, უმეტეს შემთხვევაში, მათ სასცენო მოქმედებას ასახავს.

სახელმძღვანელოს პირველი თავი „რეალობა და ჩვენი წარმოდგენები“, რომელიც კომპიუტერული თამაშების აღწერას, მათი შექმნის ისტორიას და მათი მუსიკალური გაფორმების საკითხებს აერთიანებს და მოსწავლეებს მუსიკალური ასოციაციებისა და სარეკლამო რგოლის მაგალითებს აცნობს, რეალურად არც ერთი ქალის სურათს არ მოიცავს, მიუხედავად იმისა, რომ თავი უხვადაა გაფორმებული პორტრეტებით, კომპიუტერული თამაშების სიუჟეტებით ამ თამაშების გამართა მონაწილეობით, ნაწყვეტების სანოტო გამოსახულებით.

პირველი გაფორმება, სადაც ქალი და მამაკაცი ერთად არიან გამოსახულნი, კომპიუტერული თამაშის ყდაა „The last os Us“. რეალურად, ტექსტის წაკითხვის გარეშე, რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ კომპიუტერულ თამაშებთან გოგონებს არაფერი



ესაქმებათ, რადგან ეს სრულად მამაკაცების სფეროა. მეტიც, მარიოს მუსიკალური ფრაზები, მე-9 გვერდზე, რომელიც სოლფეჯიოს თავისუფალ აქტივობას წარმოადგენს, მინიშნებებისთვის გამოყენებული სიმბოლოები მეტწილად და ძირითადად ბიჭების სახით არის გამოსახული. სარეკლამო რგოლის საკითხებიც კი, რომელიც ამ თავშია მოცემული და რომელიც, ერთი შეხედვით, უხვ შესაძლებლობას იძლევა საკითხების დაბალანსებულად გადმოცემისათვის, არასათანადოდაა ამ თვალსაზრისით შესრულებული; ასევე, მხოლოდ მამაკაცი შემსრულებლების / პოპულარული მუსიკალური პოპ-ჯგუფის პორტრეტებით არის გაფორმებული.

მეორე თავი „ადამიანის პორტრეტი მუსიკაში“, პირველ ილუსტრაციაში, რომელიც ადამიანის ემოციების ამოხსნის და მუსიკალურ-ინტონაციური გაფორმების ამოცანას ისახავს, მოსწავლეებს სთავაზობს 6 ფოტო-ილუსტრაციას, რომელზეც ადამიანების განსხვავებული ემოციებია აღბეჭდილი. ამ შემთხვევაშიც, 4 ფოტო მამაკაცს/ბიჭს აღბეჭდავს, ერთი ქალისა და მამაკაცის ერთობლივ ფოტოს და ერთზეა მხოლოდ პატარა გოგონა გამოსახული, რაც მეტყველებს ავტორების ნაკლებ სურვილზე, რომ გენდერული თანასწორობა ილუსტრაციებში ისეთ შემთხვევებში მაინც უზრუნველყონ, სადაც ამის საშუალება, საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, უფრო რთულად მისაღწევია.

ქვეთავი - „გამოიცანი ადამიანის ხმები“, თეატრისა და ესტრადის ცნობილი /პოპულარული ქართველი მუსიკოსებისა და მსახიობების პორტრეტებით არის გაფორმებული, საიდანაც 4 მამაკაცი და 2 ქალია, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, ქართული ესტრადა და სცენა მდიდარია დამახასიათებელი ტემბრისა და გამოთქმის მქონე ქალი ხელოვანებით. ქვეთავი „ინტონაცია ქართულ მუსიკაში“, რომელიც ქართული ხალხური სიმღერების მრავალფეროვნების წარდგენის მოკლე ნაწილის შემდეგ, ჩონგურისა და მეგრული ნაწილს ტექსტით გრძელდება, თუმცა, ამავე საკითხზე მოცემულ რუბრიკაში, „ეს საინტერესოა“, ავტორები ანსაზლ „რუსთავის“ გუნდის გასტროლის შესახებ ინფორმაციას სთავაზობენ მოსწავლეებს, რომლებიც ჰამლეტ გონაშვილისა და ანსამბლის გუნდის წევრების წარმატების ილუსტრაციებით არის გაფორმებული. ისეთი მუსიკალური საკრავების გაცნობისას, როგორცაა ჩონგური და ფანდური, ქალ შემსრულებლების ილუსტრაციების შემოტანა სახელმძღვანელოში სირთულეს არ წარმოადგენს გენდერულად მგრძნობიარე ხედვების არსებობის შემთხვევაში. სახელმძღვანელოს გვერდები ისე შეიძლება ფურცლო, რომ ქალთა ილუსტრაციები მრავალი გვერდის განმავლობაში შეიძლება არსად



შეგზვდეს. ქალთა პორტრეტები ძალიან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს და სულ ორ-სამ შემთხვევაშია მოცემული. ქალთა სახეები ძირითადად ჯგუფურ და მასობრივ სცენებში ისახება და სხვადასხვა დადგმიდან და სპექტაკლებიდან ნაწყვეტებს წარმოუდგენს მოსწავლეებს, უმეტესად საბალეტო ქორეოგრაფიის ან საოპერო წარმოდგენების კონკრეტულის სცენების მაგალითებით. ერთადერთი ილუსტრაცია, სადაც ქალებზე სპეციფიკურად მახვილდება ყურადღება სახელმძღვანელოში, პირველი წიგნის 39-ე გვერდზე, ღვთისმშობელს მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებების კონტექსტშია მოცემული და შესაბამისი, მადონას ფერწერული ტილოების ილუსტრაციებით არის გაფორმებული. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაშიც კი, მადონა / ღვთისმშობელი ის ობიექტია, რომელსაც უკვდავმა კომპოზიტორებმა საკუთარი გამორჩეული კომპოზიციები უძღვნეს.

წიგნში ვერსად შეხვდებით გამოჩენილი შემსრულებელი ქალის (იქნება ეს ვოკალისტი, ინსტრუმენტალისტი თუ მოცეკვავე) პორტრეტს სცენური სახის მიღმა, ვერ ამოიკითხავთ მისი შემოქმედებითი გზის, გამოცდილების, დამსახურების შესახებ ინფორმაციას. ფილმის საუნდტრეკების მოსმენის დავალებისთვისაც კი, ოთხი ფილმის მაგალითი ოთხი მამაკაცის ილუსტრაციით არის წარმოდგენილი (გვ. 59).

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

სახელმძღვანელოს შინაარსობრივი აქცენტები, ილუსტრაციების მსგავსად, მეტწილად მამაკაცის პრიმატს უსვამს ხაზს. სახელმძღვანელოს ნებისმიერი თემა და კონკრეტული საკითხი პირდაპირ აჩვენებს და ხაზს უსვამს მამაკაცთა პირველობას არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან, არამედ, ზოგადად, მუსიკის ფენომენტთან დაკავშირებით. მამაკაცები არიან კომპოზიტორები, დირიჟორები, ქორეოგრაფები, ფოლკლორისტები, რეჟისორები. ისინი ქმნიან მუსიკას და მასთან დაკავშირებულ ხელოვნების დარგებს. ქალები კი მათი საშემსრულებლო მიმართულების შესაბამისად, კონკრეტული როლებისა და ფუნქციების შემსრულებლები არიან.

იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც მაგალითები და ანალოგიები ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც მამაკაცის, ასევე - ქალის პერსპექტივიდან, მამაკაცთა პირველობა ხაზგასმულია. მაგალითად, ქვეთავში, „ინტონაცია“. ავტორები ავალებენ მოსწავლეებს ორ ლექსს სიტყვების მუსიკად ქცევისათვის და ამ სიტყვების



გამღერებისათვის. ლექსები ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდანაა, მიუხედავად იმისა, რომ ჟღერადი და მუსიკალური პოეზია ქალ-პოეტთა შემოქმედებისათვისაცაა დამახასიათებელი.

ამავე თავის ქვეთავში „ინტონაცია ხალხურ მუსიკაში“, ქართული ხალხური სიმღერის „წინწყაროს“ შესახებ ინფორმაციას მოჰყვება მამაკაცის სასიმღერო ხმების ჩამოთვლა და რეგისტრების მიხედვით განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხალხური ფოლკლორი მდიდარია ქალთა სასიმღერო რეპერტუარით, ავტორები მოსწავლეებისათვის სასიმღერო ხმების გაცნობისათვის მხოლოდ მამაკაცთა ხმების ჩამონათვალთ კმაყოფილდებიან. ფალიაშვილის ოპერა „დაისტან“ მიმართებით, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ კიაზოს მიმართვაზე ხალხისადმი, ჭავჭავაძის „გუთნისდედა“ და ნიკო სულხანიშვილის აკაპელა „გუთნური“ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მუსიკალურ ინტონაციებში სიტყვები „სიხარული, მწუხარება, სევდა, თანაგრძნობა, სიმშვიდე, აღტაცება“ გამოიყენონ. საუბარი გრძელდება სიმღერაზე „ჩელა“, ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაზე „მინდია“ და ვაჟა-ფშაველას პოეტურ სახეებზე. ჰეროიკული შინაარსისა და ლირიკის შესახებ საუბარი გივი საღარაძის მიერ წაკითხული სტრიქონებით გრძელდება... ქალთა სახეები არსად გვხვდება.

პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით

მუსიკის სახელმძღვანელოში, ცხადია, ყველა დასახელებული პირი საქმიანობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მუსიკასთან არის დაკავშირებული. სახელმძღვანელოში ვხვდებით კომპოზიტორების, მუსიკოს-შემსრულებლების, რეჟისორების, ქორეოგრაფების სახეებს. როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული საქმიანობა გენდერული ნიშნით კლასიფიცირებულია.

ქართული ხალხური სიმღერის განხილვისას (გვ. 29), ავტორები მამაკაცთა ხმების ტიპებს გვიხსნიან. ქალთა ხმების ტიპები არ არის წარმოდგენილი.

ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ (გვ. 30-31), რომელიც ქართული პროფესიული მუსიკის ქვეთავის ფარგლებშია განხილული, მაგალითად კიაზოს ხალხისადმი მიმართვაა გამოტანილი, მუსიკის მკვეთრი ცვლილების დასაჩვენად. ლექსი ჰეროიკულ-პატრიოტული



სულისკვეთებით არის გაჟღენთილი და ვაჟკაცთა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას წარმოადგენს. მომდევნო ლექსი, ჭავჭავაძის „გუთნისდედა“, რასაც ნიკო სულხანიშვილის გუნდის მიერ შესრულებული „გუთნური“ და ხალხურ „ჩელას“ უნდა შეადარონ მოსწავლეებმა და ინტონაციების დასახასიათებლად სიტყვები: „სიხარული“, „მწუხარება“, „სევდა“, „თანაგრძნობა“, „სიმშვიდე“ და „ალტაცება“ უნდა გამოიყენონ. ავტორებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, რომ მსგავსი დავალების გაკეთებისათვის, ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ქალთა სასიმღერო პარტიები გამოეყენებინათ, და ამით ხილული გაეხადათ ქალთა ვოკალის მნიშვნელობა როგორც კლასიკურ, ასევე ხალხურ შემოქმედებაში. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო ნაწარმოები, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, ასევე მამაკაცის ცხოვრებას, მის ბრძოლას, შურისძიებას და ტრაგედიას უკავშირდება და ლიბრეტოს შინაარსსაც აცნობენ ავტორები მოსწავლეებს სახელმძღვანელოში, რომელიც ვაჟა-ფშაველას ლექსიდან „ღამე მთაში“ ფრაგმენტით და მორის ფოცხიშვილისა და გურამ ბზვანელის სიმღერის „სამშობლო“ გრძელდება. ლექსები გენდერულად ნეიტრალურია. ქართული მუსიკის განხილვისას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქალი საერთოდ არ არსებობს. მუსიკა მამაკაცების მიერ იქმნება და მთავარი გმირები მამაკაცები არიან. საკითხის ამგვარი გადმოცემა კიდევ ერთხელ ამყარებს მამაკაცთა პირველობას და ხაზს უსვამს მათ პრიმატს.

მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“, რომელიც შესაბამისი ილუსტრაციებით არის გაფორმებული, კვლავ აგრძელებს მამაკაცთა მამაკაცთა პირველობის განცდას. ილუსტრაციები, სადაც ქალები არიან გამოსახული (მაგ. ბალერინა ცეკვის მომენტში, გვ. 38), ილუსტრაციები ცნობილი ოპერებიდან და ბალეტებიდან ქალთა წარმომადგენლობით, არანაირ განმარტებას და მათ წარმომადგენლობაზე დისკუსიას არ მოიცავს. ამ ილუსტრაციების მიზანი იმის დადგენაა, გმირები რეალური ადამიანები არიან თუ ზღაპრის გმირები.

შუბერტი, ჩარლი ჩაპლინი და მუნჯი კინო, ძმები ლუმინერები... - მდედრობითი სქესის ისტორიული პირისათვის არც ერთი მომდევნო თემის განხილვისას, ადგილი არაა დათმობილი. ქალი მხოლოდ კოტე მიქაბერიძის ფილმის „ჩემი ბებია“ ყურების დავალებისას



არის ნახსენები, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მუსიკალურ გაფორმებას მიაქციონ ყურადღება.

ფილმების საუნდტრეკებზე საუბრისას, რომლებიც ასე მდიდარია ქალთა ხმებით, ყველა მაგალითი მამაკაცთა რეპრეზენტაციას უკავშირდება. გამონაკლის შემთხვევებში, ქალები ადამიანთა ჯგუფურ ილუსტრაციებში შეიძლება გამოჩნდნენ. თუმცა, კონკრეტული მაგალითები კვლავაც ისეთი ფილმებიდან განიხილება, სადაც მამაკაცები არიან მოქმედი პირები. მაგალითად, ფილმის გმირი მიდის ქუჩაში, ასრულებს სხვადასხვა მოქმედებას, კადრს მიღმა ისმის სხვადასხვა მუსიკა (გვ. 61). ეს შეიძლება იყოს: სიმღერა სახლიდან, გამვლელის ღიღინი, კაფედან გამოსული მუსიკა, ქუჩის მუსიკოსების სიმღერა და დაკვრა. ასეთი კადრები შეგიძლიათ, ნახოთ ფილმებში: „იყო შაშვი მაგალობელი“, „არასერიოზული კაცი, გიორგობისთვე“... ან ხმოვანი ფილმის სიუჟეტური გახმოვანების ასახსნელად, (გვ. 63) მოტანილი მაგალითები (მამაკაცთა ამსახველი კადრებით) ფილმებიდან „ქოლგა“, „ქორწილი“, „პირველი მერცხალი“, „ლაზარე“. ასევე ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით შესრულებული ფილმის მუსიკა ფილმისათვის „შერეკილები“, რომლის ხუთი სცენაა მაგალითად მოყვანილი და ხუთივეზე მხოლოდ მამაკაცები არიან გამოსახულები (გვ. 64).

თუმცა, მასზე საუბარაც მისი პორტრეტით და მისი ბალეტისა და ერთი ილუსტრაციით შემოიფარგლება. ბალეტის შემსრულებელი, რომელიც სახელით და გვარით არის მოხსენიებული, ცნობილი ბალერონი რუდოლფ ნურიევია. ქალები პლასტიკის, სცენიდან დაწყებების გაფორმების საშუალებას წარმოადგენს და ვინ არის ამ სურათებზე გამოსახული, კომპოზიტორებისათვის უმნიშვნელო დეტალია.

სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში

ქალთა უკიდურესად მწირი რეპრეზენტაციის ფონზე, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სტერეოტიპული კვლავწარმოების მაგალითები. მაგალითად: პირველ ნაწილში, ღვთისმშობლის თემატიკასთან დაკავშირებული ნაწარმოებების განხილვისას (გვ. 39), სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეებს დავალების ფარგლებში თხოვენ „გაიხსენონ და შესაბამისი ინტონაციით წაიკითხოთ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი რომელიმე ლექსი“. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსის ინტონაცია სტერეოტიპული შეხედულების თანახმად, სრულიად განსაკუთრებულ გამომსახველობას მოითხოვს.



ასევე პრობლემურია ქალთა მეტწილად წარმოჩენა ერთი, კონკრეტული მიმართულების ხელოვნების დარგის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტურ მასალაში, ქალები ზოგადად ნაკლებად წარმოჩნდებიან, ილუსტრაციებში მათი საკმაოდ დიდი წილი მოცეკვავეების ამპლუაშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ქალებთან დაკავშირებით გამოწვევების განხილვა მათი ხელოვნებაში არასათანადოდ წარმოდგენასთან არის დაკავშირებული, მამაკაცური პრიმატის ხაზგასმის გარდა, სტერეოტიპად უნდა განვიხილოთ ქალების, როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგის ექსკლუზიურად შემსრულებლებად წარმოჩენაც, რაც ამყარებს სტერეოტიპებს ქალთა შემოქმედებითი მონაცემებისა და ნიჭის კონკრეტული გამოხატულების შესახებ.

ენობრივი პატერნები და სტრუქტურები

იმ ფონზე, როდესაც ქალთა რაოდენობრივი და თვისებრივი წარმომადგენლობა პრობლემურია, კიდევ ერთ პრობლემას, ქალებთან და მამაკაცებთან დაკავშირებული დამახასიათებელი სიტყვების გამოყენებაც წარმოადგენს. მამაკაცებსა და ქალებთან დაკავშირებული ენობრივი პატერნები და სტრუქტურები მკვეთრად სეგრეგირებულია. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ქალების, უფრო კონკრეტულად კი, კარნავალის ნიღბების ქალთა სახეების დახასიათებისას ავტორების მიერ მოსწავლეებისათვის შესაბამის ზედსართავების შეთავაზებაც (გვ. 46) „რა აქვთ საერთო კიარინასა და ესტრელას? შეადარე ქალთა ეს სახეები ერთმანეთს, აღნიშნე, რა განსხვავებაა მათ შორის. გამოიყენე განსაზღვრებები: თავშეკავებული, მგრძნობიარე, პოეტური, ცეცხლოვანი, შთაგონებული, ფეთქებადი, მშვენიერი, ემოციური, მგზნებარე...“, „ქალის ხატება ღვთისმშობელია. ხოლო –ღვთისმშობლის სახე ზეციურ, ამაღლებულ სამყაროსთან არის დაკავშირებული. იგი ადამიანებში მშვენიერებისა და მარადიულ გრძნობებს აღვიძებს“. მუსიკასთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა მის დასახასიათებლად უნდა შეარჩიონ განსაზღვრებები: „სადღესასწაულო, მშვიდი, ამაღლებული, უმფოთველი, მღელვარე, მთრთოლვარე, სიხარული, სიყვარული, სინაზე, უსასრულობა“ (39).

საგულისხმოა, რომ მამაკაც შემოქმედთა ბიოგრაფიებში ჭარბად გვხვდება ენობრივი სტრუქტურა რომელიც მოიცავს შთაბეჭდილების გამამდიერებლად სიტყვას - „დიდი“.



„დიდი მემკვიდრეობა“, „დიდი წვლილი მიუძღვის“, „დიდი გამოცდილება“, „დიდი პოპულარობა“, „დიდი წარმატებით“, „დიდი როლი ითამაშა“, „დიდი რეფორმატორი“, „დიდი სიყვარულით სარგებლობს“, „დიდი შესაძლებლობის“. ორ ნაწილად დაყოფილ წიგნში, ერთადერთ შემთხვევაში გამოიყენება იგივე გამაძლიერებელი ქალთან და მამაკაცთან მიმართებით ერთად „დიდი შესაძლებლობების საოპერო მომღერლები“ (ნაწილი 2, გვ. 16).

„ნიჭიერი და პერსპექტიული“, გამორჩეული თვალსაჩინო წარმომადგენელი“, შექმნა, შეთხზა, წარმოადგინა, წვლილი შეიტანა, მემკვიდრეობა დატოვა მსგავსი დახასიათება მხოლოდ მამაკაცთა წვლილის ხაზგასასმელად გამოიყენება ხელოვნებაში, რაც აყალიბებს გენდერულად მკაფიოდ გამიჯნულ ენობრივ პატერნებს და ხელს იწყობს ხელოვნათა სქესის მიხედვით, დამოკიდებულებების და აღქმების გენდერის მიხედვით ჩამოყალიბებას.

დისკუსიისა და განხილვის პოტენციალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელო მთლიანობაში მამაკაცებისა და ქალების მუსიკასთან დაკავშირებული როლების გამიჯვნის პრინციპით არის აგებული. მამაკაცები ქმნიან მუსიკას, კინოს, ქორეოგრაფიას, ლექსებსა და პოემებს, ლიბრეტოს. ქალები შემსრულებლები არიან. მათი სახელები ხშირად არ არის მოხსენიებული და მხოლოდ ილუსტრაციებიდან ვიგებთ მათ სქესს.

ქალის, როგორც მუსიკოსის სახელი, პირველად რობერტ შუმანის შესახებ შემაჯამებელ გაკვეთილში ჩნდება, მისი მეუღლის კლარა ვიკი ხსენებისას. შუმანის შემოქმედებიდან განხილულია „კარნავალი“, სადაც მუსიკალური პორტრეტების პირველი მაგალითები XVIII საუკუნის ფრანგი კომპოზიტორების შემოქმედებას უკავშირდება. იმდროინდელი მუსიკალური პორტრეტების მაგალითებად კი, „ფლორენციელი ქალი“⁴⁴ „და მონიკი“, „იდუმალი ქალი“ არის მოყვანილი. მუსიკალური ნაწარმოებების სახელწოდებების დასახელებით, რომელიც ქალთა სახელებს ყოველგვარი განმარტების გარეშე იძლევა, ძლიერდება მამაკაცთა პირველობის განცდა. მამაკაცი კომპოზიტორები ქალთა მუსიკალურ პორტრეტებს ქმნიდნენ. კლარა ვიკის სახელი გაჟღერდება შუმანის საფორტეპიანო ციკლის „კარნავალის“ ერთ-ერთი პიესის სახელწოდებიდან გამომდინარე (გვ. 45) და მომდევნო გვერდზე, შუმანის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების მოწოდებისას. ცნობილი პიანისტი შუმანის მეუღლეა და მეუღლის ნაწარმოებებს ხშირად ასრულებს. გენდერულად



მგრძნობიარე სახელმძღვანელო კლარა ვიკის შემოქმედების აღწერისას, ერთ აბზაცში მისი მეუღლის სტატუსით და შესანიშნავი პიანისტის მეუღლის ნაწარმოებების შესრულებით არ შემოფარგლებოდა. კლარა ვიკი თავისი ეპოქის გამორჩეული პიანისტ-შემსრულებელი და ქალი-კომპოზიტორი იყო. მან უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა როგორც შუმანის და სხვა უდიდესი გერმანელი კომპოზიტორების შემოქმედებით განვითარებაში, არამედ პიანიზმის ისტორიაშიც დაიმკვიდრა ღირსეული სახელი. იმ ფონზე, როდესაც ქალის პორტრეტები მარტივად ხელმისაწვდომია, ხოლო კლარა ვიკის შემოქმედება შუმანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი, გენდერულად მგრძნობიარე ავტორები მისი სახელს შესაბამის მნიშვნელობას მიანიჭებდნენ.

შუმანის ნაწარმოებებს შორის პოპულარულია „ვარიაციები აბეგის თემაზე“, რომელიც კლარა ვიკის მელოდიაზე შეთხზა კომპოზიტორმა. ამ ფაქტის ხსენება მოსწავლეებისათვის ვიკის, როგორც შემოქმედი ქალისა და თავისი საუკუნის გამოჩენილი პიანისტის მნიშვნელობას წინ წამოწევდა და მისი, როგორც მხოლოდ შუმანის ცოლისა და შვილების დედის იმიჯს გადაფარავდა.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, საოპერო ხმების განხილვა (გვ . 14), რომელიც ცნობილი ოპერების ნაწყვეტებში ქალთა ხმების / როლების ჩამონათვალს და ილუსტრაციებს მოიცავს, კარგ საშუალებას აძლევს ავტორებს, გენდერული მგრძნობიარობის შემთხვევაში, ოპერების უბრალოდ დასახელების ნაცვლად, ქალთა ცნობილი ხმების, თუნდაც ილუსტრაციებზე გამოსახული ცნობილი ქართველი შემსრულებლების, მაგ. ნინო მაჩაიძის, ნინო სურგულაძის და სხვ., შესახებ ინფორმაციითაც გაემდიდრებინათ.

ასევე, მიუზიკლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისას, სადაც ერთ-ერთ მაგალითად „ვერისუბნის მელოდიები“ არის მოყვანილი (გვ. 18), გარდა მთავარი როლი და მთავარი გმირის პარტიის შემსრულებლის დასახელებისას, სასურველი იქნებოდა, რომ ავტორებს ამ ქალების შესახებ ინფორმაცია თუნდაც მოკლედ მოეწოდებინათ და ამგვარად გაესვათ ხაზი მათ მნიშვნელობაზე ქართულის კინოს, თეატრის და საესტრადო, კინო-მუსიკის განვითარებაში.

საბალეტო შემოქმედებაში მუსიკის განხილვისას, რომელშიც ქალთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, და რომელიც ცალკე თავად არის გამოყოფილი, ვერსად შეხვდებით ისტორიული და ცნობილი შემსრულებელი ბალერინას შესახებ თუნდაც მოკლე



ინფორმაციას. კადრები მინაწერებით ჩაიკოვსკის, მინკუსის ბალეტებიდან, რომელიც გამდიდრებულია მუსიკისა და პლასტიკის გამომსახველი ხერხების შესახებ მსჯელობით, არსად არ ახსენებს კონკრეტულ ქალთა ჩართულობას საბალეტო ხელოვნებაში. ერთადერთი ქალი, რომელიც ამ თავში სახელით არის მოხსენიებული, საბალეტო მუსიკის კომპოზიტორი, ლერა აუერბანია.

დასკვნა

ამრიგად, განხილული მუსიკის სახელმძღვანელო, რომელიც მისი მიმართულების და საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, უამრავ, მრავალფეროვან და საინტერესო შესაძლებლობას ქმნის გენდერულად დაბალანსებული და მგრძნობიარე სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემურია ამ კუთხით. მუსიკაზე კვალიფიციური მსჯელობისა და პროფესიული შინაარსობრივი გამართულობის ფონზე, საწყენია ავტორების მოუმზადებლობა გენდერულ საკითხებთან მიმართებით, რაც ესთეტიკური მიმართულების საგნობრივი ჯგუფის საგანს, რომლისკენაც სტერეოტიპული ხედვების მიხედვით, პრიორიტეტულად ქალები არიან მიდრეკილები, გენდერულად განსაკუთრებულად დაუბალანსებელს და არასათანადოდ მგრძნობიარეს ხდის.

ჩვენი გარემო

პირველი კლასი

სახელმძღვანელო პირველი კლასისთვის არის განკუთვნილი, შემუშავებულია ერთი ქალი ავტორის მიერ და გრიფირება გაიარა 2018 წელს. კვლევის ჩარჩოსა და საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოს ანალიზი შემდეგი მიმართულებებით განხორციელდა (1) სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში; (2) მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში; (3) პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით; (4) სტერეოტიპების კვლავწარმოება ტექსტებში.



სქესთა წარმომადგენლობა და სტერეოტიპების კვლავწარმოება სახელმძღვანელოში

ილუსტრაციები, რომლებშიც გოგონები და ბიჭები არიან გამოსახულები, რაოდენობრივად მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია გენდერული თვალსაზრისით. თუმცა, საქმიანობები, ჩართულობა, როლები - სტერეოტიპების კვლავწარმოებას უწყობს ხელს. გოგონები ხშირად პასიურები ან გენდერულად სტერეოტიპულ საქმიანობაში ჩართულები არიან. აღსანიშნავია, რომ არის რამდენიმე მეტ-ნაკლებად დაბალანსებული ილუსტრაცია, როგორცაა, მაგალითად, 56-ე თემა - „დრო“, სადაც სამ ილუსტრაციაში, დროის სვლა - გოგონა და ბიჭუნას ზრდის ეტაპებს უკავშირდება. მეორე მხრივ, ამგვარად დაბალანსების მცდელობის ფონზეც კი, გვხვდება სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის ფერებთან დაკავშირებით; სამივე ილუსტრაციაზე, გოგონას ვარდისფერი ქვედაბოლო აცვია, ბიჭს ცისფერი პერანგი. ამავე ილუსტრაციების ნაკრებში კარგად იკვეთება მამაკაცის პრიმატი; შუა ილუსტრაციაზე კი, რომელიც, სავარაუდოდ, სკოლის დასრულების ან სკოლისშემდგომი განათლების პერიოდს ასახავს, წიგნი ბიჭს უჭირავს.

ასეთი დაბალანსება გვაძლევს იმის შეგრძნებას, რომ ავტორების მხრიდან მცდელობა, რომელიც ილუსტრაციებში იკვეთება, მოკლებულია ბალანსის შინაარსობრივ გააზრებას და რაოდენობრივი საზომებით არის დატვირთული.

მამაკაცთა პრიმატი და პირველობა ტექსტებში

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პირველი კლასის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი, და საგნობრივი საკითხები მარტივადაა წარმოდგენილი, იმ მცირე შემთხვევებშიც კი, როდესაც სხვადასხვა ტიპის საქმიანობა არის აღწერილი ან დავალების სახით განმარტებული მოსწავლეებისათვის, ვხვდებით გენდერულად გამიჯნულ გამოხატულებებს; სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვის მთავარი გმირების - ხუთკუნჭულას და ჭიანჭველას წარდგენით იწყება. ისინი სახელმძღვანელოს მთავარი გმირები არიან, რომლებიც მოსწავლეებს დავალებებსა და განმარტებებს აძლევენ ტექსტებსა და ტექსტების შემდგომ სამუშაოსთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მთელი წიგნის განმავლობაში არიან წარმოდგენილები ილუსტრაციების სახით. იმისათვის, რომ სახელმძღვანელო სახალისო იყოს ბავშვებისათვის, მეგზურები ზღაპრის გმირი ბიჭუნა და



გაადამიანებული მწერი არიან, რაც სრულიად მისაღებია. ილუსტრაციების მიხედვით, ჭიანჭველა „გოგონა“, თავზე ბაფთით. ჭიანჭველა შრომასა და შეუპოვრობასთან ასოცირდება, და შესაბამისად, მისი მდებრობითი სახით წარმოდგენა კრეატიულ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს, იმისდა მიუხედავად, რომ ხუთკუნჭულა მოხერხებული და მამაცი გმირია ქართული ზღაპრის მიხედვით, რომელმაც დევს სძლია. ავტორი ასეთი განაწილებით, გენდერული ბალანსის მიღწევას ცდილობს. თუმცა, ჭიანჭველისთვის ადამიანური ნიშნების მიწერა ვერ ახდენს სახელმძღვანელოს სრულყოფილ სქესობრივ დაბალანსებას და მისი აღქმა გოგონად რთულია. მეგზურების გენდერული დაბალანსების ხელოვნურობას ხაზს უსვამს მათი განაწილებაც დავალებების ტიპის მიხედვით; მაგალითად, მე-6 გვერდზე მოცემული რუბრიკები - „გააფერადე, დახატე და შეაერთე ხაზით“, ასევე „გამოჭერი და ჩააკარი“ და „დააკვირდი“ - „გოგო“ ჭიანჭველას მეგზურობით არის წარმოდგენილი, ხოლო რუბრიკა „მოიფიქრე“ კი, ბიჭის (ხუთკუნჭულას) ილუსტრაციით. ილუსტრაციების და რუბრიკების ამგვარი განაწილება თანხვედრაშია არსებულ სტერეოტიპულ გენდერულ საგანმანათლებლო სოციალიზაციასთან, სადაც ფიქრსა და ანალიტიკასთან დაკავშირებული საქმიანობები ბიჭების პრეროგატივაა.

პროფესიები და საქმიანობები გენდერის მიხედვით

საქმიანობის გენდერული სტერეოტიპული ხედვის კიდევ ერთი მაგალითია მოცემული მე-7 გვერდზე. მე-9 საკითხი „დავიბანოთ ხელ-პირი, გავიხეხოთ კბილები“ ილუსტრირებულია გოგონასა და ბიჭუნას სურათებით, რაც პოზიტიურია. თუმცა, მომდევნო გვერდზე „რა შემთხვევაში უნდა დავიბანოთ ხელები“, ილუსტრაციებში მხოლოდ ბიჭუნაა გამოსახული, რაც გენდერულად დაუბალანსებელი ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს სისუფთავის აუცილებლობასთან დაკავშირებით და ხელს უწყობს სტერეოტიპის გამყარებას ბიჭებისთვის ამ წესების გათვალისწინების მოწოდების მეტი აუცილებლობის შესახებ. ილუსტრაცია კიდევ უფრო მეტად არის გენდერულად დაუბალანსებელი იმის გათვალისწინებით, რომ მის დემონსტრირებას „ხუთკუნჭულა“ ახდენს. პოზიტიური იქნებოდა, თუ ველოსიპედთან ან ცხოველის მოფერების სცენაში გოგონა იქნებოდა გამოსახული, რაც ერთი მხრივ გენდერული როლების დაბალანსებას, ხოლო მეორე მხრივ კი, სისუფთავის ორივე სქესისათვის თანაბარ აუცილებლობას გაუსვამდა ხაზს.



ილუსტრაციებში სქესის თანაბარ წარმოჩენას ავტორები სხვადასხვა თავში სხვადასხვა სქესის ბავშვის / მოსწავლის მონაცვლეობით ცდილობენ. მაგალითად, მომდევნო თავში - „ფერი და ფორმა“, გეოგრაფიულ ფიგურებთან ერთად, ილუსტრაციაზე გოგონაა გამოსახული წიგნების უზარმაზარი დასტით ხელში. მიუხედავად ილუსტრაციისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებიდან, რომელიც აჩვენებს მოსწავლეს ბევრი წიგნით ხელში, რაც მონდომებასთან და სწავლის სურვილთან შეიძლება ასოცირდეს, წინა გვერდზე გამოსახული ილუსტრაციების შემდგომ, სადაც ბიჭუნა ველოსიპედს ატარებს და კატას ეფერება, გოგონას წიგნების დასტით ხელში წარმოჩენა, ატარებს საქმიანობების გენდერულად წარმოჩენის ხასიათს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წიგნი 6-7 წლის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

წიგნის თემების ძირითადად, გენდერულად ნეიტრალური ილუსტრაციებით არის გაფორმებული და ბუნების, ბუნებრივი მოვლენების, კოსმოსის საკითხებთან შესაბამისია. ადამიანების მონაწილეობით სულ რამდენიმე ილუსტრაცია გვხვდება. თუმცა, ნეიტრალურ მე-12 თემაში „ამოიცანი ფიგურები“, „სხვადასხვა ფორმის ფიგურებით ლიკა თამაშობს“. მე-16 თემაში „მზე“, ილუსტრაციაზე გოგონა და ბიჭუნა გვერდიგვერდ მხეს ეფიცებიან. მე-17 თემაში „ღრუბლები“ ქოლგა გოგონას უჭირავს. 26-ე თემაში, კი „შესაფუთი მასალის დახარისხება და გამოყენება“, დავალებები „დაამზადე ოთახის ყვავილები“ და „დაამზადე ჩხრიალა სათამაშოები“ ორივე შემთხვევაში საქმიანობაში ჩართული ბიჭუნას ილუსტრაციებით არის გაფორმებული.

30-ე თემაში „ვხედავთ თვალებით“, ილუსტრაციებიდან, სადაც სქესის ამოცნობა შესაძლებელია, წიგნს პატარა ბიჭი კითხულობს. ჯგუფურ ილუსტრაციაზე კი ბიჭუნა პლანშეტთან მუშაობს, ხოლო გოგონა უყურებს. სინათლის სწორი მიმართულების ამოსაცნობად მოცემულ სამ ილუსტრაციაზე კი ბიჭი მერხთან ზის და კითხულობს.

34-ე გვერდზე ილუსტრაციები: „რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა“ - ორივე „შეცდომიან“ ილუსტრაციაზე გოგონაა გამოხატული.

დასკვნა

მოცემულ სახელმძღვანელოში, მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება მეორე პირის მხოლოდ რიცხვში ხდება, რაც ქართული ენის გრამატიკული სქესის არარსებობიდან



გამომდინარე, გამოიცხადეს შინაარსის გენდერულ დაყოფას. სახელმძღვანელო ილუსტრაციებით არის გამდიდრებული, რაც სკოლის დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოსათვის სრულიად ბუნებრივია და გენდერული ბალანსის, მგრძობიარობისა და თანასწორობის მიღწევისათვის მრავალი საინტერესო ხერხის გამოყენების საშუალებას წარმოადგენს. ის მცდელობები, რომელიც თვალსაჩინოა სახელმძღვანელოს ანალიზისას საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ავტორი ისწრაფვის გენდერულად დაბალანსებული მასალის შეთავაზებისაკენ, თუმცა საჭიროებს ამ საკითხების სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელი ცოდნისა და ცნობიერების გაზრდას.

ბიოლოგია

მე-8 კლასი

ბიოლოგიის მერვე კლასის სახელმძღვანელომ, ერთი ქალის ავტორობით, 2020 წელს გაიარა გრიფირება. სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ანალიზი სქესთა წარმომადგენლობისა და პროფესიის, როლებისა და საქმიანობის სქესთაშორისი გადანაწილების და სტერეოტიპების კვლავწარმოების კუთხით განხორციილდა.

სქესთა წარმომადგენლობა ილუსტრაციებში

სახელმძღვანელოს ანალიზი ილუსტრაციების სქესთა წარმომადგენლობითობის ჭრილში გვაჩვენებს, რომ ავტორები მოწადინებულები არიან, ილუსტრაციები გამოიყენონ ქალთა წარმომადგენლობითობის მისაღწევად. თუმცა, თავად ილუსტრაციების შინაარსობრივი მხარე იმდენად განსხვავებულია სქესის მიხედვით, რომ, რეალურად, პოზიტიურის ნაცვლად, ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალების ბიოლოგიასთან, როგორც მეცნიერებასთან, კავშირის თვალსაზრისით.

მე-17 გვერდზე - მყვინთავი ლასტებით ქალია, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, თემა 1.3 - უჯრედული თეორია, რომელიც უჯრედული მეცნიერების განვითარების ქრონოლოგიურ ისტორიას გვასწავლის, უხვად არის გაფორმებული იმ მეცნიერების ილუსტრაციებით, ვინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ საქმეში. მაგალითად,



მიკროსკოპის განვითარებისაგან დაკავშირებით მოცემულია გვ. 24 - რობერტ ჰუკი; გვ. 25 - ანტონ ლენენჯუკი; გვ. 25 - უჯრედული თეორიის ფუძემდებლები შლეიდენი და შვანი და გვ. 26-ზე კი, ამ თეორიის პროგრესში შეტანილი წვლილის ავტორი ვირხოვი. გვ. 27-ზე საგნების მასშტაბებისა და ხილულობის ცხრილში, შეუიარაღებელი თვალით დასანახ ობიექტებსა და შემთხვევაში, ქალთა ხატები ილუსტრაციებში არჩევითობის პრინციპს ექვემდებარება და სრულიად შესაძლებელია, მათი ჩანაცვლება მამაკაცების ხატებით მოხდეს. მეორე მხრივ, თავად ბიოლოგიის, როგორც მეცნიერების განხილვისას, არსად არ არის ნახსენები ქალი ბიოლოგების სახელები, თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ ადრეულ მიღწევებთან ერთად უჯრედულ თეორიაში, იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც სახელმძღვანელოში არიან ჩამოთვლილნი, ასევე დამატებოდა ცნობილი ქალი-მეცნიერების სახელებიც. მაგ. რიტა ლევი-მოლტალჩინი, რომელმაც ნერვული უჯრედები, მოვერცხვლის საშუალებით, მიკროსკოპის დანახვადი გახადა. მისი მიღწევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა სემიტიზმის რეჟიმში, მისი დისკრიმინაციის ფონზე.

თემა 2- ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, რომელიც სამი ქვეთავის - ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემებისა და ტანადობისაგან შედგება, უმეტესად გენდერულად ნეიტრალურია და ადამიანთან დაკავშირებულ ინფორმაციას ზოგადი ფიზიოლოგიური პერსპექტივიდან გვაწოდებს. სქესის მაიდენტიფიცირებელი ილუსტრაცია 62-ე გვერდზე რუბრიკაში „დამატებითი ინფორმაცია და რჩევები“ გვხვდება, სადაც ძვლის ამოვარდნის შემთხვევაში საჭირო საფეხურები მამაკაცის მხრისა და მკლავის დაფიქსირების ილუსტრაციას მოიცავს. საინტერესოა, რომ მოტეხილობის დროს განსახორციელებელი აუცილებელი ნაბიჯების კვალდაკვალ, მოცემულია ინფორმაცია მე-19 ტენდენციის შესახებ, რომელიც ქალების მიერ მე-12 წყვილი ნეკნის ამოღებაზე საუბრობს წელის გარშემოწერილობის შემცირების მიზნით. ინფორმაციას თან არ ახლავს არანაირი განმარტება ან გავრცობისათვის საჭირო კითხვა, რაც საშუალებას მისცემდა მოსწავლეებს, განეხილათ ეს ტრადიცია ჯანმრთელობისათვის მიყენებული შესაძლო ზიანის ჭრილში ან ესაუბრათ იმ ქალების შესახებ, რომლებმაც ღიად გაილაშქრეს კორსეტებისა და წელის გარშემოწერილობის შემცირებისაკენ მიმართული სხვა საზიანო ტრადიციების წინააღმდეგ. მით უფრო, რომ თავად რუბრიკა „დამატებითი ინფორმაცია“ აძლევს ავტორს საშუალებას, თამამად გაშალოს განსახილველი საკითხები და სწორედ ამ თავისუფლების ფარგლებში, ავტორი რენუარის ართრიტის ფონზე შექმნილი ფერწერული შედეგების დემონსტრირებით გვაწვდის



ინფორმაციას. ამ სახით მოცემული ინფორმაცია, განსაკუთრებით კი იმავე გვერდზე მოცემული, ძვლის ამოვარდნისა და გატყდომის შემთხვევაში კვალიფიციური ნაბიჯების აღწერის ფონზე, სრულიად კონტექსტიდან ამოვარდნილი და დისკრიმინაციულია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იმავე რუბრიკაში მოცემული მეოთხე ინფორმაცია რენუარის ართრიტით გამოწვეული მოძრაობის შეზღუდვებზე მოგვითხრობს. ტექსტში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ იმაგრებდა ართრიტით მოძრაობაშეზღუდული მხატვარი ხელს დოლბანდით, რომ ხატვა შეძლებოდა. რენუარის პორტრეტის გარდა, ინფორმაციის ილუსტრაციული გამდიდრებისათვის გამოყენებულია მისი ორი ფერწერა: „გოგონები პიანინოსთან“ და „ადელ ბესონი“, რაც, ერთი მხრივ, მოსწავლეების მრავალმხრივი შემეცნებით განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ კი - სახელმძღვანელოში ქალთა „შემოყვანას“ უნდა ისახავდეს მიზნად. მიუხედავად ამისა, ქალთა ასეთი რეპრეზენტაცია სახელმძღვანელოში პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

1. მამაკაცის პრიმატი და პირველობა ვლინდება ქალთა პასიური რეპრეზენტაციულობის ფონზე, სადაც, თავისთავად არაჩვეულებრივი ფერწერაც კი რენუარის ტკივილსა და დისკომფორტთან გამკლავების ფონზე შექმნილ შედეგთან ასოცირდება.

2. ქალთა როლის უარყოფით ტრადიციასთან ასოცირების ფონზე, რომელსაც არანაირი დამატებითი განმარტება არ ახლავს, მიუხედავად არაჩვეულებრივი პოტენციისა, არაჯანმრთელი ტრადიციის წინააღმდეგ გამოსული ქალების შესახებ გაგრძელებულიყო დისკუსია, მაგ. ჟორჟ სანდი, გოშო სარო და ა.შ.

3. სახელმძღვანელოში არც ერთი ილუსტრაცია, რომელზეც ქალია გამოხატული, პირდაპირ არ უკავშირდება საგნის შინაარსს, და, შესაბამისად, ქალთა ხელოვნურად დამატების მკაფიო ნიშნებს წარმოადგენს.

მეორე თავის ქვეთავი „კუნთოვანი სისტემა“ პირველსავე გვერდზე იძლევა ინფორმაციას მამაკაცისა და ქალის კუნთოვანი სისტემების განსხვავებულ მასაზე (გვ. 66). ამავე თავში, მიმიკური კუნთებისა და მათი მოქმედების ამსახველ ილუსტრაციად გოგონას სამი ნახატია გამოყენებული. მაკეტი, რომელიც სახის კუნთების შემადგენლობას აჩვენებს, ასევე ქალის სახის მოდელირების საშუალებით არის წარმოდგენილი. გოგონას ილუსტრაციები მოცემულია კითხვის ქვეშ „დაკვირვებისა, როგორ ეცვლება ადამიანს გამომეტყველება სულიერი განცდებისას“- იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის საერთო კუნთოვანი



სისტემა მამაკაცის მაკეტის მაგალითზეა ახსნილი (გვ. 65) და სამთავა და ორთავა კუნთის მოძრაობაც ასევე მამაკაცის მკლავის მოდელზეა ილუსტრირებული (გვ. 67, თვალსაჩინოა მუჭის შეკვრის თავისებურების გათვალისწინებით), ილუსტრაციების ამ სახით წარმოდგენა ემთხვევა სტერეოტიპულ წარმოდგენებს ქალთა ემოციური სფეროსა და მამაკაცთა ძალისმიერი ბუნების შესახებ. მისასაღმებელია, რომ ქვეთავის ბოლოს რუბრიკაში „ცხრილების, დიაგრამების, ტაბულების, სქემების, ნახატების შედგენა და ანალიზი“ მიმიკების გაჩენის შესახებ დავალება შერეული სქესის ბავშვების მაგალითზე დაფუძნებით არის მოცემული, თუმცა სასურველი იქნებოდა, წინა შემთხვევებშიც ასევე ყოფილიყო როლები შერეული მაგალითებით ილუსტრირებული.

შემდეგი ქვეთავი „ტანადობა“ მამაკაცისა და ქალის სხეულების მაკეტით იწყება ცეკვით მოძრაობაში, რაც პოზიტიურია. თუმცა, ამავე თავში, 73-ე გვერდზე, კიფოზისა და ლორდოზის ილუსტრირება გოგონების სურათებით არის მოცემული. 76-ე გვერდზე, მოცემულია ილუსტრაცია ზურგჩანთის არასასურველი ფორმით ტარების შესახებ და ეს ილუსტრაციაც გოგონას მაგალითზეა განხილული. ამ შემთხვევაშიც, ავტორის სურვილი, სავარაუდოდ, გენდერული ბალანსის მხარდაჭერაა, თუმცა, იმ ორი შემთხვევიდან, როდესაც ქვეთავში სქესის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, ტანადობის დარღვევის და მასთან ასოცირებული ჩვევის გოგონას მაგალითზე განხილვა არასასურველ გადაწყვეტილებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მოსწავლის წიგნის მეორე ნაწილში, მესამე თავში „საჭმლის მომწელებელი ორგანოები“, პირველ ქვეთავში „საკვები პროდუქტები“, 118-ე გვერდზე, რუბრიკის „კვლევითი სამუშაო, ექსპერიმენტის დაგეგმვა, ჩატარება, ანალიზი“ მოცემულია ილუსტრაცია, რომელიც ადამიანის ორგანიზმში წყლის რაოდენობის/წილის დადგენას მოითხოვს ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ილუსტრაცია პოზიტიურია იმ თვალსაზრისით, რომ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორია სხვადასხვა სქესის ადამიანის მოდელის გამოყენებით არის წარმოდგენილი. ასევე პოზიტიურია ნობელის პრემიის მფლობელი ქალისა და მამაკაცის ილუსტრაციების გვერდიგვერდ წარმოჩენა მე-17 გვერდზე. მე-20 გვერდზე, სანერწყვე ჯირკვლის შემადგენლობა მამაკაცის ილუსტრაციის გამოყენებით ხდება, რაც სრულიად მისაღებია. ასევე, დაბალანსებულია სხვადასხვა სპორტის სახეობით დაკავებული ადამიანების ფოტოები 33-ე გვერდზე. საგულისხმოა, რომ „სისხლის შემადგენელი კომპონენტების“ ქვეთავში, 46-ე გვერდზე მოცემულია ფიზიოლოგიისა და მედიცინის



დარგში 2015 წლის ნობელიანტი ქალის ტუ იუიუს ფოტო, რაც ხაზს უსვამს ქალი მეცნიერების წვლილს ამ სფეროში. ხოლო 48-ე გვერდზე კი, ალერგიის სიმპტომების ილუსტრაციისას, სურდოს სიმპტომის დემონსტრირებისათვის ბიჭუნას ფოტო არის გამოყენებული. ასევე 51-ე გვერდზე მოცემული ორი ნობელიანტი მეცნიერის ფრანსუაზ ბარე-სინუსისა და ლუკ მორტანიეს ილუსტრაციები გვერდიგვერდ. საგულისხმოა, რომ 74-ე გვერდზე, ორკესტრანტების ილუსტრაცია შერეული მუსიკოსების ჯგუფისგან შედგება. 77-ე გვერდზე, ადამიანის ექსკრეტორული სისტემა ქალის მოდელის მაგალითზეა აღწერილი.

პროფესიები, როლები და საქმიანობა სქესის მიხედვით

სახელმძღვანელოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საკმაოდ ცოტაა ისეთი ამოცანა, რომელიც ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა ცოდნის შეჯამების ნაწილში, 79-ე გვერდზე მოცემული პირობა: ნიკა, გიორგი, ელენე და მარი სპორტით არ არიან დაკავებულები. მთელი კვირა კომპიუტერთან ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ნიკა ველოსიპედით ქალაქიდან აგარაკზე წავიდა, გიორგიმ ჰანტელებით დიდხანს ივარჯიშა, ელენემ და მარიმ ჩოგბურთი ითამაშეს. ორშაბათს ოთხივემ ცუდად იგრძნო თავი...

მიუხედავად იმისა, რომ ამოცანაში ორივე სქესის მოსწავლე თანაბრად არის წარმოდგენილი, სპორტით სახეობები აღქმული მოლოდინების მიხედვით არის განაწილებული. ერთი ბიჭი ველოსიპედით მიდის აგარაკზე ცალკე, მეორე კი, ჰანტელებით ვარჯიშით კავდება. გოგონები ერთად თამაშობენ ჩოგბურთს. საინტერესო იქნებოდა როლების ჩანაცვლება და არსებული სპორტის სახეობებში სქესთა მოსალოდნელ ჩართულობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების საწინააღმდეგო როლების მინიჭება მოსწავლეებისათვის.

მოსწავლის მეორე წიგნის რუბრიკაში „ცხრილების, დიაგრამების, ტაბულების, სქემების, ნახატების შედგენა და ანალიზი“, 74-ე გვერდზე, მოცემულია ინფორმაცია ტუბერკულოზის მსხვერპლ გამოჩენილ ადამიანებზე და მაგალითებად მოყვანილია იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ლადო ასათიანი. გამომდინარე იქიდან, რომ ტუბერკულოზი მე-18 და მე-20 საუკუნის მთელ მსოფლიოს მოსახლეობაში მასობრივად იყო მოდებული და უამრავი სიცოცხლე განადგურა, სასურველი იქნებოდა, რომ ამ სენის მსხვერპლთა შორის, და გამოჩენილ ადამიანთა კონტექსტში, ქალთა სახელებიც გაჟღერებულიყო, რომელთა რიცხვი



არც თუ ისე მცირეა.

მე-3 თავის შემაჯამებელ ნაწილში, 87-ე გვერდზე მოცემულ ამოცანაში, გოგონასა და ბიჭის მაგალითები არის მოცემული და შედარებული, რაც საგნობრივი შინაარსისათვის მისაღები და გენდერული მიმართულებით კი პოზიტიურია.

მე-4 თავში - „ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები“, პირველი ილუსტრაცია, რომელიც სტიმულატორების სახეებს განმარტავს, 95-ე გვერდზე დასურათებულია ქალის ფოტოთი, რომელსაც მაგიდაზე აქვს თავი დადებული და დაღლილობისგან სძინავს. ამავე ნაწილში, ციფრულ ტექნოლოგიებზე მიჯაჭვულობის პრობლემის განხილვისას მოცემული ილუსტრაცია ორივე სქესის წარმომადგენელთა ფოტოს წარმოადგენს, რაც აძლიერებს შთაბეჭდილებას მავნე ჩვევების ნეგატიური გავლენის ორივე სქესისათვის თანაბარ მნიშვნელობაზე, რაც პოზიტიურია. მეორე მხრივ, გარდატეხის ასაკში ხასიათისა და ემოციური სპექტრის ცვლილების მაგალითი, რომელიც ტექნოლოგიებზე მიჯაჭვულობას იწვევს, ბიჭუნას ფოტო-ილუსტრაციით არის გაფორმებული (გვ.99). სასურველი იქნებოდა, რომ ასაკობრივ თავისებურებებთან დაკავშირებული მახასიათებლები ორივე სქესის ილუსტრირებით ყოფილიყო წარმოჩენილი, რაც გააძლიერებდა იმის შეგრძნებას მოსწავლეებში, რომ გარდატეხის ასაკი ორივე სქესის მოზარდისათვის ერთნაირად რთულად შეიძლება მიმდინარეობდეს და მიჯაჭვულობას ავითარებდეს.

დასკვნა

საერთო ჯამში, სახელმძღვანელო გენდერულად დაბალანსებული და მგრძობიარეა. აშკარაა, რომ ავტორს ამ მიმართულებით კარგად აქვს გააზრებული სახელმძღვანელოს დაბალანსებული მასალის მნიშვნელობა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ის კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ანალიზმა წარმოაჩინა, მეტწილად სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ მოიცავს უხეში გადაცდომების არც ერთ მაგალითს.



სახელმძღვანელოების ანალიზის შედეგები, მიგნებები და რეკომენდაციები

სახელმძღვანელოების ანალიზის შედეგად შემდეგი დასკვნებისა და მიგნებების შესახებ შეიძლება საუბარი:

- გაანალიზებული სახელმძღვანელოებიდან მხოლოდ ერთეულები მოიცავდა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით პოზიტიურ სცენარებს, მაგალითებს და / ან გადაწყვეტილებებს.
- სახელმძღვანელოების გენდერული დაბალანსებულობა გამომცემლობებისა და ავტორების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი პერსპექტივების თვალსაზრისით.
- გენდერული თანასწორობის, ბალანსისა და მგრძობიარობის თვალსაზრისით, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებები იკვეთება და ეს განსხვავებები საგნის შინაარსობრივ სპეციფიკასთან პირდაპირ ბმაში არ არის.
- სახელმძღვანელოების აბსოლუტურ უმრავლესობაში, გენდერული დისბალანსი ქალებისა და მამაკაცების ილუსტრაციების არათანაბარი განაწილების ანალიზის საფუძველზეც კი მკაფიოა.
- ავტორთა და გამომცემლობების არასაკმარისი ინფორმირებულობა და მომზადება გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ ასახვისათვის, მკაფიოდ იხატება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც კონკრეტულ სახელმძღვანელოში გენდერის საკითხებით დაინტერესება ბუნებრივია, ხოლო მათი ასახვის მცდელობები კი თვალსაჩინო. ასეთ შემთხვევებში, ავტორების ხედვები მათ ცოდნას, პირად მომზადებასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით ყალიბდება, რაც ხშირად საკითხების არასწორად ან არასაკმარისად წარმოჩენის საფუძველი შეიძლება გახდეს.
- თითოეული სახელმძღვანელოს დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ გენდერულ დისბალანსს სხვადასხვა თვისებრივი ფორმით და ხარისხით ვხვდებით. გენდერული დისბალანსი გამოიხატება მამაკაცის პრიმატისა და პირველობის, როლების, ფუნქციებისა და საქმიანობის სქესობრივი მოლოდინების შესაბამისი განაწილების,



ქალთა შემცირების, გაქრობის ან კოსმეტიკური შესწორების მცდელობის ფორმით. მაგ. სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოს შინაარსისგან დამოუკიდებლად, რეპრეზენტაციის, გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოების სახით.

- რიგ შემთხვევებში, სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობისა და თანაბარი რეპრეზენტაციის უზრუნველყოფა გართულებულია შესაბამისი ინფორმაციის სიმცირისა თუ შეზღუდული წვდომიდან გამომდინარე. თუმცა, სახელმძღვანელოების გენდერული მგრძობიარობა ნაკლებად არის დაკავშირებული შესაბამისი მასალების წვდომისა და/ან სიუხვის საკითხებთან და მეტწილად ავტორებისა და გამომცემლობების მიერ გენდერის საკითხების მნიშვნელობის მინიჭებაზეა დამოკიდებული.
- ავტორები და გამომცემლობები მეტწილად არ წახალისებენ სასწავლო რესურსებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების გენდერული დისკურსის წამოწევას ძირითადი ტექსტების შემდეგ სამსჯელო და სადისკუსიო დავალებების შეთავაზების საშუალებით, რაც ყველაზე ნეგატიური მაგალითების პოზიტიურ სასწავლო რესურსად ქცევის აპრობირებული და ეფექტური საშუალებაა.
- გამოცემულ და გრიფირებულ სახელმძღვანელოებში გენდერული საკითხების პრობლემატურობის ხარისხის მიხედვით; მაშინ, როდესაც სახელმძღვანელოების ნაწილი პოზიტიური მაგალითების შემცველი და გენდერულად მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, მეორე ნაწილი სრულიად შეუფერებელია მოსწავლეებისათვის გენდერული საკითხების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდებისათვის.



რეკომენდაციები

საკანონმდებლო რეგულირება

- განათლების საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტაციის, შეფასების კრიტერიუმების გენდერული მგრძობიარობის უზრუნველყოფა;
- კანონის განათლების შესახებ, ისევე როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის სტანდარტის, სკოლის დირექტორის სტანდარტის, მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის გენდერული მგრძობიარობის საქართველოს გენდერული თანასწორობის ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების ინიცირება;

ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული მგრძობიარობის საკითხის ასახვა ყველა საგნის გამჭოლ კომპეტენციად;
- ქართულის, როგორც მშობლიური ენის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების გაზრდის მკაფიო ასახვა და ხაზგასმა;
- სახელმძღვანელოების გრიფირების წესის მკაფიოობის უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის მოთხოვნებთან, რომლებიც კარგად გამოხატული და უნივერსალური კრიტერიუმების საშუალებით იძლევა სახელმძღვანელოების შეფასების საშუალებას.
- გენდერული თანასწორობის მოთხოვნის და გენდერულად მგრძობიარე მიდგომების ასახვა ყველა საგნისა და საგნობრივი ჯგუფისთვის;
- გრიფირების პროცედურების გამჭვირვალების უზრუნველყოფა, კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმძღვანელოების შეფასების თანასწორობა ყველა ავტორისა და გამომცემლისათვის;
- გრიფირების პროცესში შესაბამისი კვალიფიციური კადრის თანასწორი და სრულყოფილი ჩართულობის უზრუნველყოფა გენდერული საკითხების განათლების



კონტექსტში შეფასებისათვის;

- გრიფირების პროცესში ჩართული ექსპერტებისათვის გენდერული და სხვა მრავალფეროვნების კრიტერიუმების გათავისებისა და შეფასებაში ინტეგრირებისათვის პრაქტიკული გზამკვლევების მომზადება და მათი გამოყენებისათვის მომზადება;
- სახელმძღვანელოს შეფასებისთვის სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული „სხვა სპეციალისტის“ შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა და კონკურსზე დაფუძნება;
- სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული „სხვა სპეციალისტის“ საკვალიფიკაციო მოთხოვნების და კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა და მასში გენდერული თანასწორობის, მულტიკულტურული განათლების, ადამიანის უფლებების ცოდნის მიღმა, განათლების, პედაგოგიკის და საგნობრივი ცოდნის ასახვა;
- გენდერული საკითხების შეფასებისთვის მოწვეული სხვა სპეციალისტისთვის გენდერული ცოდნისა და ცნობიერების საგანმანათლებლო და პედაგოგიური პერსპექტივიდან გაანალიზების პროფესიულ კომპეტენციების გაზრდის უზრუნველყოფა;
- სახელმძღვანელოების შეფასებაში ჩართული ექსპერტების, მათ შორის საგნობრივი მიმართულებისა და „სხვა სპეციალისტის“ გენდერული ცნობიერების ამაღლებისათვის, მათი პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც ტრენინგების, ვორკშოპების საშუალებით არის შესაძლებელი;
- გრიფირების პროცესში ჩართული გარე, დამოუკიდებელი კადრების მოსაზრებებისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა, მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების ჯეროვნად ასახვისათვის აუცილებელი წესის დადგენა და განხორციელება;
- სააპელაციო კომისიის დაკომპლექტების წესის გადახედვა და მისი წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებისგან და სკოლის დირექტორებისგან დაკომპლექტებას, არამედ გენდერული და განათლების მიმართულებისა და დარგის დამოუკიდებელი ექსპერტების სრულფასოვან და თანასწორუფლებიან მონაწილეობას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;



- ავტორებისა და გამომცემლებისათვის სპეციალური გზამკვლევების შემუშავება, რომელიც ნათელს გახდის გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნების სხვა გამოხატულების მოთხოვნებს სახელმძღვანელოების მიმართ და, შესაბამისად, მისცემს მათ საშუალებას, რომ რესურსებზე მუშაობის პროცესის განუყოფელ ნაწილად აქციონ შინაარსობრივ საკითხავებში და მეთოდოლოგიურ მიდგომებში ინტეგრირება;
- სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლობებისათვის შესაბამისი ტრენინგების, ვორკშოპების და სხვა, შესაბამისი ტიპის გადამზადების უზრუნველყოფა გენდერისა და მრავალფეროვნების სხვა ელემენტების სწორი ხედვის ჩამოყალიბების და შესაბამისად, ასახვისათვის;
- სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესის შესაბამისი რეკომენდებული დამატებითი მასალებისა და რესურსების მობილიზება და ავტორებისათვის მიწოდება;
- სახელმძღვანელოების ესგ-სთან თავსებადობისათვის შემუშავებულ საგნობრივ რეკომენდაციებში, გენდერული საკითხების სინქრონიზაციის უზრუნველყოფა საგნობრივი სპეციფიკის და გენდერის წარმოჩენის მრავალფეროვანი მიდგომების გათვალისწინებით.

მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარება

- გენდერული საკითხების და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ცოდნისა და უნარების ასახვა სკოლის დირექტორის სტანდარტში;
- სასკოლო საზოგადოების, სასწავლო ლიდერების, სკოლის ადმინისტრაციის, გენდერული ცნობიერების ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც ერთი მხრივ, მათ ზოგადი მგრძნობიარობის ამაღლებისკენ, და ამ მგრძნობიარობის სასკოლო გარემოს შექმნაში დანერგვაში მიეხმარება;
- გენდერული თანასწორობისა და გენდერულად მგრძნობიარე სწავლების ცოდნისა და უნარების მოთხოვნების ასახვა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის დარგობრივ მახასიათებლებში;



- მასწავლებელთა განათლების და პროფესიული განვითარების პროგრამებში შეცვლილი სტანდარტების შესაბამისი ცვლილებების განხორციელება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
- მასწავლებლების გენდერული ცნობიერების ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც, ერთი მხრივ, მათი ზოგადი მგრძნობიარობის ამაღლებას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ კი, - მოამზადებს მათ სახელმძღვანელოების გენდერული პერსპექტივიდან ანალიზისა და საგნის სწავლებისას სწორი მიდგომების დანერგვისათვის.



გამოყენებული ლიტერატურა

- Blumberg, R. L. (2007). *Gender bias in textbooks: A hidden obstacle on the road to gender equality in education*. Paris: Unesco.
- Chanturia, G., & Kadagidze, M. (2020). *Equality Policy in General Education System*. Tbilisi. The Georgian Young Lawyers' Association /Foundation for the Support of Legal Education
- Chouliaraki, L., & Fairclough, N. (1999). *Discourse in late modernity: Rethinking critical discourse analysis*. Edinburgh, UK: Edinburgh University Press.
- Crawford, K 2000. Researching the ideological and political role of the history textbook - Issues and methods. *International Journal of History Learning, Teaching and Research*, 1(1).
- Fairclough, N. (1989). *Language and power*. London: Longman.
- Fairclough, N. (1992). *Discourse and social change*. Cambridge, UK: Polity Press.
- Halliday, M. A. K. (1978). *Language as social semiotic: The social interpretation of language and meaning*. Hodder Education.
- Johnsen, EB 2001. *Textbooks in the Kaleidoscope*. Tensberg: Hegskolen i Vestfold.
- LaSpina, JA 1998. *The visual turn and the transformation of the textbook*. Mahwah: Lawrence Erlbaum Associates
- Lazar, M. M. (Ed.). (2005a). *Feminist critical discourse analysis: Gender, power and ideology in discourse*. London: Palgrave.
- Lazar, M. (2005). Feminist CDA as Political Perspective and Praxis, in M. M. Lazar (ed.), *Feminist Critical Discourse Analysis. Gender, Power and Ideology in Discourse*, Basingstoke: Palgrave Macmillan, 1-28.
- Litosseliti, L. & Sunderland, J. (2002). Gender identity and discourse analysis: theoretical and empirical considerations. In Litosseliti, L. and Sunderland, J. (eds.), *Gender Identity and Discourse Analysis*, Amsterdam: John Benjamins, pp. 1-39
- Lazar, M. M. (2007). Feminist critical discourse analysis: Articulating a feminist discourse praxis. *Critical discourse studies*, 4(2), 141-164.
- March, C., Smyth, I. A., & Mukhopadhyay, M. (1999). *A guide to gender-analysis frameworks*. Oxfam.
- Mogashoa, T. (2014). A critical review of the concepts associated with women entrepreneurs in rural areas. *Mediterranean Journal of Social Sciences*, 5(23), 2263-2263.
- Naseem, MA 2008. Texts of war/texts of peace: Dismantling violence and constructing peace in textbooks and educational media. Paper presented at the *Ninth International Conference on*



Textbooks and Educational Media: Peace, Democratization and Reconciliation in Textbooks and Educational Media, September 2007, Tonsberg Norway.

- Porreca, K. L. (1984). Sexism in current ESL textbooks. *TESOL quarterly*, 18(4), 705-724.
- Peräkylä, A. 2005. Analysing talk and text. In: NK Denzin & YS Lincoln (eds.). *Collecting and interpreting qualitative materials*. Los Angeles: SAGE Publications.
- Reisigl, M. and Wodak, R. (2001). *Discourse and discrimination: Rhetorics of racism and antisemitism*. London: Routledge.
- Reisigl, M. and Wodak, R. (2009). The discourse-historical approach. In R. Wodak and M. Meyer (eds.), *Methods of critical discourse analysis*, 2nd edn, 87-121. London, Thousand Oaks, CA, New Delhi: Sage.
- Talbot, M. (1995). *Fictions at work: language and social practice in fiction*. London: Longman.
- Wodak, R. (2009/2011). *The discourse of politics in action: Politics as usual*. New York: Palgrave.
- Wodak, R. (2015). *The politics of fear: What right-wing discourses mean*. London: Sage.
- Wodak, R. (2014). *Critical discourse analysis* (pp. 332-346). Routledge.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
4. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა;
5. მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი;
6. მასწავლებელთა პროფესიული დარგობრივი მახასიათებელი;
7. (№28/ნ, 2017 წლის 16 თებერვალი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“);
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #621, 14.04.2017 „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“;
9. (საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, N 17-1/9393 23/09/2020;
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2011, 2013, 2015, 2017, 2018, 2019, 2020) ქალი და მამაკაცი საქართველოში. სტატისტიკური კვლევა.

